ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 307 (12 678) 30 დეკემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი






საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარაქიანი 2008

## არ გრცხვენია, სტივენ?!

## რატომ დაიჭირეს ჯერარდი?

» 6



## ცირეკიძემ გაასამა

» 11

## რეალი უხერხულ სიტუაციაში

## მკაცრი, მაგრამ სამართლიანი

» 7

ჰუნტელაარი



ან ეს

დიარა




ან ეს



## SOS! ლაზარე

საქართველო ნიჭიერ ჩოგბურთელს კარგავს

» 12




## ალონსო ფერარიში

» 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XVII ტური

# ...ჩვენც შევისვენოთ!

| XVII ტური | |
|---|---|
| **27 დეკემბერი, შაბათი** | |
| სპარტაკი-გაგრა | 1:1 |
| ოლიმპი-მგლები | 2:1 |
| დინამო-მესხეთი | 4:0 |
| **28 დეკემბერი, კვირა** | |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| ლოკომოტივი-ბორჯომი | 4:0 |
| | სიონი ისვენებს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 4 | 1 | 29-10 | 37 |
| 2. დინამო | 15 | 10 | 1 | 4 | 32-12 | 31 |
| 3. ოლიმპი | 15 | 6 | 7 | 2 | 16-9 | 25 |
| 4. ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 15-9 | 24 |
| 5. სიონი | 15 | 6 | 6 | 3 | 17-10 | 24 |
| 6. ლოკომოტივი | 15 | 7 | 1 | 7 | 20-15 | 22 |
| 7. მგლები | 16 | 5 | 3 | 8 | 16-22 | 18 |
| 8. მესხეთი | 15 | 4 | 4 | 7 | 12-23 | 16 |
| 9. გაგრა | 16 | 4 | 3 | 9 | 13-26 | 15 |
| 10. ბორჯომი | 15 | 2 | 5 | 8 | 14-33 | 11 |
| 11. სპარტაკი | 14 | 2 | 1 | 11 | 11-26 | 7 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 7 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| კოშკაძე (სიონი) | 6 |
| მერებაშვილი (დინამო) | 6 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 6 |

გვეშველა! ავად თუ კარგად, საიუბილეო ჩემპიონატის შემოდგომისა და ზამთრის ეტაპი ჩავამთავრეთ. ჰო, ადრე ყოველთვის ასე იყო ხოლმე - პირველი წრის გამარჯვებულს „შემოდგომის ჩემპიონად" გამოვაცხადებდით და მერე, სულ ცოტა, სამთვიანი შესვენება იწყებოდა. ახლა კი, აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების გამო, ჩემპიონატის სტარტმაც გადაიწია და იმასაც „მივაღწიეთ", რომ თამაშები... ახალ წლამდე მივიტანეთ. ბევრი, ძალიან ბევრი დრო უნდა გავიდეს, წლევანდელი „რეკორდი" რომ გაუმჯობესდეს - ეჭვი გვეპარება, კიდევ ოდესმე ჩატარდეს ჩემპიონატის მატჩები 28 დეკემბერს. აქედან გამომდინარე, ალბათ, „ზამთრის ჩემპიონიც" აღარასდროს გვეყოლება; მოკლედ, „ვიტ ჯორჯიამ" ქართული ფეხბურთის ისტორიაში უნიკალურ შედეგს მიაღწია: ამ არაოფიციალური ტიტულის პირველი და, ალბათ... უკანასკნელი მფლობელი გახდა!..

ახლა კი 2008 წლის უკანასკნელ საფეხბურთო პაექრობებზეც - მით უმეტეს, რომ საინტერესო მატჩებიც იყო და რამდენიმე გამოსარჩევი ფაქტიც მოხდა.

უპირველესი, რაღა თქმა უნდა, ერთპიროვნული ლიდერის სტუმრად გამარჯვება იყო. „ვიტ ჯორჯიამ" მართლაც ღირსეულად და სტაბილურად ჩაატარა შემოდგომა-ზამთრის ეტაპი და სავსებით დამსახურებულად ლიდერობს კიდეც გათამაშების ცხრილს. **რამაზ მუმლაძის** გუნდი ზესტაფონში, ერთი შეხედვით, ნაკლებად მოტივირებული უნდა ჩასულიყო; ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, ცხრილში პირველობას ვერავინ წაართმევდა. ეგეც რომ არ იყოს, ბევრს მიაჩნდა, რომ „ვიტ ჯორჯიას" ზესტაფონში სასურველი შედეგის მიღწევა გაუჭირდებოდა. ჰო, მეტოქის ფაქტორს ამ შემთხვევაში, მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: „ზესტაფონის" ამბიციებზე საუბარი, ალბათ, ზედმეტიც არის; ამასთან, როგორც ტურის წინათქმაში ვწერდით, შეხვედრას გარკვეულ ინტრიგას მატებდა ის გარემოებაც, რომ მთავარი მწვრთნელის რანგში პირველ საშინაო შეხვედრას ატარებდა **გია გეგუჩაძე**. სამწუხაროდ, კლიმატურმა პირობებმა (თოვლისგან გაწმენდილი მოედანი მერე უკვე წვიმისგან გაიჟღინთა) გარკვეული დაღი დაასვა ამ თამაშის სანახაობრივ მხარეს. თუმცა მონდომებას ვერც ერთ გუნდს დაუწუნებდით; თანაც, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო მეტოქეთა ტემპიანი თამაშიც; იმაზე აღარაფერს ვამბობთ, პირველიდან ბოლო წუთამდე ატალახებულ მოედანზე უშელავათო და, ამასთან, ზომაზე მეტი ხისტი ბრძოლა რომ მიდიოდა. ამის მიუხედავად, მატჩის არბიტრს **ალექსანდრე კრიჭაშვილს** ხშირ-ხშირად არ უსტვენია და ამით თამაშიც არ „გააფუჭა". არანაკლებ სასიამოვნო მოულოდნელობა იყო სტუმართა აგრესიული თამაშიც - აი, ამას კი ბევრი ვერ მოიფიქრებდა, რომ „ვიტ ჯორჯია" უკვე მეტოქის ნახევარზევე პრესინგს შესთავაზებდა მეტოქეს. განსაკუთრებით მარცხენაფლანგელები აქტიურობდნენ - **ლაშა ჯაფარიძე** და **ირაკლი კლიმიაშვილი** 90 წუთის განმავლობაში ზეწოლას ახორციელებდნენ პერსონალურ მეურვეებზე; „ვეტერინართა" ცენტრალური ნახევარმცველებიც უაღრესად შრომატევად სამუშაოს ასრულებდნენ და აღარაფერს ვამბობთ სტუმართა ფორვარდებზე. ჰო, რამაზ მუმლაძეს გუნდში ორი განსხვავებული სტილის თავდამსხმელი ჰყავს: ტანმორჩილ და ტექნიკურ **ჯაბა ლიპარტიას** საკუთარი პლუსები აქვს, ტანმაღალმა და ათლეტურმა **ვახტანგ კვარაცხელიამ** კი ამ ჩემპიონატში უკვე მერამდენედ გაგვაოცა გოლის ჩინებული ალღოთი. 20 წლის ცენტრფორვარდმა ორი, მართლაც, ჩინებული გოლი გაიტანა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების პირველი წრის მატჩიც ანალოგიური ანგარიშით დასრულდა და კვარაცხელიამ იმ შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი. ისე როგორც **ნიკა გელაშვილმა** - „ზესტაფონის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ყოფილ თანაკლუბელებს ამ სეზონში მეორე გოლი გაუტანა; თუმცა ორივეჯერ ეს გოლი საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ წაგებით „ზესტაფონი" მეოთხე ადგილამდე კი ჩამოქვეითდა, მაგრამ ერთი მატჩით ნაკლებიც აქვს ჩატარებული და შესვენების მერე რომ აშკარად გადახალისებულ გუნდს ვიხილავთ, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, გია გეგუჩაძე ახალ პოსტზე დანიშვნის მერე მუდმივად ძიების პროცესშია და რამდენიმე პოზიცია რომ აშკარად გაძლიერებას საჭიროებს, ალბათ, ჩვენზე უკეთ იცის. ისე, „ზესტაფონისთვის" დეკემბერი მართლაც კოშმარული თვე გამოდგა - სამ ოფიციალურ შეხვედრაში ერთი ფრე და ორი წაგება...

ახლა კი, ალბათ, დროა, საკუთარი შეცდომა გამოვასწოროთ. ტურის წინათქმაში ვწერდით: „ოლიმპი-"მგლების" შეხვედრაში ფავორიტად მასპინძლები მიიჩნევიან და სერიოზული სტიმულიც აქვთ: წარმატების შემთხვევაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებენ და ლიდერთა სამეულსაც „ხელის განვდენაზე" მიუახლოვდებიან-მეთქი. არადა, რეალურად როგორც არის საქმე, სატურნირო ცხრილი გვიჩვენებს: „ოლიმპმა" შემოდგომა-ზამთრის ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულა! ორი თვის წინ ამას კი ვერავინ წარმოიდგენდა - ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხილმა გუნდმა მეტისმეტად მძიმე სტარტი აიღო და ექვსი ტურის მერე სულაც... აუტსაიდერად მოგვევლინა! და აი, **ვარლამ კილასონიას** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის მერე, რუსთაველმა კლუბმა ჩემპიონატში დათასზე 12-მატჩიანი წაუგებელი სერია შემოგვთავაზა. ეგ კი არა, ჩემპიონატის ათ შეხვედრაში საკუთარ კარში მხოლოდ სამი გოლი გაუშვა. წარმატებული სვლა უკანასკნელ ტურშიც გაგრძელდა, თუმცა რუსთაველმა ქომაგებმა გვარიანად ინერვიულეს - ტაიმნახევრის განმავლობაში „ოლიმპი" ვერაფრით ახერხებდა უდიდესი ტერიტორიული თუ სათამაშო უპირატესობის რეალიზებას. ბოლოს და ბოლოს, ვაჟკაცურად მებრძოლი სტუმრები გატყდნენ და დაცვის ცენტრში ორი პოზიციური შეცდომა ორ გოლად დაუჯდათ. აღსანიშნავია, რომ გოლები **თენგიზ ჩიკვილაძემ** და **გიორგი მეგრელაძემ** გაიტანეს, რომლებიც „ოლიმპის" საუკეთესო ბომბარდირები არიან. მეგრელაძის გოლეადორულ თვისებებზე ახალი რა უნდა ვთქვათ; უბრალოდ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს გამოცდილი ფორვარდი კოლეგებს შორის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეულია; აი, ჩიკვილაძის ხილვა ბომბარდირთა შორის მართლაც უცნაურია - ამპლუით მცველმა (თანაც, ერთნაირი წარმატებებით მოასპარეზეს სხვადასხვა პოზიციაზე) ამ ბოლო დროს გადამწყვეტი გოლების გატანას მოუხშირა... ისე, „მგლებმა" ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა: ეტყობა, რომ მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** ბევრს მუშაობს და საკუთარი გუნდისგანაც თანამედროვე ფეხბურთის თამაშს ითხოვს. თუმცა, გუშინაც ვთქვით და დღესაც გავიმეორებთ - სწრაფ, „ერთი შეხებით" და ზონებს შორის მინიმალური მანძილი რომ იყოს, ისეთი თამაშის ჩვენებას, მართლაც, სჭირდება შესაფერისი შემსრულებლები. იმედია, ზამთრის პაუზის მერე „მგლებს" ერთიორი ფეხბურთელი დაემატება (განსაკუთრებით - დაცვის ხაზში), თორემ გადამწყვეტ შეხვედრებში გუნდს გაუჭირდება. იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ „ოლიმპი" თუ არ გაძლიერდება, არ დასუსტდება - ვარლამ კილასონიას გუნდს ხომ სავსებით რეალურად შეუძლია მედლებისთვის ბრძოლა. და ისევ ამ შეხვედრის ირგვლივ: პრესლოჟაში თუ აბსოლუტურ სიმარტოვეში ვიმყოფებოდით, აი, საპატიო ლოჟაში ხალხმრავლობა იყო; საიდანაც ერთგულად ქომაგობდნენ „საკუთარ" გუნდს ქვემო ქართლისა და სამეგრელოს გუბერნატორები - **დავით კირკიტაძე** და **ზაზა გოროზია**...

დანარჩენ სხვა მატჩებზე მოკლედ ვისაუბრებთ. როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამომ" საკმაოდ იოლად გაიმარჯვა და მეორე ადგილზეც მყარად დამკვიდრდა. თუმცა, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის გერმანელ მწვრთნელს **რაინერ ცობელს** და კლუბის ხელმძღვანელებს აშკარად მეტი ამბიცია რომ აქვთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება.

ორთვიანი (!) პაუზის მერე პირველად გაიმარჯვა „ლოკომოტივმა" - იმედია, **გიორგი კიკნაძის** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდისთვის ნოემბერ-დეკემბრის კოშმარული ეტაპი დავიწყებას მიეცემა და პაუზის მერე ისევ იმ გუნდს ვიხილავთ, მედლებისთვის რომ უნდა იბრძოლოს. სხვათა შორის, „ბორჯომთან" მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა XX ჩემპიონატის, უდავოდ, ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **ლევან ცქიტიშვილმა**.

მეტად საინტერესო შეხვედრა გამოდგა აუტსაიდერთა დაპირისპირებაც; ეგ კი არა, თვითმხილველთა თქმით, ორივე გუნდმა ისეთი გააზრებული თამაში უჩვენა, ცხრილში აშკარად უკეთეს ადგილს რომ იმსახურებენ. თანაც, ორივე მწვრთნელს - **სერგო გაბელაიასაც** და **ვლადიმერ ხაჩიძესაც** საკუთარ გუნდებში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავთ და ეს ფაქტი დიდად გვაიმედებს კიდეც.

სხვაც ბევრი შეიძლებოდა ამ ტურზე გვეთქვა, მაგრამ, ახლა ჯობია, რომ მცირერიცხოვან ქომაგებთან, მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან და მსაჯებთან ერთად... ჩვენც შევისვენოთ!..

**გია ტუხაშვილი**

XVII ტურის სიმბოლური ნაკრები






დინამო-მესხეთი 4:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

რამაზ მუმლაძე

# მოტივირებული და დამსახურებული

**„ტურის მწვრთნელის“ გამოვლენაზე ბევრი არც გვიფიქრია - რამაზ მუმლაძის დამოძღვრილმა „ვიტ ჯორჯიამ“ სტუმრად „ზესტაფონი“ დაამარცხა! რალა თქმა უნდა, წელიწადის ბოლო ტურის ცენტრალურ შეხვედრას ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; „ვიტ ჯორჯიას“ ერთპიროვნულ ლიდერობას ვერავინ წაართმევდა, მაგრამ რამაზ მუმლაძის გუნდმა პრინციპულ და ძლიერ მეტოქეს დამსახურებულად აჯობა და თვენახევრიან შესვენებაზეც ქულათა სოლიდური მარაგით გავიდა.**

**ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, ბევრი ვერც იფიქრებდა „ვეტერინართა“ ასეთ შთამბეჭდავ ასპარეზობას მთელი სეზონის განმავლობაში. თუმცა ეს სხვა სასაუბრო თემაა და ამაზე უკვე იანვარში ვიმსჯელოთ; მანამდე კი XVII ტურის საუკეთესო მწვრთნელს რამაზ მუმლაძეს მოვუსმინოთ, ვისაც კონკრეტულად „ზესტაფონთან“ მატჩის შესახებ ვესაუბრეთ.**

- შესაძლოა, ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ ზესტაფონში მოსაგებად ჩავედით. რა თქმა უნდა, ცხრილში პირველი ადგილი დაჯავშნული გვქონდა, მაგრამ გვინდოდა, რომ უახლოეს მეტოქესთან ქულათა უფრო სოლიდური სხვაობა გვქონოდა.

**- ანუ, გინდათ თქვათ, რომ გუნდი მოტივაციის ნაკლებობას არ განიცდიდა?**

- პირიქით - მთელი კვირის განმავლობაში ბიჭები სერიოზულად ემზადებოდნენ წელიწადის ბოლო მატჩისთვის. კარგად ვაცნობიერებდით, რომ უმძიმესი ბრძოლა გველოდა; მით უმეტეს, რომ „ზესტაფონს“ ისედაც სერიოზული ამბიციები აქვს და პლუს ამას არანაკლებ ამბიციური მწვრთნელიც მივიდა გუნდში.

**- კოლეგაზეც გვინდა გკითხოთ - გია გეგუჩაძისგან სიურპრიზს არ ელოდით?**

- ახალი მწვრთნელის ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვანია; მით უმეტეს, რომ გიას საკმაოდ კარგად ვიცნობ და მის სამწვრთნელო კომპეტენციაზეც ასევე მაღალი შეხედულება მაქვს. თუმცა, ჩემი აზრით, ძალიან ძნელია, რომ ორ კვირაში მწვრთნელმა ყველაფერი რადიკალურად შეცვალოს. აი, მოსამზადებელი ეტაპის მერე კი გეგუჩაძის ხელი „ზესტაფონს“ ნამდვილად დაეტყობა. თუმცა მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი მწვრთნელი განსხვავებულ ტაქტიკას აირჩევდა და ამისთვისაც მზად ვიყავით.

**- ზედიზედ მეორე ტური „ვიტ ჯორჯიას“ სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა - ამჯერად დისკვალიფიკაციის გამო გიგა ბეჭვაია გაკლდათ.**

- ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია მაქვს: ხშირად ყოფილა, როცა ორი, სამი ან ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გამოგვკლებია, მაგრამ არ დამიწუწუნია. საერთოდაც, სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე საკადრო პრობლემას ხელზე არასდროს დავიხვევ. ანუ, წარუმატებლობას ამას არ დავაბრალებ. არ მეყოლება კონკრეტული ფეხბურთელი? მაშინ, სხვამ უნდა შეცვალოს, თანაც - ღირსეულად და გუნდისთვის უმტკივნეულოდ. მოკლედ, მწვრთნელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თადარიგში მყოფი ფეხბურთელების იმედი.

**- ზემოთ ბრძანეთ: ზესტაფონში მოსაგებად მივდიოდითო; გულახდილად გვითხარით - ასეთი დარწმუნებული რატომ იყავით?**

- „ოლიმპთან“ თამაშის მერე, ჩვენი კლუბის თითოეული წევრი, დაწყებული პრეზიდენტით და ფეხბურთელებით დამთავრებული, ამ მატჩის მოლოდინში ვიყავით. წელანაც გითხარით, სერიოზული განწყობა გვქონდა-მეთქი და ვინც თამაშს უცქირა, ყველა დამეთანხმება, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა.

**- ახლა, უშუალოდ შეხვედრაზე ვისაუბროთ.**



რამაზ მუმლაძე

- პირველი ტაიმი კარგად დავიწყეთ და უპირატესობაც გვქონდა. გოლის გატანის მშვენიერი შანსიც მოგვეცა, მაგრამ კვარაცხელიას დარტყმის მერე მასპინძლები კვასხვაძემ გადაარჩინა. ჩვენი გოლის მერე თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა; ეგ კი არა, მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლები შედარებით აქტიურად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გარდატეხა თამაშშიც შევიტანეთ და მერე გამარჯვების გოლიც შევაგდეთ.

**- და მაინც: როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე შეძლო „ვიტ ჯორჯიამ“ გამარჯვება?**

- მეორე ტაიმში გარდამტეხი მომენტი დადგა - ბურთს უკეთ ვინც „დაიჭერდა“, თამაშსაც ის მოიგებდა. ვფიქრობ, რომ მეტოქეს ამ კომპონენტში ვაჯობეთ - ჩვენმა შუახაზელებმა „ზესტაფონის“ ნახევარმცველებს მოედნის ცენტრი „წაართვეს“. აქვე კიდევ ორი ფაქტორი მინდა ვახსენო: პირველი ის, რომ მეტოქე ფიზიკურად დავჯაბნეთ და ამასთან, ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლებოდა ვინმეს დარჩენოდა, რომ მოგება ჩვენ უფრო მეტად გვინდოდა.

**- კონკრეტულ ფეხბურთელზეც გვინდა გკითხოთ. ვახტანგ კვარაცხელია წინა ტურში შეცვლაზე შემოვიდა, ახლა კი ძირითადში იყო და ორი გოლი გაიტანა...**

- ადრეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ ჯანსაღი კონკურენცაა და გამონაკლისი არც თავდასხმის ხაზია. კვარაცხელიამ წინა ტურში ძირითადში იმიტომ არ ითამაშა, რომ მცირე ტრავმა აწუხებდა. ახლა კი მომჯობინდა და, როგორც ნახეთ, ორი გოლი გაიტანა. რა თქმა უნდა, ძალიან მახარებს მისი შედეგიანობა. ამასთან, იმასაც ვიტყვი, რომ გუნდს თუ საჩემპიონო ამბიცია აქვს, ისეთი ფეხბურთელიც უნდა ჰყავდეს, საუკეთესო ბომბარდირობაზე რომ ექნება პრეტენზია. კვარაცხელია კი, ჯერჯერობით, თავის გოლიადორულ თვისებებს ჩინებულად ავლენს.

**- ისევ წინა ტურს დავუბრუნდეთ, რომლის მერეც, თქვენგან ადრე რომ არასდროს გვსმენია, მსაჯობაზე უკმაყოფილება გამოთქვით.**

- გულახდილად გეუბნებით: ვნანობ, რომ ასეთი მწვავე შეფასებით გამოვედი. ალბათ, ზედმეტი აღელვების გამო მომივიდა - პრინციპული მატჩი იყო და რიცხვობრივ უმცირესობაში დავრჩით. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მსაჯის შეფასება მწვრთნელის გასარჩევი არ არის და ახლაც ამ აზრზე ვარ.

**- კომენტარს არც „ზესტაფონთან“ მსაჯობაზე გააკეთებთ?**

- ასეთი რთული მატჩის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ საკმაოდ მაღალი დონის მსაჯობა იყო. რაც მთავარია, არბიტრმა ფეხბურთელებს ბრძოლის საშუალება მისცა და მერეც სამართლიანად დასაჯა მოთამაშეები. ისე, ალექსანდრე კრიჭაშვილისგან მსგავსი კვალიფიციური მსაჯობა არც გამკვირვებია, რადგან ყოველთვის მაღალი დონის არბიტრად მივიჩნევდი.

**- ახლა, ალბათ, დამსახურებული შვებულების დროც მოვიდა...**

- გუნდი 4 იანვრამდე დაისვენებს, სწორედ ამ დღეს შევიკრიბებით, შემოდგომა-ზამთრის ეტაპს შევაფასებთ და ფეხბურთელე[illegible] მოსამზადებელი პერიოდის გეგმასაც გავაცნობთ. გუნდში წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა ჯერ უცნობია; სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მოსამზადებელ ეტაპს ანთალიაში გავივლით.

**გია ტუხაშვილი**

ტურის ფეხბურთელი

ვახტანგ კვარაცხელია

# ჯერ რა დროს უცხოეთია?..

**კვირას ვახტანგ კვარაცხელიამ „ზესტაფონს“ სხვაობის შემცირების იმედი ჩაუკლა. „ვიტ ჯორჯიის“ ტანმაღალმა ფორვარდმა, ორი ზუსტი გასროლის წყალობით, თავისიანებს ზამთრის ჩემპიონის ტიტული განუმტკიცა, ზოგადად კი რამაზ მუმლაძის გუნდმა დაამტკიცა, რომ დღესდღეობით საქართველოში მართლაც საუკეთესოა. ამაში თავისი წვლილი 20 წლის ფორვარდმაც შეიტანა. მათე ვაწაძესთან ერთად, ის 8 გოლით ეროვნული პირველობის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. წლის ბოლო ტურში სწორედ კვარაცხელიას დუბლით გაიმარჯვა „ვიტ ჯორჯიამ“ „ზესტაფონთან“ გასვლით მატჩში. ვფიქრობთ, ვიტელთა ფორვარდი ტურის ფეხბურთელობას უდავოდ იმსახურებს...**

- კარიერაში პირველად გავხდი ტურის ფეხბურთელი და ეს ძალიან მახარებს. მით უფრო, რომ ორი ბურთი გავუტანე „ზესტაფონს“ და არა რომელიღაც აუტსაიდერს. არადა, „ზესტაფონს“ საქართველოში გამორჩეული დაცვა ჰყავს და მათ წინააღმდეგ თავის გამოჩენა პატარა საქმე არ არის.

**- სიმართლე ითქვას, მეორე გოლის დროს „ზესტაფონის“ მცველები უხეშად შეცდნენ...**

- მეც ძალიან გამიკვირდა, მაგრამ... ფეხბურთში ასეც ხდება, ხანდახან ხომ უნდა გამიმართლოს?

**- პირველი გოლისას დარჩა შთაბეჭდილება, რომ სველი მოედნის ფაქტორი გამოიყენე...**

- ასე გამიზნულადაც არ დამირტყამს. თუმცა თამაშამდე მწვრთნელმა დაგვავალა, რომ რაც შეიძლებოდა მეტჯერ დაგვერტყა შორი მანძილიდან, რადგან მეკარისთვის ძნელია ასეთ მოედანზე წინ დაგდებული ბურთის მოგერიება.

**- წლევანდელ ჩემპიონატამდე, ასეთი გამორჩეული სეზონი არ გქონია...**

- იმიტომ არ მქონია, რომ ნდობა არ იყო და არ მათამაშებდნენ. ვგრძნობდი, რომ შემეძლო უმაღლეს ლიგაში თამაში, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ყველგან არ მენდობოდნენ. ამის გამო, „თბილისიდან“ წამოვედი, პირველ ლიგაში გელა გომელაურის გუნდში ვთამაშობდი, შემდეგ „ბათუმში“. „ოლიმპშიც“ არ მენდობოდნენ და ექვსთვიანი არენდით, ლიტვის გუნდ „ვეტრაში“ ვთამაშობდი. თუმცა იქიდანაც მომიხდა წამოსვლა.

**- რატომ?**

- გუნდი საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ ტარხანოვმა, რომელიც მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ტრანსფერებზე იმხელა თანხა დახარჯა, დაითვალეს და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. არადა, უეფას თასის მესამე ეტაპზე გააღწიეს და „ბლექბერნმა“ გამოაგდო. ეს ლიტვური გუნდისთვის სერიოზული წარმატება იყო.

**- უნდობლობა ახსენე. „ვიტ ჯორჯიამდე“ ამის გამო ვერ იხსნებოდი?**

- რა თქმა უნდა, იყვნენ მწვრთნელები, რომლებიც მენდობოდნენ, მაგალითად, გელა გომელაური, ლუის ცაკარიასი, კობა ჟორჟიკაშვილი, ნუკრი გოგიტიძე... ამ უკანასკნელმა უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსი მომცა. „ვიტ ჯორჯიაში“ იმიტომაც გავიხსენი, რომ რამაზ მუმლაძე მენდო, მათამაშებდა და ნელ-ნელა ფორმაში შევედი. თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ახლანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ, ვგრძნობ, რომ მეტი შემიძლია, ბევრი მაქვს დასახვეწი. გამოცდილებაც მაკლია. თუ გამოცდილებას შევიძენ, მერე შედარებით უკეთესი ხარისხის ფეხბურთს ვითამაშებ.

**- ბომბარდირთა დავაში ვაწაძესთან ერთად ლიდერობ...**

- ეს ჩემთვის დიდი სტიმულია. ძალიან მინდა, ეს ტიტული მოვიპოვო, სამომავლოდ ბომბარდირობა ყველანაირად წამადგება, მათ შორის, ფსიქოლოგიურადაც.



ვახტანგ კვარაცხელია

**- რუსთავის „ოლიმპმა“ რატომ გაგიშვა?**

- მე „ოლიმპს“ არც ვეკუთვნოდი, „თბილისში“ ვიყავი გაფორმებული, კონტრაქტიც არ მქონდა და არ მათამაშებდნენ. თუმცა ეს უკვე ძველი ამბავია და ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. მიმაჩნია, რომ დღეისთვის საუკეთესო ქართულ გუნდში ვირიცხები და ამითიც კმაყოფილი ვარ.

**- „ვიტ ჯორჯიას“ თავად თუ არ დაუცდა ფეხი, უკვე იმხელა უპირატესობით უსწრებთ კონკურენტებს, რომ თამამად შეიძლება ითქვას - ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები ხართ.**

- ...მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჩემპიონობისთვის არ ვიბრძოლებთ, დუბლზეც ვფიქრობთ და იმედია, ტიტულებს შევავსებთ. საერთოდ, რამაზ მუმლაძემ მოახერხა ამ გუნდის შეთამაშება. მან სერიოზულ ძალად გვაქცია.

**- ისე, 20 წლის ფეხბურთელისთვის უჩვეულოდ ბევრი კლუბი გამოიცვალე...**

- მართალია, უკვე მეექვსე კლუბში ვთამაშობ: იყო „თბილისი“, „ოლიმპი“, „ბათუმი“, „ვეტრა“, ცხინვალის „სპარტაკი“ და „ვიტ ჯორჯია“.

**- აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ მალე „ვიტ ჯორჯიიდანაც“ წახვალ...**

- უახლოეს პერიოდში აქედან წასვლას არ ვაპირებ. ჯერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა გამოვიჩინო თავი. ახლა შეთავაზებაც რომ იყოს, ვერ დაიჯერებთ, მაგრამ არ წავიდოდი. ჯერ ნაადრევია ჩემთვის უცხოეთში თამაში, ბევრი რამ მაქვს დასახვეწი...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ | დავით ოდიკაძე



დავით ოდიკაძე

# ეტყობა, დიორის მწვრთნელს დავესიზმრე...

## დინამოში დარჩენას აზრი არ ჰქონდა, რადგან იგივე პირობები შემომთავაზეს. ნალჩიკი? შეიძლება, დავფიქრდე...

თბილისის „დინამოდან" კაპიტანი წავიდა. დავით ოდიკაძე კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე ფიქრობს. ტრანსფერი რეალურია. 27 წლის ნახევარმცველით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და კონტრაქტსაც სთავაზობს. საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს" მოთამაშეს საქმე უკვე ასარჩევადაც ჰქონია. ჩვენი საუბარი სწორედ ამ თემას შეეხო. ეტყობა, უკეთეს ლიგაში თამაშის პერსპექტივამ და საახალწლო განწყობამ ოდიკაძე ხალისიან განწყობაზე დააყენა...

**- დავით, მოკლედ, „დინამოში" თამაში დაასრულე?**

- დავასრულე, კონტრაქტი დამიმთავრდა და სადმე გადავალ, მაგრამ სად, ჯერ არ ვიცი, ეს უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**- უახლოეს დღეებში გაირკვევა? კი, მაგრამ, ახალი წელი მოდის და ტრანსფერისთვის ვის სცალია?**

- სანამ კონტრაქტს არ გავაფორმებ, მანამდე როგორ გითხრათ, რომ ესა და ეს კლუბი მიწვევს-მეთქი?

**- „დიორი" ხომ გიწვევს?**

- დიახ, ეს კლუბი მართლაც დაინტერესებულია.

**- „დიორი" „ზესტაფონს" შეხვდა და შენ სადღა განახეს?**

- რა ვიცი, აბა? ეტყობა, მწვრთნელს დავესიზმრე. ისე, მართლა საინტერესოა - როცა ჩავალ, პირველად ამას ვკითხავ.

**- „დინამოს" ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი არ შემოგთავაზა?**

- შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვი, დარჩენა აღარ მსურდა.

**- არადა, ორი კვირის წინ ამბობდი, „დინამოში" თამაში ჩემთვის დიდი ბედნიერებააო...**

- „დინამო" ნამდვილად არ არის უბრალო გუნდი და მისი მაისურის ტარებაც არ არის პატარა ამბავი. თუმცა დარჩენას რა აზრი ჰქონდა, როცა თითქმის იგივე პირობები შემომთავაზეს, რაც ადრე მქონდა.

**- „დიორში" ჯერ სინჯები უნდა გაიარო?**

- არა, პირდაპირ კონტრაქტი შემომთავაზეს. ჩემი აზრით, „დინამოს" ფეხბურთელი საშუალო ევროპული დონის კლუბში რომ მიდის, ის სინჯებზე არ უნდა დათანხმდეს.

**- „დინამო" „დინამოა", ეს გასაგებია, მაგრამ ზოგადად ქართული ფეხბურთის დაბალ რეიტინგს რა ვუყოთ?**

- ვიცი, მაგრამ შენ თუ საკუთარ კლუბს არ სცემს პატივს, სხვა საერთოდ არაფრად ჩაგაგდებს. ნამდვილად არ არის „დინამო" ისეთი სუსტი გუნდი, რომ აქედან უნგრულ კლუბში გასინჯვაზე წახვიდე.

**- უნგრელები ნორმალურ პირობებს გთავაზობენ?**

- საქართველოზე ბევრად უკეთესი პირობები აქვთ.

**- რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერ ხელს?**

- ორწლიანზეა ლაპარაკი. თუმცა ესეც არ არის ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი. 5 იანვარს ვიზას ველოდები. თუ მანამდე რაიმე წინადადება გამოჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და, უნგრელებთან გავაფორმებ ხელშეკრულებას.

**- მართალია, თითქოს რომელიღაც უკრაინული კლუბი და ნალჩიკის „სპარტაკიც" გიწვევენ?**

- უკრაინაში ზაპოროჟიეს „მეტალურგი" მიწვევდა, მაგრამ უარი ვუთხარი.

**- უარი უთხარი? რატომ?**

- დიახ, უარი ვუთხარი და მქონდა კიდეც საამისო მიზეზები.

**- მაგალითად...**

- უნგრელებისგან უფრო საინტერესო წინადადება მივიღე, მაინც ევროპული ქვეყანაა, მენტალიტეტი, საქმისადმი მიდგომა და დამოკიდებულებაც სხვანაირი აქვთ.

**- ნალჩიკის „სპარტაკი" რატომღა გამორიცხე?**

- რა დასამალია და, ნალჩიკელები ორიოდე დღის წინ დამიკავშირდნენ. თუ რეალური და მისაღები წინადადება იქნება, შეიძლება, დავფიქრდე.

**- აზერბაიჯანული კლუბისთვისაც უარი გითქვამს...**

- დიახ, ასეა. არადა, საკმაოდ სოლიდური კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ ჩემი იქ წასვლა, ავტომატურად ნაკრებიდან წასვლასაც ნიშნავდა და ფულის გამო, ამ ნაბიჯს ნამდვილად ვერ გადავდგამდი.

**- უნგრულ ფეხბურთზე თუ გაქვს რაიმე წარმოდგენა?**

- მთავარი ისაა, რომ ჩვენზე გაცილებით უკეთესი ჩემპიონატი აქვთ. ეს ნამდვილად ვიცი. როცა უნგრეთის ვარიანტი შემომთავაზეს, მას მერე ინტერნეტში ამ ქვეყნის ფეხბურთზე ვაგროვებ ინფორმაციას... სხვა რა ვთქვა, ძალიან მინდა ისეთ ლიგაში მოხვედრა, რომელიც გერმანიას, ავსტრიასა და სხვა საინტერესო ქვეყნებს ესაზღვრება. ჩემპიონატის თამაშებს კი სელექციონერები და მენეჯერები ესწრებიან... ჰოდა, რა იცი, რა ხდება...

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთის მიღმა | ინტერვიუ რაინერ ცობელთან

# ზედმეტად არც სუფრა მიყვარს და არც დასვენება

## ბრაიტნერმა დამირეკა და დინამოსთან ერთად წარმატებები მისურვა

თბილისის „დინამოს" თავკაცი რაინერ ცობელი უკვე სამშობლოშია. მან გერმანიას შაბათ საღამოსვე მიაშურა, როგორც კი მისმა გუნდმა წლის ბოლო მატჩი შთამბეჭდავად მოიგო და საახალწლოდ მწვრთნელი კარგ ხასიათზე დააყენა. თუმცა ცობელი ბევრად უკეთეს განწყობაზე იქნებოდა, „დინამოს" 2008 წელი პირველ ადგილზე დაესრულებინა...

...მაგრამ დღევანდელი ინტერვიუ ფეხბურთს არ ეხება. ცობელი „ლელოს" ხანმოკლე შვებულებაში გამგზავრებამდე გაესაუბრა. ახალი წელი მოდის და გადავწყვიტეთ, საქართველოში მოღვაწე უცხოელ სპეციალისტთან არასაფეხბურთო თემებზე გველაპარაკა. ამ მხრივ, ცობელი საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა. როცა დავურეკეთ, ჩვენთვის არ ეცალა, თუმცა ინტერვიუზე უარი არ უთქვამს...

- ახლა ჩემს მეგობრებთან ერთად „შერატონ მეტეხი პალასში" ვარ, მაგრამ „ლელოს" კითხვებს სიამოვნებით ვუპასუხებ. სხვა თუ არაფერი, ეს ხომ უძველესი სპორტული გაზეთია, და თანაც ყველაზე პოპულარული...

**- დიდი მადლობა. ჩვენი ინტერვიუს მიზანია, „დინამოს" თავკაცის პორტრეტი არასაფეხბურთო ჭრილში წარმოვადგინოთ. მეგობრებთან ერთად ვარო, მითხარით. ბევრი მეგობარი გყავთ საქართველოში?**

- ათიოდე მეგობარი მყავს. ისინი სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებულები. ერთი მათგანი გერმანიის საელჩოში მუშაობს, ის ხშირად ესწრება „დინამოს" თბილისურ მატჩებს, მაგრამ ფეხბურთთან საერთოდ შეხება არ აქვს...

**- იოზეფს გულისხმობთ?**

- (იცინის)... დიახ. ის პროფესიონალი სამხედროა.

**- ის ხშირადაა თქვენ გვერდით. ანუ საქართველოში სამხედრო გიცავთ?**

- (იცინის)... არა, რას ამბობთ, საქართველოში დაცვა და, მით უმეტეს, სამხედროს დაცვა რაში მჭირდება? დაცვა რომ დამჭირდეს, ქართველიც ბევრი მეგობარი მყავს და ისინი დამიცავენ. შობის შემდეგ მეგობრებთან ერთად კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ, დროებით სამშობლოში ვბრუნდები და მაცილებენ. ცხადია, 25 დეკემბერსაც მოვილხინეთ, ნამდვილად კარგი დრო გავატარეთ...

**- რამდენადაც ვიცი, სუფრა და ხუმრობა ძალიან გიყვართ...**

- შესაფერის მომენტში ესეც საჭიროა, მაგრამ ხომ იცით, გერმანელი ვარ და ზედმეტი არაფერი მიყვარს, არც სუფრა და არც დასვენება.

**- თქვენი საშობაო ნატვრა...**

- მშვიდობა... ვოცნებობ, მთელ მსოფლიოში მშვიდობა ყოფილიყოს, არანაირი ომი! მშვიდობის ფასი არაფერია, ის კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარია. შობაზე, როცა მეგობრებთან ერთად ვიქეიფეთ, სუფრაზე მეტწილად ამ სადღეგრძელოს ვსვამდით.

**- კარგით, შევეშვათ სუფრას და ახლა ეს გვითხარით - ხუმრობა თქვენი ვარჯიშების განუყოფელი ნაწილი ყოფილა...**

- ამის გარეშეც არ შეიძლება, მაგრამ პროფესიონალიზმი უპირველეს ყოვლისა! მე ამ პრინციპის ერთგული ვარ. ჩვენ ყველანი პროფესიონალები ვართ და საქმეს გულიანად ვაკეთებთ. როცა საჭიროა, ხუმრობაზეც არ უნდა თქვა უარი.

**- თბილისში მარტო ცხოვრობთ. რამდენად აქტიური ხართ სამზარეულოში? საუზმე, სადილი, ვახშამი... ყველაფერს თავად ამზადებთ?**

- უფრო ხშირად სუპერმარკეტებში ვყიდულობ. ისე, ზოგჯერ თავადაც ვამზადებ ხოლმე კერძებს.

**- მხოლოდ გერმანულს თუ ქართულსაც?**

- არა, ქართულს ვერა, გერმანულს. არადა, ქართული კერძები ძალიან მომწონს, ეგ არის, რომ მომზადება არ ვიცი.



რაინერ ცობელი

**- რომელია თქვენი საყვარელი კერძი, რომელსაც თავადვე ამზადებთ?**

- არის ერთი, ქათმის ხორცისგან მზადდება... თუმცა ძალიან მიყვარს ცხვრის ხორციც და ვცდილობ, ძირითადად ამგვარი კერძები მოვამზადო ხოლმე.

**- ქართული სამზარეულოდან რას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ხინკალს, ხაჭაპურსა და ქათმის კერძია ერთი, საოცრად გემრიელი, ინდაურისგანაც ამზადებენ... აღარ მახსოვს, რა ეძახით ქართველები?

**- საცივი ხომ არა?**

- ჰო, საცივი! ძალიან მაგარია!

**- ნოემბერში 60 წელი შეგისრულდათ...**

- დიახ, 3 ნოემბერს 60 წლისა გავხდი. მთელი „დინამო" დავპატიჟე სახლში და ეს დღე ზეიმად ვაქციეთ. სხვათა შორის, საიუბილეო სუფრაზე ბევრი ქართული კერძი მქონდა, ჩემი მეგობრების წყალობით...

**- როგორც გავიგე, დაბადების დღე ერთ-ერთმა პირველმა სიდედრ-სიმამრმა მოგილოცათ. უფრო მეტიც, სიდედრმა თურმე გიმღერათ კიდეც. ჩვენში ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია?**

- (იცინის)... იუბილე პირველმა მეუღლემ, ჩემმა კატერინამ მომილოცა. მერე შვილებმა დამირეკეს, „დინამოს" ხელმძღვანელობამაც... მერე კი სიდედრ-სიმამრმა და სხვათა შორის, მიმღერეს კიდეც...

**- მართლა გიმღერეს?**

- დიახ, არის ერთი საიუბილეო სიმღერა, დაბადების დღის მისალოცად მღერიან ხოლმე, და კიდევ ერთი ჩემი საყვარელი სიმღერა... მერე კი პაულ ბრაიტნერმა დამირეკა და მომილოცა, „დინამოსთან" ერთად წარმატებები მისურვა...

**- სუფრაზე რამდენს სვამთ?**

- ბევრის დალევა არ მიყვარს. სიმბოლურად ერთ-ორ ჭიქას ავწევ ხოლმე. საქართველოში ძალიან მომეწონა შავი ღვინო, რომელსაც თელავის ღვინის მარანში ვყიდულობ ხოლმე. ღვინოს და ლუდს ვსვამ ცოტ-ცოტას. არაყსა და კონიაკს საერთოდ ვერ ვიტან. უმეტესად კი გამაგრილებელ სასმელებს მივირთმევ.

**- ინტერნეტითაც ყოფილხართ გატაცებული...**

- თავისუფალი დროის დიდ ნაწილს მართლაც ინტერნეტს ვუთმობ. „სკაიპით" ჩემებს ვეკონტაქტები ხოლმე...

**- სიმღერა გიყვართ?**

- ყველაზე ძალიან როკ-ენ-როლი მიყვარს... ქართულ მუსიკასაც ხშირად ვუსმენ. ყველაზე მეტად კი საგალობლები მომწონს.

**- ცეკვავთ?**

- კი, ცეკვა ჩემი გატაცებაა. ვცდილობ, ყველანაირ ცეკვაში ჩავერთო ხოლმე. უკვე წლებია, როკ-ენ-როლს ვცეკვავ და ვფიქრობ, კარგადაც გამომდის.

**- მანქანებიდან რომელი მოგწონთ?**

- ძირითადად გერმანულები. ახალგაზრდობაში „პორშე" მყავდა. ახლაც, ახალგაზრდა რომ ვიყო, „პორშეს" რომელიმე სპორტულ მოდელს შევიძენდი. თუმცა დღეს იმ ასაკში ვარ, უფრო კლასიკურ მოდელებს ვწყალობ, „ფოლკსვაგენს" ან „ფორდს".

**- თქვენი მეუღლე და ვაჟი ყოფილან თბილისში...**

- დიახ, ოქტომბერში მესტუმრნენ მეუღლე და უმცროსი ვაჟი. ერთად ვიყავით საქართველო-ბულგარეთის მატჩზე და ქართულ გუნდს ერთგულად ვუგულშემატკივრეთ. ბულგარელები ყველაფერში დაჯაბნეთ, მაგრამ გოლი ვერაფრით გაიტანეთ, ძალიან გული დამწყდა. თუმცა ამაყი ვიყავი, რომ იმ ქვეყნის ნაკრებმა, სადაც ვმუშაობ, ბულგარელებს ყველაფერში აჯობა, ნუ თითქმის ყველაფერში...

**- ამბობენ, ფერით ხასიათის ნიშანთვისების გაგება შეიძლებაო. რა ფერი მოგწონთ?**

- მწვანე, ეს სიცოცხლის ფერია, ჭეშმარიტად ბუნებრივი ფერი.

**- რომელიმე შინაური ცხოველი თუ გყავთ?**

- ძაღლი. ის უაღრესად ერთგულია და ძალიან მომწონს... (იცინის) შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ 7 ძაღლი მყავს. ისინი ჩემი ერთგულები არიან. ახლა შინ დავბრუნდები და უკვე წარმომიდგენია მათთან შეხვედრა, ეს ძალიან ემოციური იქნება...

**- გერმანიისა და საქართველოს გარდა, რომელი ქვეყანაში იცხოვრებდით სიამოვნებით?**

- არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. დედაქალაქი აბუ დაბი ახლაც ტკბილად მახსოვს. საამიროებში ორ წელზე მეტხანს ვმუშაობდი, თბილი ქვეყანაა ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით.

**- თქვენზე ამბობენ, მოდურად ჩაცმა და კროსვორდების შევსება უყვარსო...**

- კროსვორდები? არა, კროსვორდები ნამდვილად არ მიყვარს. მოდურად ჩაცმაზე კი ნამდვილად არ ვამბობ უარს. ყოველთვის ვცდილობ, მოდას ფეხი ავუწყო. თუმცა, ჩემი აზრით, მოდა უმთავრესად ისაა, რაც გიხდება.

**- ცხოვრების შეცვლა რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით?**

- პირადი ცხოვრების თუ მსოფლიო მასშტაბით?

**- ჯერ პირადზე ვთქვათ...**

- არაფერს, რაც ვარ, ეს ვარ და ასეთი მინდა ვიყო... ჩემი განვლილი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. იმედი მაქვს, მომავლითაც ნასიამოვნები დავრჩები.

**- გლობალურზე რაღას იტყვით?**

- პირველ რიგში, თუ სადმე ომი და უბედურებაა, უმალ შევწყვეტდი და მთელ მსოფლიოში მშვიდობას დავამყარებდი, ისეთს, რომელიც არასდროს დაირღვევა. რელიგიური მრწამსისა თუ პოლიტიკური შეხედულებების გამო პლანეტაზე ტყვია არ უნდა გავარდეს. ძალიან შემაშფოთა აგვისტოს ომმა... მაშინ მხოლოდ დროებით დავტოვე თქვენი ქვეყანა. თბილისიდან მივფრინავდი, მაგრამ თვითმფრინავში ჩავიფიქრე, რომ აქ მშვიდობა მალე დაბრუნდებოდა და ომი არასდროს იქნებოდა... რუსებს ეს არ უნდა გაეკეთებინათ.

**- უკვე იმდენჯერ ახსენეთ მშვიდობა, ასე მგონია, „დინამოს" მწვრთნელს კი არა გაეროს გენერალურ მდივანს ვესაუბრები...**

- ქართველების ისტორიაზე მსმენია, რომ მუდმივად ომში იყვნენ და თავიანთ ქვეყანას იცავდნენ. შესაბამისად, მშვიდობის ფასი ამ ქვეყანაში კარგად ესმით. გაერო ახსენეთ? თუ ასეა, „დინამოს" შემდეგ ამ ორგანიზაციაში სიამოვნებით ვიმუშავებდი... ვინ იცის, იქნებ მართლაც ამ ორგანიზაციაში აღმოვჩნდე...

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა

# ანთალიაში მოვემზადებით...

## რატომ არ აძლევდათ ხელს სილაგავას ბრიგადა და როგორ მოვიყვანოთ ჯანზე შარიქაძე



გოდერძი ჩიხრაძე

საქართველოს ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი დასრულდა. როგორც იტყვიან, წინილების დათვლის დრო დადგა და დებიუტანტ „გაგრის" ხელმძღვანელობაც შედეგებს აჯამებს. როგორც ჩანს, გუნდის მწვრთნელ **ვლადიმერ ხაჩიძეს** გუნდის გადახალისების გეგმაზე უარის თქმა მოუწევს. უმაღლეს ლიგაში გამოსვლა მნიშვნელოვანია, გავარდნის საფრთხეც დასაფიქრებელია, მაგრამ „გაგრის" ხელმძღვანელობა სტრატეგიული კურსის შეცვლას არ აპირებს, ანუ ნიჭიერ ახალგაზრდებს გამოცდილი ფეხბურთელებით არ ჩაანაცვლებენ.

შესვენება ხანმოკლე იქნება. ლიგის დებიუტანტს უცხოური შეკრება აქვს დაგეგმილი. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, 17-დან 31 იანვრამდე „გაგრა" ანთალიაში მოემზადება. ამ გაგანია ფინანსური კრიზისის დროს, სატურნირო ცხრილის სახიფათო ზონაში მყოფი კლუბი თავს ამხელა ფუფუნების უფლებას რომ აძლევს, თავისთავად კარგია. ანთალიაში „გაგრა" ოთხ საკონტროლო მატჩსაც გამართავს, თუმცა მეტოქეთა ვინაობა ჯერ დაზუსტებული არ არის.

საინტერესო ფაქტი - ბოლო ტურში „გაგრის" შემადგენლობაში გამოჩნდა **თორნიკე მოსიაშვილი**, რომელიც სექტემბერში 17 წლის გახდა. ეს კლუბის ხელმძღვანელთა ახალგაზრდული კურსის დადასტურებაა. „ძლიერი თაობა მოდის და მათ ზრდის საშუალება უნდა მივცეთ. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი კლუბის პრეზიდენტი შეკრებისთვის ფულს არ ზოგავს. თბილისში საკუთარი საფეხბურთო სკოლის აშენებასაც ვაპირებთ. ეს საქმე აგვისტოს ომმა შეაფერხა. იმედია, ვითარება დაწყნარდება და ჩანაფიქრს მაინც განვახორციელებთ" - ამბობს ვიცე-პრეზიდენტი ჩიხრაძე.

ბოლო ტურში ცხინვალის „სპარტაკისა" და „გაგრის" მატჩს **ლაშა სილაგავა** სჯიდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მატჩამდე გაგრელთა ხელმძღვანელობა სილაგავას ბრიგადის დანიშვნამ უკმაყოფილო დატოვა.

ჩიხრაძემ ჩვენი ინფორმაცია დაადასტურა: „დასამალი რა არის, ეს ნამდვილად არ გვესიამოვნა. პრეტენზიები? ორი წლის წინ მათ „სპარტაკსა" და „გაგრას" შორის გადათამაშების შეხვედრა იმსაჯეს, რომელსაც სკანდალი მოჰყვა. არსებობდა გარკვეული ეჭვები, თუ რამდენად შეძლებდა იგივე ბრიგადა ამ პრინციპული შეხვედრის გაძღოლას. თუმცა აღმოჩნდა, რომ ტყუილად ვინერვიულეთ, ძალიან კარგად იმსაჯეს, გასახდელში შევედი და მადლობა გადავუხადე. სადაც მსაჯებს სამართლიანად ვაკრიტიკებთ, იქვე კარგ გარჯასაც არ ვუკარგავთ" - დასძენს „გაგრის" ვიცე-პრეზიდენტი.

და კიდევ ერთი ამბავი: არ არის გამორიცხული, 19 წლის **ლევან შარიქაძე** „გაგრამ" კიევში წაიყვანოს და სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტაროს - როგორ მოიყვანონ ჯანზე მოთამაშე, რომლის ნიჭიერებასაც ყველა აღიარებს. არადა, სუსტი აღნაგობის გამო, შარიქაძე ახალგაზრდული ნაკრების მიღმა რჩება. „გაგრაში" იმედოვნებენ, რომ გარკვეული მომზადების შემდეგ, შარიქაძე ამ მინუსის გამოსწორებას მოახერხებს. თამაში კი 19 წლის ნახევარმცველს ნამდვილად შეუძლია.

**მერაბ მამულაშვილი**

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

დაჯილდოება

# ყველაფერში პირველი...

## 35-ე სკოლამ პრიზები არავის დაუთმო

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში აუდიტორიის წინაშე თბილისის ფეხბურთის ფედერაცია წარდგა. მოგეხსენებათ, თფფ-ის (თბილისის ფეხბურთის ფედერაცია) ახალი პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა** ნახევარი წლის წინ მივიდა ორგანიზაციის სათავეში, შესაბამისად, გუშინ გამართული ეს შეხვედრაც ახალ ხელმძღვანელთა ნაღვაწის ერთგვარი შეჯამება იყო. ცაავას გვერდს უმშვენებდა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ნიკოლოზ დოლიძე**. ღონისძიებას დედაქალაქის მერიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

„სულ რაღაც 6 თვეა, რაც თბილისის ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მოვედით, - აღნიშნა დასაწყისში ნიკოლოზ დოლიძემ, - არჩევნებში გამარჯვებამდე ჩვენ სამოქმედო პროგრამა წარმოვადგინეთ, რასაც ეტაპობრივად ვახორციელებთ. ამ გეგმის ნაწილი უკვე შესრულებულია, ნაწილიც - დაგეგმილი და შესასრულებელი. გაცნობებთ იმასაც, რომ ჩვენი მხარდაჭერით პირველად ჩამოყალიბდა თბილისის ნაკრები. დედაქალაქის მერია დაგვეხმარება იმაში, რომ გაისად, აპრილში, ეს გუნდი თბილისთან დაძმობილებულ ფრანგულ ქალაქ ნანტში, საერთაშორისო ტურნირზე ქვეყნის მთავარი ქალაქისა და მთლიანად საქართველოს ღირსებას დაიცავს. ამ გათამაშებაში 1995-96 წლებში დაბადებული ჭაბუკები მიიღებენ მონაწილეობას. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ამ გუნდის მწვრთნელები გოჩა ავსაჯანიშვილი და გუბაზ დოლიძე იქნებიან. გარდა ამისა, თბილისის მერიის მხარდაჭერითვე, მაისში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება გვსურს. მასში თბილისთან დაძმობილებული ქალაქების გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. და კიდევ ერთი - ვერის ბაღში, ფეხბურთის გულშემატკივართა კუთვნილ ტერიტორიაზე თბილისის ფედერაცია, დედაქალაქის მერიასთან ერთად, ააშენებს ოფისს, რომელშიც, საფეხბურთო აკადემიის გარდა, გულშემატკივართა ოფისიც გაკეთდება".

ქართული ფეხბურთის ქომაგთა მხრიდან ამ დეტალების მოგვარებაზე **დევი დობორჯგინიძემ** ისაუბრა. მერიის წარმომადგენლებმა მას ამ საკითხში ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს.

ამის შემდეგ გაიმართა გამოკითხვის შედეგად გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. შეგახსენებთ, რომ რეფერენდუმში პრესის, ტელევიზიის, გულშემატკივრების, ვეტერანების წარმომადგენლები და მწვრთნელებიც მონაწილეობდნენ. გამორჩეულები სამ ნომინაციაში დააჯილდოეს - **2008 წლის საუკეთესო საფეხბურთო სკოლა, გუნდი** და **მწვრთნელი**. ყველა ნომინაციაში გამარჯვება დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე 35-ე საფეხბურთო სკოლას ხვდა წილად. შესაბამისად, **არჩილ არველაძეს**, როგორც სკოლის დირექტორს, მედალი, ვერცხლის მოოქრული ფირფიტა (წარწერით) და 3000 ლარი გადაეცა. საუკეთესო გუნდიც (1995 წელს დაბადებულები) 35-ე სკოლისაა და მას **გუბაზ დოლიძე** წვრთნის. გუნდს „ზალერის" სპორტული ფორმის კომპლექტი გადაეცა. საუკეთესო მწვრთნელი კი გუბაზ დოლიძე გახდა. პრიზის სახით მას 1500 ლარი გადაეცა.

გამოვლინდნენ საუკეთესო მსაჯებიც: მთავარი არბიტრი **ბორის ვლაშჩუკი**, ასისტენტები - **დავით ჩიგოგიძე** და **გიორგი ელიკაშვილი**.

და კიდევ: საფეხბურთო სკოლებს, რომელთაც C ლიცენზია დაიმსახურეს, გუშინ სერტიფიკატები გადასცეს. ეს არის 14 სკოლა - „მერანი", „ოლიმპიკი", „შევარდენი", „საბურთალო", „ამერი", „თ. სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია", „ოლიმპი", „ნორჩი დინამოელი", „35-ე საფეხბურთო სკოლა", „ვეფხვები", „იმედი", „ლოკომოტივი", „მთვარის გლობუსი", „მერანი 91".

**დავით ცაბაძე**



საუკეთესო საფეხბურთო სკოლის პრიზი გადაეცა არჩილ არველაძეს

დინამო



ფუად სალიპოვიჩი (მარცხნივ) და დანილო ტომიჩი

# ტომიჩი საეჭვოა, სალიპოვიჩი უფრო რეალურია

## ბალკანელები ტესტირებაზე. დაიკლოს ორი კილოგრამი და მერე ვნახოთ...

ათი დღის განმავლობაში თბილისის „დინამო" ორ ფეხბურთელს სინჯავდა. ლაპარაკია 23 წლის სერბ ცენტრალურ ნახევარმცველ **ფუად სალიპოვიჩსა** და 22 წლის ჩერნოგორიელ შუახაზელ **დანილო ტომიჩზე**. კვირას ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ. „დინამოს" თავკაცი რაინერ ცობელი ამ ფეხბურთელებს ორმხრივ საწვრთნელ მატჩშიც დააკვირდა. წლის ბოლო ტურის შემდეგ მოქმედი ჩემპიონიც შვებულებაშია და ბალკანელთა გამგზავრების ძირითადი მიზეზიც ეს უნდა იყოს. იანვარში, როცა ვარჯიშები განახლდება, შესაძლოა, ისინი კვლავ ვიხილოთ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მათ საკითხს „დინამოს" ხელმძღვანელობა ახლო მომავალში გადაწყვეტს.

მანამდე კი ორიოდ სიტყვით ბალკანელებზე: თბილისში ჩამოსვლამდე ტომიჩი ჩერნოგორიის პირველ ლიგაში მოასპარეზე „კომის" ღირსებას იცავდა. ამ კლუბთან მას კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია. სხვათა შორის, „დინამოს" ფორვარდ **ილია სპასოევიჩთან** ერთად ტომიჩს ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების მაისურაც მოურგია.

რაც შეეხება სალიპოვიჩს, ნახევარდაცვის გარდა მას დაცვაშიც შეუძლია თამაში. საყურადღებოა, რომ გასულ სეზონში, როგორც თავად ამბობს, ამპლუის კვალობაზე საკმაოდ ბევრი, 9 გოლი გაუტანია. ბოლოს ის სერბულ „ნოვი პაზაში" ირიცხებოდა, მანამდე კი ბოსნიურ „სარაევოსა" და ოდესის „ჩერნომორეცშიც" უთამაშია. უფრო დიდი შანსია, რომ „დინამომ" სწორედ სალიპოვიჩი აიყვანოს და ამის თავად ფეხბურთელსაც სჯერა. საქმე ისაა, რომ სინჯების დროს მას პირადად ესაუბრა რაინერ ცობელი და წონაში დაკლება (სულ რაღაც 2 კილოგრამზეა ლაპარაკი) ურჩია. ეტყობა, გერმანელმა სპეციალისტმა სალიპოვიჩში „დინამოსთვის" გამოსადეგი პოტენციალი დაინახა. მოკლედ, დაველოდოთ და ვნახოთ, რას გადაწყვეტს ცობელი.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

შეჯამება. ინგლისი

# მწვრთნელები მიდი-მოდიან, პრობლემა კი რჩება...

წლევანდელ პრემიერლიგაში „ბლექბერნ როვერსმა" 20 მატჩი ჩაატარა და 18 ქულა მოაგროვა. მცირე შესვენების წინ ერთადერთი ალბიონელი ქართველის, **ზურაბ ხიზანიშვილის** გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა. ის მხოლოდ „ვესტ ბრომვიჩს" უსწრებს, თანაც, მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით. კლუბის პრობლემას კი თან ჩვენებურის მთავარი საწუხარი ერთვის - უთამაშებლობა. წარმოიდგინეთ, დაცვის ცენტრში 20 მატჩიდან 19-ჯერ სასტარტოში **რაიან ნელსენი** იყო, ხოლო 18-ჯერ **კრისტოფ სამბა**. ხიზანიშვილმა სამჯერ ითამაშა - ორჯერ სასტარტოში და ერთხელაც შეცვლაზე. მან ერთადერთხელ დაარტყა მეტოქის კარში, სამჯერ დაჯარიმდა და ამდენჯერვე დაჯარიმდნენ მასზე, ორჯერ კი ყვითელი ბარათი მიიღო.

მოკლედ, „ბლექბერნის" 13 ნომერს ცუდად მისდის კარიერა. ამასობაში ხიზანიშვილმა ორი მწვრთნელის გამოცვლა მოასწრო - **პოლ ინსმა** ყოჩაღად დაიწყო სეზონი, მაგრამ მერე ისე ჩააფლავა საქმე, ზამთრის პირზე გადააყენეს კიდეც. სიტყვით ინსი მუდამ აქებდა ქართველ მცველს - ნამდვილი პროფესიონალია და მიუხედავად იმისა, თამაშობს თუ არა, გულმოდგინედ ვარჯიშობსო. არადა, ინსი ისევ სამბასა და ნელსენს ენდობოდა, თუმც ისინი, რბილად რომ ვთქვათ, სულაც არ ბრწყინავდნენ.

ამ სეზონში (ჩემპიონატში) ხიზანიშვილმა პირველად 1-ელ ნოემბერს ითამაშა. „ვესტ ბრომვიჩთან" საგარეო მატჩში ის 77-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. ამას მოჰყვა 90 წუთი „ჩელსისთან" და კიდევ ერთი სრული მატჩი - ამჯერად, „სანდერლენდთან". ჩემპიონატის გარდა, ხიზანიშვილმა სამჯერ „ქარლინგის თასზეც" ითამაშა.



ზურაბ ხიზანიშვილი

**სემ ელერდაისის** მისვლით ზურასთვის სიტუაცია არ შეცვლილა - ისიც ჯიუტად სამბასა და ნელსენს ათამაშებს. ასე რომ, არ გამოვრიცხავთ, ხიზანიშვილმა ზამთრის სატრანსფერო მიდი-მოდის დროს კლუბი შეიცვალოს, მით უფრო, რომ ამაზე ჯერ კიდევ შემოდგომისას აგორდა სპეკულაციები. თუ არა და, მწვრთნელი შეიძლება ისევ შეიცვალოს, მაგრამ პრობლემა დარჩეს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სკანდალი

# ჯერარდი დააკავეს

## ღამის კლუბში მომხდარი ჩხუბის შედეგად ექვსი ადამიანი დააპატიმრეს, დაზარალებულმა კი საავადმყოფოში ამოყო თავი



ინციდენტი ამ ბარში მოხდა, სტივ ჯერარდის ბენტლი მთელი ღამე ქუჩაში უპატრონოდ იდგა

**სტივ ჯერარდი** საპყრობილეში მიაბრძანეს. „ლივერპულის" კაპიტანს ეს უსიამოვნება გუშინ გამთენიისას შეემთხვა. პოლიციელები ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარ ინციდენტს იძიებენ. დაკავებულია ექვსი მამაკაცი, რომელთაც ბრალად ედებათ კლუბის დი-ჯეიზე თავდასხმა. ეს უკანასკნელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას სერიოზული დაზიანებები აღენიშნება, მაგრამ არც ერთი ეს დაზიანება სიცოცხლისათვის საშიში არ არის.

ბარის მიმდებარე ტერიტორიას გუშინ მთელი დღის განმავლობაში პოლიციელები იცავდნენ. თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ შენობის შიგნით, იატაკზე სისხლის კვალი შეინიშნებოდა. ბარის გარეთ მთელი ღამის განმავლობაში გაჩერებული იყო ავტომობილი „ბენტლი". ეს ჯერარდის მანქანა გახლდათ. არასწორი გაჩერებისათვის „ბენტლიზე" ჯარიმის ქვითარი იყო მიწებებული. მოგვიანებით, ავტომობილი ახალგაზრდა მამაკაცმა წაიყვანა. მან სამართალდამცავებს განუცხადა, რომ ჯერარდის მეგობარი იყო.

გუშინ ნაშუადღევს, "სანის" მიმომხილველებმა კაფედან გამომავალი **ალექს კურანი** დაინახეს. ალექსი სტივის მეგობარი გოგონა და მისი ორი შვილის დედაა. კაფედან სულ რამდენიმე მეტრში პოლიციის ის განყოფილებაა, სადაც „ლივერპულის" კაპიტანმა წუხანდელი ღამე გაათია. ალექსმა ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა. ის სწრაფად ჩაჯდა მანქანაში და იქაურობას გაეცალა.

მიმომხილველებმა ხელში ჩაიგდეს ღამის კლუბის მფლობელი **დარიო კურჩილიო**. მან განაცხადა, რომ სტივი მისი დაწესებულების ხშირი სტუმარია, რომ იმ საღამოს მეგობრებთან ერთად იყო მისული და „ნიუკასლთან" გამარჯვებას აღნიშნავდა. მისტერ კურჩილიომ თქვა, რომ წარმოდგენა არ აქვს, რა მოხდა ამის შემდეგ.

"ლივერპულის" პრესსამსახურს კომენტარი არ გაუკეთებია. კლუბთან დაახლოებულმა წყარომ მიმომხილველებს განუცხადა, რომ კლუბი მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას მხოლოდ დეტალებში გარკვევის შემდეგ გაავრცელებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ „მერსისაიდელებმა" „ნიუკასლი" 5:1 გაანადგურეს და პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერობა განიმტკიცეს. კაპიტანმა სტივ ჯერარდმა მეტოქეს ორი გოლი გაუტანა.

ევერტონი

# მოიესი: ფული არ გვაქვს

## გუნდური სულის ზეიმი გუდისონ პარკზე


ევერტონის თავკაცი
დევიდ მოიესი უფულობას უჩივის

„გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, რომ „ევერტონი" ფლორენციელი თავდამსხმელით, **ჯამპაოლო პაცინით** დაინტერესდა. 24 წლის ფეხბურთელი **ადრიან მუტუსა** და **ალბერტო ჯილარდინოს** ჩრდილშია მოქცეული. მას სხვაგან გადაბარგება უნდა, რათა როგორმე იტალიის ნაკრების თავკაცის **მარჩელო ლიპის** ყურადღებას ეღირსოს. მისით დაინტერესებულები არიან **ლევან მჭედლიძის** „პალერმო" და „სამპდორია".

პაცინის გარდა, ლივერპულელები სხვა ვარიანტებსაც განიხილავენ. მაგალითად რუსული „სპორტ ექსპრესი" ამტკიცებს, რომ „ლურჯებმა" მოსკოვის „ლოკომოტივს" ნიგერიელი ფორვარდის **პიტერ ოდემვინგიეს** გადაბირების სურვილი ოფიციალურად აცნობეს. 27 წლის ფეხბურთელის აგენტი **კრის ნათანიელი** ადასტურებს, რომ კლუბების წარმომადგენლები ერთმანეთს უკვე შეხვდნენ. ინგლისელებს ფეხბურთელის სეზონის ბოლომდე არენდით აყვანა სურთ, ხოლო მოსკოველებს მისი გაყიდვა ურჩევნიათ. გაუგებრობას სწორედ ეს გარემოება ქმნის. რუსი რკინიგზელების პრეზიდენტი **ნიკოლაი ნაუმოვი** აცხადებს, რომ უპირატესობას მიანიჭებს იმ კლუბის წინადადებას, რომელიც ნიგერიელის შეძენას მოისურვებს. მისთვის იჯარა მხოლოდ უკიდურესი გამოსავალია. ნათანიელის განცხადებით, „ევერტონი" არ არის ერთადერთი ინგლისური კლუბი, რომელიც აფრიკელის შეძენას ცდილობს. ოდემვინგიეს გადაბირება „ნიუკასლსა" და „ტოტენჰემსაც" უნდათო.

**დევიდ მოიესის** თანაშემწის, **სტივ რაუნდის** განცხადებით „სანდერლენდთან" მატჩის დასრულების შემდეგ მატჩის ერთ-ერთ გმირ **დენ გოსლინგს** თანაგუნდელებმა გასახდელში ოვაცია მოუწყვეს. დენმა კლუბში პირველი თამაში ჩაატარა და უმალ შეძლო თავის გამოჩენა. *„ბიჭებმა ფანტასტიკურად ითამაშეს. მათ ყოველ მოძრაობაში იგრძნობოდა დიდი ენერგია, საკუთარი ძალების რწმენა და მოგების წყურვილი. ჰოდა, გულშემატკივრებს შესანიშნავი თამაში ვაჩუქეთ. ახლა ბიჭები ერთ მუშტად არიან შეკრულნი. ყოველი მოთამაშე გუნდურობის სულითაა შეპყრობილი. 18 წლის დენ გოსლინგი შევიდა თუ არა გასახდელში, თანაგუნდელებმა მას დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს. გუნდის ყველა წევრი ძალიან ბევრს შრომობს, მათ ძალიან უჭირთ მძიმე გრაფიკის გაძლება, მაგრამ მაინც არავისი ეშინიათ, უბრალოდ, გამოდიან მოედანზე და თავიანთ საუკეთესო თამაშს გვაჩვენებენ"*, - აღფრთოვანებული უყვებოდა ბრიტანეთის სამაუწყებლო არხის ჟურნალისტს მერსისაიდელთა მწვრთნელი.

დევიდ მოიესმა გუნდის საიანვრო გეგმებზე კომენტარი გააკეთა: მისი თქმით, მართალია, გუნდის გაძლიერება აუცილებელია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს სატრანსფეროდ აუცილებელი თანხების გამოყოფას. ასე რომ, მის გუნდს ყველანაირ პრობლემასთან გამკლავება და დასახული ამოცანების გადაჭრა, ისევ და ისევ, შიდა რესურსების ხარჯზე მოუწევს. *„ბოლოს დროს „გუდისონ პარკზე" მართლა ძალიან ძლიერად ვთამაშობთ. თუკი გულშემატკივრები ისევე ერთგულად იდგებიან ჩვენ გვერდით, როგორც ეს „ჩელსისთან" მატჩზე იყო, დარწმუნებული ვარ, დასახულ მიზნებს აუცილებლად შევწვდებით.*

*გუნდს მალე დაუბრუნდება რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი და ეს გარკვეულ შეღავათს მოგვცემს, მაგრამ იაკუბუს კლასის თავდამსხმელი, რომელსაც რეგულარულად შეუძლია გოლების გატანა, მაინც ძალიან გვჭირდება. სამწუხაროა, მაგრამ აიგბენის კალიბრის ფეხბურთელის ყიდვის ფული ნამდვილად არ გვაქვს,"* - განუცხადა შოტლანდიელმა სპეციალისტმა „სქაი სპორტსს".

პორტსმუთი

# გლენ ჯონსონი პორტსმუთიდან მიდის?

## ადამსს დიარას ნაცვლად დრენტეს შეძენა სურს

ფინანსურმა კრიზისმა ხელი მთელ მსოფლიოს დაატყო. პრობლემები შეინიშნება ინგლისშიც. ამ ფონზე სულაც არ არის გასაკვირი, რომ წამყვანი კლუბები სხვების გაჭირვებაზე ხელის მოთბობას ცდილობენ. „ლივერპულმა" ინგლისის ნაკრების მარჯვენა მცველ **გლენ ჯონსონში** „პორტსმუთს" 9 მილიონი ფუნტი შესთავაზა. „ენფილდზე" 24 წლის ფეხბურთელის სათამაშოდ გადასვლა უკვე იანვარშია დაგეგმილი. მაშინ, როცა მერსისაიდელები, როგორც არასდროს უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში, ახლოს დგანან ჩემპიონის ტიტულთან, **რაფაელ ბენიტესს** საკმაოდ მაღალი ფასი არ აფრთხობს. როგორც ჩანს, ფულს არ დაიშურებენ არც კლუბის მფლობელები, **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჟილეტი**. გლენ ჯონსონს „პომპების" ბოლო ორ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ოფიციალურ მიზეზად ტრავმა დასახელდა, მაგრამ ეჭვი იმან აღძრა, რომ ფეხბურთელი არც ტრიბუნებზე შეუნიშნავს ვინმეს. „ფიფლი" ამტკიცებს, ფეხბურთელი რამდენიმე დღეა უკვე „ლივერპულის" ბაზაზეა და სიტუაციას ეცნობაო. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი „პომპებში" „ჩელსიდან" გადავიდა, სადაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ შეურიგდა. ახალ კლუბში მას **ალვარო არბელოას, სტივენ დარბისა** და **ფილიპ დეგენის** სახით ძალზე ძლიერი კონკურენტები ელიან. ნამდვილად ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, თუ რაში სჭირდება კლუბს ოთხი მარჯვენა მცველი, მაგრამ ფაქტია, რომ ესპანელი მწვრთნელი გლენის შეძენას მართლა გეგმავს.

რამდენიმე კვირის წინ **ალექსანდრ გაიდამაკი** არწმუნებდა **ტონი ადამსს**, რომ ლიდერებთან გამოთხოვება მას არ მოუწევდა, მაგრამ როგორც ჩანს, კლუბის მფლობელის ფინანსური მდგომარეობა იმაზე რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ვრცელდება ხმები, რომ ჯონსონის გარდა კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ სტორი ჯერმეინ დეფოსა** და **პიტერ კრაუჩის** გაყიდვაზეც აწარმოებს მოლაპარაკებებს. შეგახსენებთ, რომ კლუბმა რამდენიმე დღის წინ მადრიდის „რეალში" უკვე გაუშვა ნახევარდაცვის ლიდერი, ფრანგი **ლასანა დიარა**.

ესპანური „ასის" ცნობით, პორტსმუთელებს სამეფო კლუბიდან ჰოლანდიელი **როისტონ დრენტეს** იჯარით აყვანა სურთ შემდგომში მისი გამოსყიდვის პირობით. რამდენად შესწვდებიან ახალგაზრდა ფეხბურთელის ფასს ერთია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „ფეიენოორდის" ახალგაზრდულ გუნდში როისტონი ადამსის ახლანდელი თანაშემწის **ჯონ მეტგოდის** შეგირდი გახლდათ. გასაკვირი სულაც არ არის, რომ დაინტერესებაც აქედან მოდიოდეს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**


წელს გლენ ჯონსონმა ინგლისის ასოციაციის თასი მოიპოვა

ამბები

### რუნი: სტილის შეცვლას არ ვაპირებ

ძალიან ბევრი ფეხბურთელი და ჟურნალისტი **უეინ რუნის** ბრალს სდებს, რომ მინდორზე მისი აგრესიული ქმედებები ზოგჯერ თამაშის ფარგლებს სცილდება. მართლაც, მას სჩვევია მეტოქეებთან შეხლა-შემოხლა, მსაჯებთან კამათი, რასაც ავტომატურად მოსდევს ყვითელი ბარათები და დისკვალიფიკაციები. *„არა მგონია, ჩემი ტემპერამენტი ვინმეს განსაკუთრებულ პრობლემას უქმნიდეს. ყოველთვის მშვიდი ვარ როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. ძალზე ენერგიული და კარგი გაგებით აგრესიული ვარ, მაგრამ ვარ ისეთი როგორიც ვარ. ხასიათის შეცვლა არ შემიძლია და სიმართლე ითქვას, არც მინდა. თანაც, სულაც არ ვფიქრობ, რომ რაღაც დამატებითი ღონისძიებები უნდა გავატარო, რომ უფრო მეტად ვაკონტროლო საკუთარი თავი. ხანდახან ვგრძნობ, რომ ადამიანები ჩემში მხოლოდ ნეგატივის დანახვას ცდილობენ. რახან დიდი ხანია მიყურებენ, ავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ 23 წლის ვარ. ჩემთვის მთავარია, რომ ჩემი გულშემატკივრები და თანაგუნდელები ჩემს ხასიათს ადვილად ეგუებიან"*, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა.

### ფულერს დისკვალიფიკაცია ელის

„სტოკ სიტის" თავდამსხმელი **რიკარდო ფულერი** „ვესტ ჰემთან" მატჩის 51-ე წუთზე ძალზე უცნაურ ვითარებაში გააძევეს. მასპინძელმა **კარლტონ კოულმა** ანგარიში გაათანაბრა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდა ფეხბურთელებს შორის, მაგრამ ფაქტია, რომ 29 წლის იამაიკელმა თავისი გუნდის კაპიტან **ენდი გრიფინს** გვარიანი აპერკოტი ამოსცხო. რის გამოც, ბუნებრივია, წითელი ბარათი დაიმსახურა. *„რიკარდოს საქციელს გამართლება არ აქვს. ის მივიდა გუნდის კაპიტანთან და ყბაში მუშტი მოსცხო. დაუჯერებელია... ორშაბათს აუცილებლად შევხვდები ორივე მათგანს და დაველაპარაკები. რიკარდო აუცილებლად დაისჯება ამ თავხედობისთვის"*, - განაცხადა „სტოკის" თავკაცმა **ტონი პულისმა**.

### იანგი არ იყიდება

ალბათ წაიკითხეთ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა **პრედრაგ მიატოვიჩისა** და **რამონ კალდერონის** უსუსურმა შეცდომამ სამეფო კლუბი. მაღალჩინოსნებმა ორი ისეთი ფეხბურთელი გადაიბირეს, რომელთაც უეფას თასზე წელს უკვე ნათამაშები აქვთ და ორივეს სალიგო განაცხადში შეყვანა მოინდომეს. ეს მაშინ, როცა ნებისმიერ კლუბს უეფას კანონით მხოლოდ ერთი ასეთი ფეხბურთელის დამატების უფლება აქვს. იმედია, კალდერონს ეყოფა გონებაგამჭრიახობა და მესამის გადაბირებასაც არ მოინდომებს. თუმცა მოინდომებს თუ არა, ეს სულ არ აინტერესებს „ასტონ ვილის" თავკაც **მარტინ ონილს**. მან კომენტარი გააკეთა ესპანურ პრესაში გავრცელებულ ხმებზე, თითქოს მადრიდის „რეალს" **ეშლი იანგის** შეძენა სურდა. *„გეტყვით, რაშიც გახლავთ საქმე: „რეალისგან" ოფიციალური წინადადება არ მიგვიღია, მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია. თუ დამიჯერებთ, „მანჩესტერ იუნაიტედსაც" არ მიუღია ოფიციალური შეთავაზება კრისტიანო რონალდოსთან დაკავშირებით, მაგრამ მადრიდში პორტუგალიელის შეძენას რომ გეგმავდნენ, ყველამ იცის. ნებისმიერ შემთხვევაში, მივიღებთ თუ არა ასეთ შეთავაზებას, წინასწარ ვაცხადებ, მას არც კი განვიხილავთ. ფასს მნიშვნელობა არ აქვს, დაე იყოს 25 მილიონი გირვანქა, ეშლი იანგი არ იყიდება"*, - განაცხადა ჩრდილოირლანდიელმა სპეციალისტმა.

რეალი



# უეფამ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განცხადება გააკეთა

## ლასანა ან ჰუნტელაარი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მადრიდის „რეალში" შექმნილ ფრიად სამარცხვინო სიტუაციაზე ვისაუბრეთ. როგორც იცით, **პრედრაგ მიატოვიჩმა** დიდ შარში გაყო თავი. არცთუ დიდი ხნის წინ სამეფო კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ჰუნტელაარი და ლასანა დიარა** შეიძინა. ამ ტრანსფერების ერთადერთი მიზანი ტრავმებით დასუსტებული „რეალის" გამოცოცხლება გახლდათ. ესპანურმა გიგანტმა ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ფინალში გავიდეს. ეს მიზანი კი შემადგენლობის გაძლიერების გარეშე არ მიიღწევა. ჩვენი გაოცება კიდევ ერთხელ უნდა გამოვხატოთ და შევახსენოთ, ესპანური გრანდის გენერალურმა დირექტორმა პოსტ ფაქტუმ გაიგო, რომ ჩემპიონთა ლიგაში ორივე ახალწვეულის თამაში გამორიცხულია. ჰუნტელაარმა და დიარამ ამ სეზონში ყოფილი კლუბების („აიაქსი" და „პორტსმუთი") მაისურით უეფას თასზე იასპარეზეს. უეფას კანონმდებლობის მიხედვით, "რეალს" უფლება არ აქვს, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ორივე ახალწვეული შეიყვანოს. ევროპის უმაღლესი საფეხბურთო ორგანოს წესებით, ნებისმიერ გუნდს უეფას თასზე ნათამაშები მხოლოდ ერთი ფეხბურთელის გამოყენება შეუძლია. **მიშელ პლატინის** უწყების წარმომადგენლებმა ესპანელებს აცნობეს, რომ ისინი ცრუ ილუზიებით იკვებებოდნენ და ურჩიეს, პრობლემების მოგვარება სხვა გზით ეცადოთ. **რამონ კალდერონმა** რატომღაც გადაწყვიტა, რომ ამ გაუგებრობას პირადი ნაცნობობითა და პლატინისთან მეგობრობით მოაგვარებდა. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, სენიორ მიშელს პირადად შევხვდები და ვთხოვ, გამონაკლისის სახით ლასანა დიარასა და ჰუნტელაარის საჩემპიონთალიგო განაცხადში შეყვანის უფლება მოგვცესო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კალდერონი და მიშელ პლატინი დიდი მეგობრები არიან, მაგრამ საერთაშორისო ფეხბურთი და კანონმდებლობა ისეთი რამ არის, მეგობრობით ხშირად ვერაფერს მიაღწევ. მით უმეტეს, მაშინ, როცა ასეთ გახმაურებულ სკანდალთან გვაქვს საქმე. წარმოუდგენელი და გასაოცნებელი იქნებოდა, მიშელ პლატინის კალდერონისთვის თავზე ხელი გადაესვა და გამონაკლისი დაეშვა. მადრიდელებს ყველა პრობლემა უეფას კანონმდებლობის უცოდინრობის გამო შეექმნათ, ამიტომ მათ ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ახლა უეფას კარზე მისვლა და წუწუნი სამეფო კლუბს კიდევ უფრო სამარცხვინო მდგომარეობაში აყენებს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონმა პლატინიმ კალდერონს პირდაპირ და დაუფარავად განუცხადა, რომ ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორგანო გამონაკლისს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით უეფას საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლის **უილიამ გაილარდის** განცხადებას გაგაცნობთ:

*„უეფას ნორმატიული აქტი პირდაპირ ამბობს, რომ ამა თუ იმ კლუბს შუა სეზონში უეფას თასზე ნათამაშები ფეხბურთელების შეძენის შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ერთი მათგანის გამოყენების უფლება აქვს. ჩვენ თანავუგრძნობთ „რეალს", მაგრამ ამ კლუბს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვერ ჩავაყენებთ. ეს უბრალოდ გამორიცხულია. მადრიდელებს ვურჩევთ პრობლემები ალტერნატიული საშუალებებით მოაგვარონ. მათ საშუალება აქვთ, ისეთი მოთამაშეები გადაიბირონ, რომლებსაც უეფას თასზე არც ერთი შეხვედრა არ აქვთ ჩატარებული. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როცა საკამათო და გასარკვევი არაფერია. ყველა კითხვას უეფას კანონმდებლობა სცემს პასუხს".*

უილიამ გაილარდის ამ განცხადებამ ცხადყო, რომ უეფა დათმობაზე არ წავა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰუნტელაარი და ლასანა დიარა ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ერთად ვერ მოხვდებიან. „რეალის" ხელმძღვანელობამ მძიმე არჩევანი უნდა გააკეთოს. სანამ **ხუანდე რამოსი** გადაწყვეტილებას მიიღებს, მადრიდული გრანდის ჰოლანდიელმა ახალწვეულმა მოვლენები დააჩქარა და გუშინდელ პრესკონფერენციაზე საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა:

*„ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მე და ლასანას ერთად ვერ გვათამაშებენ. მთავარ მწვრთნელს არჩევანის გაკეთება მოუწევს. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სენიორ ხუანდე რამოსს გულწრფელად ვთხოვ, რომ განაცხადში მე შემიყვანონ. როცა სამეფო კლუბთან კონტრაქტს ვაფორმებდი, მითხრეს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ძირითად შემადგენლობაში ვიასპარეზებდი. თუ ამის საშუალება არ მომეცემა, ფაქტობრივად, მოტყუებული დავრჩები. ერთი სული მაქვს, ვარჯიში დავიწყო და ახალ გუნდს დავეხმარო. შესაძლოა, ჩემმა განცხადებამ ვინმე გააღიზიანოს, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ლასანა დიარაზე ადრე მოვედი და ვფიქრობ, თამაშს მე უფრო ვიმსახურებ. მოკლედ, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება და ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებ."*

მისასალმებელია, როცა ფეხბურთელს თამაშის წყურვილი ახრჩობს, მაგრამ ჰუნტელაარს უნდა ესმოდეს, რომ მიზანი საშუალებას არ ამართლებს. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჰოლანდიელი ფორვარდი ეგოცენტრიზმა შეიპყრო და გაჯიუტებული ბავშვივით იქცევა. ყოველ შემთხვევაში, უდავო ფაქტია, რომ განაცხადთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ხუანდე რამოსმა ყოველგვარი ზეწოლისა და პროტექციის გარეშე უნდა მიიღოს. მთავარი მწვრთნელი დაფიქრდება, სიტუაციას გაანალიზებს და ისე მოიქცევა, როგორც სამეფო კლუბის ინტერესები მოითხოვს. სენიორ რამოსმა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ ჰუნტელაარს აგრძნობინა, რომ მისი სენტიმენტალური გამოხდომები სრულიად უადგილოა:

*„ყველას უმორჩილესად ვთხოვ, რომ საკუთარ საქმეს მიხედოს. არც ერთი ფეხბურთელის გადასაწყვეტი არ არის, ამა თუ იმ ტურნირის განაცხადში რომელ მოთამაშეს შევიყვან. ეს ჩემი საქმეა და სხვების დაუხმარებლად მოვახერხებ საჭირო გადაწყვეტილების მიღებას. ჰუნტელაარის პრესკონფერენცია ჩემთვის სრულიად მოულოდნელი გახლდათ. არ დაგიმალავთ, გაოგნებული დავრჩი. მოკლედ, დროა, საქმეს სერიოზულად მოვეკიდოთ და საკუთარ კომპეტენციას არ გადავაჭარბოთ."*

ამასობაში, რამონ კალდერონმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა. ერთ-ერთი ესპანური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში „რეალის" პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პლატინისთან შეხვედრაზე ხელი ჯერაც არ აუღია. კალდერონი უეფას პრეზიდენტს ნებისმიერ შემთხვევაში შეხვდება და პირადად სთხოვს, რომ გუნდის მდგომარეობაში შევიდეს და გამონაკლისი დაუშვას. მოდით, ყველაფერს საკუთარი სახელი დავარქვათ. სენიორ რამონ კალდერონი ვინ მოთვლის მერამდენედ გვიმტკიცებს, რომ ძალიან თავხედი და მომაბეზრებელი ადამიანია. მიშელ პლატინის სათქმელი, რა თქმა უნდა, უილიამ გაილარდის ოფიციალური განცხადებით ითქვა, მაგრამ ესპანური გიგანტის უმაღლესი ხელისუფალი მაინც არ ცხრება და უტოპიური ოცნების ასრულების იმედს არ კარგავს. მისი ნებაა, პლატინის ძალიან თუ შეაწუხებს, შეხვედრა აუცილებლად შედგება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ფრანგმა საფეხბურთო ფუნქციონერმა უკან დაიხიოს და „რეალს" ჩემპიონთა ლიგაში ორივე ახალწვეულის შეყვანის უფლება მისცეს.

კორინთიანსი

# ძველი რონალდო აღარ იქნება!

## ...მაგრამ ფენომენი გულშემატკივრებს დროს სთხოვს

„კორინთიანსის" გულშემატკივრებს ერთი სული აქვთ, **რონალდო** მათი კლუბის მაისურს როდის მოირგებს და მეტოქეების კარს შეუტევს. რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებს. კლუბის ხელმძღვანელებმა მას მკაცრი რეჟიმი დაუწესეს. საშობაო დღესასწაულზე „ფენომენს" კალორიულ საჭმელთან ახლოს გაკარებაც კი აუკრძალეს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, რონალდო მწვრთნელებისა და ენდოკრინოლოგების მითითებებს პატიოსნად ასრულებს. ის სპორტულ დარბაზში ინდივიდუალურად ვარჯიშობს და მხოლოდ დიეტური პროდუქტებით იკვებება. შედეგიც სახეზეა, ბრაზილიელმა 5 კილო დაიკლო, თუმცა ეს მაინც არ არის საკმარისი. მან კიდევ 4 კილო უნდა დააგდოს. „კორინთიანსის" გულშემატკივრები კი ვერ ითმენენ და გენიალურ ფორვარდს სთხოვენ, რაც შეიძლება მალე დაიწყოს თამაში. ტორსიდის ერთი ნაწილი ამ სურვილს რადიკალური მეთოდებით გამოხატავს. ზოგი რონალდოს სახლთან მიდის და ყვირის, შე მსუქანო, ჭამას მოუკელი და დროზე ჩადექი ფორმაშიო. ზოგი კი „კორინთიანსის" ბაზასთან პიკეტს აწყობს, რონალდო რაც შეიძლება მალე გვანახეთო. ფორვარდი საყოველთაო აჟიოტაჟმა ძალიან შეწუხა და იძულებული გახადა, საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა:

*„მე ძალიან კარგად მესმის, რომ ქომაგებს ჩემი თამაშის ნახვა სურთ, მაგრამ ერთი საგულისხმო გარემოება მათაც უნდა ესმოდეთ. რამდენადაც არ უნდა მინდოდეს, მოვლენებს ხელოვნურად ვერ დავაჩქარებ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მოედანზე მოუმზადებელი რომ გავიდე, შესაძლოა, ტრამა გავიმიზეზო და საქმე გავირთულო. ჩემი აზრით, ჯობია ნაბიჯ-ნაბიჯ ვიარო წინ და ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ საუკეთესო კონდიციები დავიბრუნო. მწვრთნელები რეაბილიტაციის პროცესით ძალიან კმაყოფილი არიან. ჩვენ ერთად ვმუშაობთ. ფიზმომზადების სპეციალისტები და ენდოკრინოლოგებიც მაკვირდებიან. მოკლედ, საქმეს არნახული სერიოზულობით ვეკიდებით. დარწმუნებული ვარ, გრაფიკი არ დაირღვევა და თამაშს წინასწარ დაგეგმილ დროს დავიწყებ".*

პრესკონფერენციაზე რონალდომ აღიარა, რომ ძველებურ ბრწყინვალებას ველარასოდეს დაიბრუნებს: *„სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. შეუძლებელია, რომ ამ ასაკში და მრავალი სერიოზული ტრავმის შემდეგ ისე ვითამაშო, როგორც წლების წინ „ბარსელონაში", „ინტერში", ან „რეალში" ვთამაშობდი. იმედია, ეს ყველას კარგად ესმის და ჩემგან შეუძლებელს არ მოითხოვენ. მიუხედავად ყველაფრისა, მე შემწევს იმის უნარი, რომ მაღალ დონეზე ვიასპარეზო და „კორინთიანსს" წარმატების მოპოვებაში დავეხმარო".*



ბილბაო

# ბასკებს ყოფილი თანამშრომელი ჯალათად გამოეცხადა

„ბილბაო" მდიდარ კლუბთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნება. ბასკებისთვის თითოეული ევრო ძვირფასი და გასაფრთხილებელია. მათ ყველაფერი ისე აქვთ დაგეგმილი, რომ დამატებითი ხარჯის გაწევა თითქმის შეუძლებელია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბასკებს ძალიან სერიოზული პრობლემა შეექმნათ. საშობაო დღესასწაულის შემდეგ „ბილბაოს" მისი ყოფილი მმართველი **ფერნანდო ოჩოა** სასჯელივით გამოეცხადა. მან კლუბის ხელმძღვანელობას ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი წარუდგინა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ „ბილბაოს" სენიორ ოჩოასთვის 750 ათასიანი დავალიანება აქვს გასასტუმრებელი. ფერნანდო ოჩოა „ბილბაოში" 1982/2003 წლებში მუშაობდა. ახალი ხელმძღვანელობის მისვლის შემდეგ კი მას კონტრაქტი გაუწყვიტეს და სახლში გაუშვეს. როგორც ახლა ირკვევა, მისთვის საკომპენსაციო თანხა ბოლომდე არ გადაუხდიათ, არადა, ბასკური კლუბის ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალი **ფერნანდო გარსია მაკუა** ვალდებულებას იღებდა, რომ ოჩოას დავალიანებას უკანასკნელ ევრომდე გაუსტუმრებდა. გუნდის ბიუჯეტიდან ბატონი ფერნანდოს ანგარიშზე თანხების გადარიცხვა მართლაც დაიწყო, მაგრამ შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო ტრანსფერები შეწყდა და ოჩოა მოტყუებული დარჩა. როგორც ჩანს, მას ტყუილი დაპირებები და სენტიმენტალურ-პატრიოტული თხოვნები ყელში ამოუვიდა. კლუბის ყოფილმა მმართველმა სენიორ გარსია მაკუას მკაფიოდ დაუყენა საკითხი ან თანხა გადამიხადეთ, ან სასამართლოში მოგვიწევს შეხვედრაო. იმ შემთხვევაში, თუ „ბილბაოს" მესვეურები სასამართლომდე მიიყვანენ საქმეს და ოჩოასთან პროცესს წააგებენ, 750 ათასი ევროს გარდა სასამართლოს ბაჟის სახით დამატებით საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდი

# ბორუსია ნელში გაიმართა!

## კლოპის კონცეფცია ამართლებს, გუნდი ჯანმრთელია




ბორუსია

### პირველი წრის ტოპ-ფაქტები

■ ბუნდესლიგის 18 გუნდიდან მხოლოდ ოთხს არ წაუგია საკუთარ მოედანზე. „ბორუსია“ ერთ-ერთი მათგანია.

■ „დორტმუნდმა“ პირველ წრეში ყველაზე მეტი ფრე დააფიქსირა - 8. აქედან, 6 საკუთარ მოედანზე.

■ „ბორუსიის“ ახალწვეულებმა პირველ წრეში 15 გოლი გაიტანეს, რაც საუკეთესო შედეგია ბუნდესლიგაში.

■ იურგენ კლოპის გუნდმა კუთხურებიდან 6 გოლის გატანა შეძლო. ამაზე მეტი შედეგიანი კუთხური არც ერთ სხვა გუნდს არ ჩაუწოდებია.

■ პირველ წრეში თამაშის წესები ყველაზე იშვიათად (253-ჯერ) „დორტმუნდის“ ფეხბურთელების წინააღმდეგ დაირღვა.

**როდესაც იურგენ კლოპი** დორტმუნდის „ბორუსიის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ამ გუნდის ქომაგების მრავალრიცხოვანი არმია ეიფორიაში ჩავარდა. მკითხველს კარგად ეხსომება, რა ამბავი იყო ზაფხულში დორტმუნდში, როდესაც კლოპი წარადგინეს. ეს არის მწვრთნელი, რომელიც გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპეციალისტად მიიჩნევა. იურგენმა სახელი „მაინცის“ თავკაცის რანგში გაითქვა, როცა ბუნდესლიგაში გადასვლის შემდეგ ამ გუნდს ფაქტობრივად სასწაულები აკეთებინა და ასე განსაჯეთ, უეფას თასზეც კი გაიყვანა.

თავის დროზე, „ბორუსიის“ ფანები მთავარი მწვრთნელის პოსტზე **თომას დოლის** დანიშვნამაც ძალიან გაახარა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმედები ვერ გაამართლა და „დორტმუნდი“ წარმატების გზაზე ვერ დააბრუნა. ისე, ქომაგებს კლოპმაც იგივე დაპირება მისცა, რაც დოლმა - მინდა, რომ ეს გუნდი სწორ გზაზე დავაყენო და „ვესტფალენშტადიონის“ შესანიშნავი პუბლიკა კვლავ აღფრთოვანებული ვიხილო, „ბორუსია“ ის გუნდია, რომელიც გრანდობას იმსახურებსო.

მას მერე ნახევარი სეზონი გავიდა და პირველი დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია. დორტმუნდელებმა პირველი წრე 29 ქულით მე-6 ადგილზე დაასრულეს - 7 მოგება, 8 ფრე, 2 მარცხი. დიახ, მხოლოდ 2 წაგება, რაც საუკეთესო შედეგია „ბაიერნთან“ ერთად. 17 ტურის შემდეგ, 2-2 წაგება მხოლოდ „დორტმუნდს“ და მიუნხენურ გიგანტს აქვთ. ცნობისათვის, 3 მარცხიც კი არ აქვს არავის - 4-4 წაგება აქვთ „ჰოფენჰაიმს“, „ჰერტას“, „ჰამბურგს“ და „შალკეს“.

ამრიგად, პირველი წრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, კლოპმა დანაპირები შეასრულა: გუნდი წარმატების გზაზე დააყენა. მე-6 ადგილი იდეალური შედეგი არ არის, მაგრამ ის ფაქტი, რომ „ბორუსია“ სტაბილური გუნდი გახდა და მისი დამარცხება აღარ არის ისეთი იოლი, როგორიც შარშან, შარშანწინ ან იმის წინ იყო, უკვე სერიოზულ პროგრესზე მიუთითებს. თანაც, როცა საჭიროა, კლოპის ბიჭები შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და თუ დასჭირდათ, დაცვითი ფეხბურთიც კარგად გამოსდით დევიზით: „არც ჩვენ ვითამაშებთ და არც თქვენ გათამაშებთ.“ შესაბამისად, ფანებმა იოლად გადაიტანეს უეფას თასიდან გავარდნაც (უდინეზესთან).

გასულ სეზონში „ბორუსიის“ უმთავრესი პრობლემა დაცვის ხაზი იყო: შარშან ვესტფალიელებმა 62 გოლი გაუშვეს, რაც ნეგატიური რეკორდი გახლდათ. გეხსომებათ, რა დღეში აგდებდნენ კრიტიკოსები **რობერტ კოვაჩს** და **კრისტიან ვიორნსს**. კლოპის ხელში კი დაცვის ხაზი ძალიან გაახალგაზრდავდა და შედეგიც სახეზეა. „ბაიერნიდან“ არენდით აყვანილმა **მატს ჰუმელსმა** და „მაინციდან“ კლოპის დაჟინებული მოთხოვნით შეძენილმა **ნევენ სუბოტიჩმა** დაცვაში მთლად გაუვალი, ბეტონივით უკანა ხაზი ვერა, მაგრამ ძალიან სტაბილური და ძლიერი დუეტი შექმნეს. საინტერესო კი ისაა, რომ ისინი ახლახან გახდნენ 20 წლისანი. ამასთან, კლოპის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გუნდმა ფაქტობრივად უმტკივნეულოდ გადაიტანა მარცხენა მცველის, **დედეს** ტრავმა, რომელიც შეუცვლელი ფიგურა იყო. დაცვის მარცხენა ფლანგზე სეზონის დასაწყისში ახალგაზრდა და გამოუცდელი **მარსელ შმელცერი** დადგა, რომელსაც არაფერი გაუფუჭებია, მოგვიანებით კი შედარებით გამოცდილი **იან პიო ლი**. დაცვის მარჯვენა ფლანგისთვის კი „კლოპომ“ ბრემენიდან **პატრიკ ოვომოიელა** წაიყვანა და ასე შედგა სტაბილური უკანა ხაზი, რომლის დამსახურებაა ის, რომ დორტმუნდელებმა 17 თამაშში მხოლოდ 19 გოლი გაუშვეს.

ნახევარდაცვაში ახალწვეული **ტამაშ ჰაინალი** იდეალური შენაძენი გამოდგა. უნგრელმა გამთამაშებელმა „ბორუსიას“ პირველი ტურიდანვე დაატყო თავისი შესაძლებლობები და პირველი წრის შემდეგ მის ანგარიშზე 3 გოლი და 6 საგოლე პასია. მასთან ერთად, ფორმის პიკს მიაღწია პოლონელმა **იაკუბ „კუბა“ ბლაშჩიკოვსკიმ**, რომელსაც ახლა მთხოვნელების რიგი უდგას და როგორც ირკვევა, „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელის, **რაფა ბენიტესის** ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოთამაშეა. კუბასთვის ეს მეორე სეზონია ბუნდესლიგაში და თუკი შარშან დიდად გამორჩეული ფიგურა არ ყოფილა, წელს შეგვიძლია, „დორტმუნდის“ ერთ-ერთ ლიდერად შევრაცხოთ. თანაც, კლოპმა მას პოზიცია შეუცვალა და მეორე, დამხმარე თავდამსხმელის პოზიციაზე ათამაშებს. „კიკერის“ შეფასებების მიხედვით, ბლაშჩიკოვსკი პირველი წრის შემდეგ „ბორუსიის“ საუკეთესო ფეხბურთელია.

ერთადერთი პოზიცია, რომელიც კლოპმა ვერ დაალაგა, თავდასხმაა. ზაფხულში მან „ჰამბურგს“ **მლადენ პეტრიჩი მოჰამედ ზიდანში** გაუცვალა (თან „ბორუსიამ“ ზედ 4.5 მილიონი ევროც მიიღო). ზიდანმა მხოლოდ 4 გოლის გატანა შეძლო და ამაზე უკეთესი მაჩვენებელი „დორტმუნდის“ არც ერთ თავდამსხმელს არ აქვს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კლოპი ეგვიპტელს ყველაზე ხშირად ენდობოდა - როგორც იცით, ზიდანი პირადად მისი უსაყვარლესი მოთამაშეა. და ეს იმ დროს, როცა პეტრიჩმა „ჰამბურგში“ „აფრები აუშვა“ და გუნდის ბომბარდირია. ამას წინათ „ჰამბურგის“ ბოსმა **ბერნდ ჰოფმანმა** ცინიკურად თქვა კიდეც, „ბორუსიას“ ვემადლიერები, პეტრიჩი რომ დაგვითმესო. კლოპი ახირებული კაცია და ზიდანის ტრანსფერიც მისი აჩემება იყო, თუმცა ჯერჯერობით პეტრიჩი-ზიდანის გაცვლა მას შეცდომაში ეთვლება. თუმცა, ბოლო ტურებში ზიდანი თითქოს გამოცოცხლდა და წესით, მეორე წრეში უფრო შედეგიანი უნდა იყოს.

„ბორუსიის“ ფანები უაღრესად კმაყოფილები არიან იმითაც, რომ პირველ წრეში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო „ვესტფალენშტადიონიდან“ სამი ქულის წაღება. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვესტფალიელებს საშინაო მატჩების მოგება საკმაოდ უჭირდათ. თვითონ განსაჯეთ: „ვესტფალენშტადიონზე“ ჩატარებული 9 თამაშიდან, „ბორუსიამ“ მხოლოდ სამში იმარჯვა, ექვსი კი ფრედ დაასრულა. *„მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელია, ამ ეტაპზე ესეც საკმაოდ კარგია,“* - ამბობს კლოპი.

„ბორუსიის“ გოლეადორებს რომ გადავხედოთ, აღმოვაჩენთ, რომ თურმე პირველი წრის შემდეგ, საუკეთესო ბომბარდირი არც თავდამსხმელია და არც ნახევარმცველი. 5 გატანილი გოლით (არც ერთი პენალტი) ცენტრალური მცველი სუბოტიჩი ლიდერობს, რომელიც კლოპმა „მაინციდან“ წამოიყვანა. როდესაც ტრანსფერი განხორციელდა, კლოპი მომავლის ინვესტიციაზე საუბრობდა, არადა სუბოტიჩმა იმედების გამართლება მოსალოდნელზე გაცილებით ადრე დაიწყო.

პირველ წრეში „დორტმუნდი“ საუკეთესო სამეულს მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩა. სამეულს იმიტომ ვამბობთ, რომ „ბორუსიის“ ფანების ოცნება ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. საოცნებო მიზნის მიღწევა რეალურია - მთავარია, კლოპმა და კომპანიამ რიტმი არ დაკარგონ...



ბუნდესგუნდი ევროტრიუმფის შემდეგ. 1996-2008

# უემბლის გმირები დღეს

**1996 წელს** გერმანიას მთლად ისეთი მაგარი ვერა, როგორიც 1990-ში, მაგრამ ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავდა. **ბერტი ფოგთსის** ბუნდესგუნდი მაშინ ევროპის ჩემპიონი გახდა და რაც ყველაზე საინტერესოა, მაშინდელი ბუნდესფეხბურთელები დღეს გერმანულ ფეხბურთში ამინდს ქმნიან. 12 წლის წინათ **იურგენ კლინსმანი, მათიას ზამერი** და **ოლივერ ბირჰოფი** ევროპის ჩემპიონობის გარანტები იყვნენ, დღეს კი სამივეს ძალიან სერიოზული პოსტები უკავია. ბუნდესგუნდის მაშინდელ შემადგენლობაში 23 ფეხბურთელი იყო და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე წარმატებული კარიერა სწორედ ამ სამეულმა მოიწყო.

მართალია, ბერტი ფოგთსის გუნდის კრედო ასეთი იყო: „ვარსკვლავი თვითონ გუნდია!“, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ სამეულმა განაპირობა გერმანიის ევროპის ჩემპიონობა, ფინალში „უემბლიზე“ ჩეხეთის დამარცხება. შეცვლაზე შესულმა ბირჰოფმა ფინალში ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ლეგენდარული „ოქროს გოლიც“ გაიტანა. კლინსმანმა დედოფალ **ელისაბედ მეორისგან** ევროპის თასი მიიღო, ზამერი კი იმ წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ მას მერე გერმანელ მოთამაშეს ოქროს ბურთი აღარ აუღია.

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის გმირები გერმანულ ფეხბურთს სხვადასხვაგვარად შემორჩნენ. ცოტა ხნის წინათ **მარკუს ბაბელმა** ძალიან საპასუხისმგებლო პოსტი მიიღო - ერთ დროს წარმატებული მცველი „შტუტგარტის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, შეცვალა რა ამ თანამდებობაზე **არმინ ფეე**. *„არ ვიცი, იყო თუ არა ჩემი დანიშვნა შემთხვევითობისა და იღბლის დამსახურება. ფაქტი ის არის, რომ ევრო 96-ის გმირების კარიერული წინსვლა არ მიკვირს, რადგან იმ გუნდში პასუხისმგებლობას არავინ გაურბოდა, ყველანი ყველანაირად მაგრები ვიყავით,“* - ამბობს ბაბელი.

ევროპის ჩემპიონატისთვის მაშინდელ ბუნდესმწვრთნელ ბერტი ფოგთსს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა. ბოლოს ფოგთსს ფრაიბურგელი **იენს ტოდტის** (დღეს „ჰამბურგის“ ბავშვთა გუნდების კოორდინატორია) გამოძახება მოუხდა. არსებობდა ე.წ. სათადარიგო გეგმაც, რომლის მიხედვითაც სათადარიგო მეკარეებს, **ოლივერ კანს** (დღეს სატელევიზიო ექსპერტია) და **ოლივერ რეკს** („შალკეს“ მეკარეების მწვრთნელი) მინდვრის ფეხბურთელების რანგში უნდა ეთამაშათ.

სამწვრთნელო ასპარეზზე კლინსმანის პირველივე ნაბიჯი უსერიოზულესი იყო - იურგენი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 2004-დან 2006 წლამდე წარმატებით იმუშავა. კლინსიმ, როგორც მწვრთნელმა, საკლუბო ფეხბურთშიც იდეალურად შეაბიჯა - დღეს მიუნხენის „ბაიერნს“ წვრთნის.

საინტერესოა ის, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელობისას კლინსმანი კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ზამერი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორად დანიშნულიყო და ამ თანამდებობაზე გერმანიის ჰოკეის ნაკრების (!) თავკაც **ბერნჰარდ პეტერსს** ლობირებდა, მაგრამ ამ თანამდებობაზე მაინც ზამერი დაინიშნა. დაინიშნა და გაამართლა კიდეც - ნებისმიერ საფეხბურთო ექსპერტს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირს დიდი ხანია, ასეთი წარმატებული სპორტული დირექტორი არ ჰყოლია. ზამერი შესანიშნავად მუშაობს. *„ჩვენ მასზე უდიდეს იმედებს ვამყარებთ. ზამერი ფაქტობრივად გერმანიის საფეხბურთო კავშირის სახეა,“* - აცხადებს პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**.

ბირჰოფი კი გერმანიის ნაკრების მენეჯერია 2004 წლიდან, თუმცა ზამერისგან განსხვავებით, ოლივერი დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს. ამბობენ, ისეთივე ამპარტავან პიროვნებად დარჩა, როგორიც ფეხბურთელობის დროს იყოო. მაშინდელი ბუნდესგუნდის პირველი გოლკიპერი **ანდრეას კიოპკე** დღეს გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელია. დიდი ხნის განმავლობაში გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი იყო **დიტერ აილტსი**, რომელსაც ნოემბრის დასაწყისში კონტრაქტი გაუწყვიტეს. ახლა აილტსი როსტოკის „ჰანზას“ წვრთნის.

**შტეფან კუნტცი** „კაიზერსლაუტერნის“ შეფია, **ანდრეას მიოლერი** ოფენბახის „კიკერსის“ მწვრთნელი და მენეჯერი გახლავთ. **იურგენ კოლერი** „აალენში“ მუშაობს, **თომას შტრუნცი** კი ესენის „როტ-ვაისის“ სპორტული დირექტორია.

კანი, **მეჰმეთ შოლი, ფრედი ბობიჩი, თომას ჰელმერი** და **მარკო ბოდე** სატელევიზიო ექსპერტები არიან. **კრისტიან ციგე** უმუშევარია. ეს უკანასკნელი მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ მთავარი მწვრთნელის, **ჰანს მაიერის** ასისტენტი გახლდათ და დეკემბრის დასაწყისში პოსტი დატოვა. მანამდე ციგე ამ გუნდის სპორტული დირექტორი იყო...

ჰო, მართლა: 1996 წლის ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი წინსვლით ვერ დაიკვეხნის. დღეს ბერტი აზერბაიჯანის ნაკრებს წვრთნის, რომელიც 134-ეა ფიფას რეიტინგში. როგორც ჩანს, მისი დრო წარსულს ჩაჰბარდა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ანდრეი შევჩენკო

# არსად წასვლას არ ვაპირებ

## უკრაინელი ამ მდგომარეობაშიც ბედნიერია

**ანდრეი შევჩენკო შვებულებას ბარბადოსზე ატარებს და მეუღლესთან ერთად სანაპიროზე ნებივრობს. უკრაინელს „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტი შეეხმიანა და ინტერვიუ ჩამოართვა. საუბარი განვლილ წელიწადს, სეზონის პირველ ნახევარს და სამომავლო გეგმებს შეეხო. ვფიქრობთ, ჟურნალისტის და ანდრეის დიალოგთან გაცნობა თქვენთვისაც საინტერესო იქნება.**

**- ვერ ვიტყვით, რომ ეს წელი თქვენთვის ოქროსი იყო. თქვენ თუ ხართ კმაყოფილი?**

- თუ საფეხბურთო კუთხით ვიმსჯელებთ, მართლაც არ ყოფილა საუკეთესო წელიწადი. ჯერაც ვერ ჩავდექი სასურველ ფორმაში და ვერ ვაჩვენებ იმ თამაშს, რომელიც გულშემატკივარს გაახარებს. მეორე მხრივ, წელს „მილანში“ დავბრუნდი, რაც ძალიან მახარებს და საფეხბურთო კარიერის გაგრძელებისთვის სტიმულს მაძლევს. მილანში თავს ბედნიერად ვგრძნობ და ეს ოპტიმალური ფორმის დასაბრუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- იტალიის ჩემპიონატს „ინტერი“ ლიდერობს, რამდენად შესწევს ძალა „მილანს“ სკუდეტოსთვის საბრძოლველად?**

- ჩვენ პირველობისთვის ვიბრძვით და დარწმუნებული ვარ, ბოლომდე ასე იქნება. „ინტერს“ გვარიანი ფორა აქვს, თუმცა ეს ნამდვილად არ გვაშინებს. ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას დუბაიში გავივლით, სადაც სავარჯიშოდ ყველა პირობაა შექმნილი. ძალიან კარგი ამინდია და შესანიშნავი მინდვრები, ჩვენც მეტი რა გვინდა. უნდა ვივარჯიშოთ და არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ. თუ „მილანი“ ბოლომდე გაიხსნება, ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს.

**- წელი დიდებული გამარჯვებით დაასრულეთ, ცუდ დროს ხომ არ დაიწყო ზამთრის შესვენება?**

- „უდინეზესთან“ ნამდვილი სპექტაკლი ვიხილეთ. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ რამდენ დიდი შესაძლებლობის გუნდია „მილანი“. შესვენება დროულია, რადგან ყველაზე მეტად სტაბილურობა გვაკლია. „უდინეზესთან“ გამარჯვება მომდევნო პაექრობაში წარმატების გარანტი ნამდვილად არ არის, მთავარია, დუბაიში კარგად მოვემზადოთ და მეორე წრეში სტაბილურად ძლიერები ვიყოთ.

**- ბექჰემზე რას იტყვით, რას შემატებს ინგლისელი გუნდს?**

- ბექჰემი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მას დიდი შესაძლებლობა აქვს და ბუნებრივია, გუნდს გააძლიერებს. მას ერთნაირად კარგად შეუძლია თამაში ფლანგზე და ცენტრში. დევიდის პასებით სიამოვნებით გავიტან გოლებს, იმედია, ერთად თამაშის საშუალება მოგვეცემა. უკვე ვესაუბრე მას და საკმაოდ დადებითი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან უნდა, რომ გუნდისთვის მაქსიმუმი გაიღოს. მითხრა, რომ მილანში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვიდა და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯება.

**- ლონდონი არ გენატრებათ?**

- ლონდონი დიდებული ქალაქია, იქ თავს ნამდვილად კარგად ვგრძნობდი, თუმცა რომ გითხრათ მენატრება-მეთქი, მოგატყუებთ. ინგლისში ყოფნისას „მილანი“ ნამდვილად მენატრებოდა და ამას არც ჟურნალისტებთან საუბარში ვმალავდი. იტალიაში არაერთი წელი მაქვს გატარებული და ამ ქვეყანას მეორე სამშობლოდ მივიჩნევ. ამიტომ ვამბობ, რომ მილანში თავს ბედნიერად ვგრძნობ და არსად წასვლის სურვილი აღარ მაქვს.

**- არადა, თქვენ გარშემო უამრავი ჭორია, ამბობენ, შევას „რეალში“ სურს წასვლაო.**

- სრული სისულელეა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. ჩემი ერთადერთი მიზანი „მილანში“ დარჩენა და ძველი ფორმის დაბრუნებაა. თავდაუზოგავად ვვარჯიშობ და ვგრძნობ, რომ კვირიდან კვირამდე ვუმატებ. დარწმუნებული ვარ, მეორე წრეში საკუთარ სიტყვას ვიტყვი. თუმცა ჩემთვის უმთავრესი გუნდური ინტერესებია და ყველაზე მეტად ის მსურს, გუნდმა დასახულ ამოცანებს მიაღწიოს.

**- ანუ, მოიგოს სკუდეტო და უეფას თასი.**

- სამწუხაროდ, იტალიის თასიდან გამოვვარდით და ისლა დაგვრჩენია, ამ ორი ტროფეისთვის ვიბრძოლოთ. პრიორიტეტი სკუდეტოა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროასპარეზზე თავს დავზოგავთ. უეფას თასის მოგება ჩვენთვის ძალზე საპატიო იქნება და ვეცდებით, მიზანს მივაღწიოთ. რაც შეეხება ეროვნულ პირველობას, აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არა არის. სკუდეტო უპირველესი საზრუნავია.

**- არ გიჭირთ ჩემპიონთა ლიგის გარეშე?**

- ჩემპიონთა ლიგაში მომავალ სეზონში ვითამაშებთ, იქამდე კი გუნდის თამაშის ხარისხი კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ. უეფას თასი კი იმაზე უფრო სერიოზული ტურნირი გამოდგა, ვიდრე წარმომედგინა. ამ გათამაშებაში კონკურენტუნარიანი გუნდები ასპარეზობენ და ეს საკუთარ თავზე არაერთხელ გამოვცადეთ. უეფას თასზე თამაშმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საფეხბურთო დონე გათანაბრდა და სუსტი გუნდები ევროთასებზე არ თამაშობენ.

**- მერვედფინალში „ვერდერს“ ხვდებით, უეფას თასის კვალობაზე ნამდვილი მეგამატჩია.**

- ეს დუელი ჩემი სიტყვების ნათელი დადასტურებაა. „მილანი“-“ვერდერი“ ის დაპირისპირებაა, რომელიც ჩემპიონთა ლიგასაც დაამშვენებდა. დარწმუნებული ვარ, ბრემენელებთან ძალიან მძიმე მატჩები გველის, თუმცა იმედი მაქვს, შემდეგ ეტაპზე სწორედ ჩვენ გავალთ.

**- ჩემპიონთა ლიგაში კი „იუვენტუსი“ თქვენს ყოფილ გუნდს, „ჩელსის“ დაუპირისპირდება.**

- სიმართლე გითხრათ, ლიგის წილისყრით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. წინ საინტერესო მატჩები გველის. „იუვენტუსი“-“ჩელსი“, „რომა“-“არსენალი“, მანჩესტერი“-“ინტერი“. ისლა დაგვრჩენია, ტელეეკრანებს მივუსხდეთ და ნამდვილი ფეხბურთით დავტკბეთ. ამას წინათ მკითხეს, ინგლისურ გუნდებს უგულშემატკივრებთ თუ იტალიურებსო. ფეხბურთს ვუგულშემატკივრებ, რადგან ასეთი პაექრობები პირველ, რიგში სპორტის, უპირველესი სახეობის გამარჯვებაა.

**- რომელი ფეხბურთელი მიგაჩნიათ დღეს მსოფლიოში საუკეთესოდ?**

- მესი, მესი და კიდევ ერთხელ მესი. „ბარსელონას“ თამაშს ხშირად ვუყურებ და ლიონელით აღფთოვანებული ვარ. არგენტინელი ნამდვილი ფენომენია, მოედანზე ისეთ რამეებს სჩადის, რაც არ დამესიზმრება. ჩემი აზრით, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მთავარი ვარსკვლავი სწორედ მესი იქნება. ორიოდე სიტყვა ჩემს თანაგუნდელებზეც უნდა ვთქვა. რონალდინიო და კაკა შეუდარებელნი არიან. ნამდვილი ვირტუოზები, რომლებიც ბურთით სასწაულებს სჩადიან.

**- მესი „მილანში“, როგორია?**

- ფანტასიკური, თუმცა არა მგონია ეს უახლოეს მომავალში მოხდეს. მესის დარ ფეხბურთელს გუნდი არ გაყიდის, მით უმეტეს „ბარსელონა“. კატალონიელები მუდმივად უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან და ლიონელს არ შეელევიან.



**- დავუბრუნდეთ „მილანს“, მოგწონთ ანჩელოტის ტაქტიკური სქემები?**

- კარლეტო თავისი საქმის უბადლო მცოდნეა და ჩემი რჩევები ნამდვილად არ სჭირდება. ძირითადად 4-3-2-1 ტაქტიკით ვასპარეზობთ და ვერ ვიტყვი, რომ უშედეგოდ. მართალია, სატურნირო ცხრილში მხოლოდ მესამე ადგილზე ვართ, თუმცა ამაში სქემა ყველაზე ნაკლებად არის დამნაშავე. სამწუხაროდ, პირველ წრეში, გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ოპტიმალური ფორმისგან შორს იყო, თანაც ტრავმებმაც გაგვტანჯეს.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში კაკამ დაიწუწუნა, რონალდინიოს მხარდამხარ თამაშისას სივრცეები მეზღუდებაო.**

- ასეთ საკითხებზე კაკა და რონალდინიო ერთმანეთშიც ხშირად საუბრობენ და ეს ძალიან მშვიდ და მეგობრულ ატმოსფეროში ხდება. შესაძლოა, ამგვარი მოსაზრება მართლაც აქვს კაკას, მაგრამ ის, რაც შემდეგ პრესაში დაიწერა, სრული აბსურდი იყო. მასმედია მთელი ორი კვირა გვიმტკიცებდა, რომ კაკასა და რონალდინიოს შორის კონფლიქტი იყო. არ მესმის, რატომ უნდა დაწერო დაუზუსტებელი ინფორმაცია.

**- თუმცა პრობლემა პრობლემად რჩება, თანაც თქვენ ფაქტობრივად დაადასტურეთ, რომ კაკას სივრცის პრობლემა აქვს.**

- „უდინეზესთან“ კაკა ფორვარდის პოზიციაზე იყო და დაკისრებულ მოვალეობას თავი ჩინებულად გაართვა. მოდით, ხელოვნურად ნუ გავართულებთ სიტუაციას, კაკა და რონალდინიო მოედანზე როგორმე მოთავსდებიან.

**- კარგით, შევეშვათ ბრაზილიელებს. კიდევ დიდხანს აპირებთ ფეხბურთის თამაშს?**

- ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. შესაძლოა, კარიერის საუკეთესო წლები უკან მოვიტოვე, თუმცა დანებებას მაინც არ ვაპირებ. კიდევ მსურს უმაღლეს დონეზე თამაში და მიზნების მისაღწევად ყველაფერს ვილონებ. მინდა, „მილანს“ ტიტულების მოპოვებაში დავეხმარო და გულშემატკივარი ისევე გავახარო, როგორც ამას წლების განმავლობაში ვაკეთებდი.

**- ეს ფაქტობრივად საახალწლო სურვილი იყო, არადა, ეს კითხვა ბოლოსთვის მქონდა შემონახული.**

- იმედია, 2009 წელი თითოეული ჩვენგანისთვის სიხარულის მომტანი იქნება.

**ლაშა ნიკლაური**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები. სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი. ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

# რედნაპი ეძებს თავდამსხმელს

## დეფო არ იქნება, გადავა თუ არა კავენაგი ლონდონში?



ჰარი რედნაპი იანვრის ტრანსფერებისათვის ემზადება

**ჰარი რედნაპის** მოსვლის შემდეგ „მამლების" გულშემატკივრები ძალზე აჟიტირებულები იყვნენ. ალბათ ფიქრობდნენ, მოვიდა მწვრთნელი და მოიტანა გამარჯვებების ფორმულაო. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთი ძალზე უცნაური თამაშია და ყველაფრის კი არა, ძალიან ბევრის წინასწარ გათვლაც კი შეუძლებელია. რას ვგულისხმობთ? განა სამი კვირის წინ „ტოტენჰემის" გულშემატკივარი იფიქრებდა, რომ მისი საყვარელი გუნდი ზედიზედ ხუთ შეხვედრას ვერ მოიგებდა? „ტოტენჰემი"-"მანჩესტერ იუნაიტედი" 0:0; „ტოტენჰემი"-"სპარტაკი" 2:2; „ნიუკასლი"-"ტოტენჰემი" 2:1; „ტოტენჰემი"-"ფულჰემი" 0:0; „ვესტ ბრომვიჩი"- „ტოტენჰემი" 2:0. ამასთან ერთადერთი სასიხარულო ის გახლავთ, რომ გუნდი თამაშობს, მაგრამ მოგებას ვერ ახერხებს. ესე იგი, გუნდის თავკაცს მხოლოდ წვრილმანების შეცვლა მართებს, რათა გუნდმა საკუთარი რიტმი ხელახლა იპოვოს. რა თქმა უნდა, რედნაპი ამას ხვდება. აი, რას განუცხადა ზეგამოცდილმა სპეციალისტმა BBC-ს: *„ჩვენს წინა ხაზს სიმწვავე აკლდა. ბურთს კარგად ვფლობდით, მაგრამ საგოლე სიტუაციებამდე საქმე არ მიდიოდა, მიუხედავად ამისა, ვალდებულნი ვიყავით, მეტოქის კარებისთვის გასალები მოგვერგო. „ფულჰემთან" დაცვას არა უშავდა, რასაც ვერ ვიტყვი ბოლო შეხვედრაზე. მთავარი პრობლემა გუნდში მაინც კარგი ცენტრფორვარდია და სწორედ ამიტომ არის, რომ ოფიციალურად ვადასტურებ, ვეძებ კარგ თავდამსხმელს, მაგრამ ჩვენს დროში ასეთის შეძენა ძალზე ძნელია. გეტყვით, რომ დეფოს სანაცვლოდ მზად ვიყავით, ცხრა მილიონი გირვანქა გადაგვეხადა, მაგრამ უარი მივიღეთ. ეტყობა, მათ უფრო სარფიანი წინადადება აქვთ. ჩვენ მეტის გადახდას არ ვაპირებთ. ასე რომ, დეფოსადმი ინტერესი გამიძნელდა".*

**ფერნანდო კავენაგი** უკმაყოფილოა. ის უსამართლოდ მიიჩნევს, რომ თამაშის ჩამთავრების შანსი ყოველთვის არ ეძლევა. ამის თაობაზე განცხადება არგენტინელის აგენტმა **როდრიგო ვილარიომ** გააკეთა. ფეხბურთელი აშკარად შარზეა. თავად გააკეთეთ დასკვნა: საფრანგეთის ჩემპიონატის 19 შეხვედრიდან 17-ში სასტარტო შემადგენლობაში იყო - რომელ მწირ სათამაშო პრაქტიკაზეა ლაპარაკი? ჯერ კიდევ ოქტომბერში ფეხბურთელი აცხადებდა, გამიორმაგეთ ხელფასი და სიამოვნებით დავრჩებიო. მან შესანიშნავად იცის, რომ სწორედ ორმაგ ჯამაგირს ჰპირდება „ტოტენჰემი". ის, ელემენტარულად, წასვლის მიზეზს ეძებს. *„ფერნანდო უკმაყოფილოა. მას მეტი თამაში სურს. წარმოიდგინეთ, საფრანგეთის ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა და ამ დროს ჩემპიონთა ლიგაში სულ 3 შეხვედრა ჩაატარა და ისიც შეცვლაზე. ასეთი ლოგიკის ჩაწვდომა შეუძლებელია. ჩემი კლიენტით „ტოტენჰემი" გახლავთ დაინტერესებული, მაგრამ ლონდონელები ოფიციალური განცხადების გაკეთებას არ ჩქარობენ. საინტერესო იქნებოდა შექმნილ მდგომარეობაში ისეთი გამოსავლის პოვნა, რომელიც სამივე მხარეს დაგვაკმაყოფილებდა. „ბორდოს" ხელმძღვანელობას ვთავაზობ ასეთ გზას: გაყიდოს ფეხბურთელი ლონდონურ კლუბში"*, - განაცხდა „სეტანტა სპორტსთან" საუბრისას მენეჯერმა.

ამბები

### სკოლარი: ასეთი რამ მართლა არ მინახავს

*„რა თქმა უნდა, ძალზე განერვიულებული ვარ. ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი, ვინც ლოგიკასთან მწყრალად არ არის, მიხვდება ჩემი საშინელი განწყობის მიზეზს. მთელი თამაშის განმავლობაში „ფულჰემი" ჩვენს კარს ორჯერ მოუახლოვდა, ჩვენ, როგორც მინიმუმ, რვა საგოლე მომენტი გვქონდა და ამ დროს თამაში ფრედ დასრულდა. ჩვენ ისევ უმნიშვნელოვანესი ქულები დავკარგეთ. გული ყველაზე მეტად იმის გამო მწყდება, რომ მეტოქეს ხელი ჩვენვე შევუწყვეთ - საშინელი შეცდომები დავუშვით საკუთარ საჯარიმოში. სიმართლე გითხრათ, არასოდეს სამწვრთნელო კარიერაში არ მინახავს, რომ საჯარიმოებისა თუ კუთხურებისას, ჩემი გუნდის ფეხბურთელებს ასე ბატებივით ემოქმედოთ,* - განაცხადა „ქრევეინ კოტეჯზე" გამართული მატჩის შემდგომი პრესკონფერენციის დროს **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ**. - *მაგრამ მიუხედავად წარუმატებელი თამაშებისა, დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია „ჩელსი" ჯერ კიდევ ძალზე მომგებიან პოზიციაში გახლავთ. ახლა მხოლოდ კონცეტრაციის მოკრება გვმართებს და გამარჯვებების სერიას ისევ დავიწყებთ„.*

### ბერბატოვი, წლის ფეხბურთელი

როგორც მოსალოდნელი იყო, **დიმიტარ ბერბატოვი** ბულგარეთის წლის ფეხბურთელად დასახელდა და თანაც ვარსკვლავმა აღიარებას ზედიზედ მესამედ მიაღწია. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდის ანგარიშზე სულ მის ხუთი მსგავსი ტიტულია. ბულგარული ფეხბურთის ისტორიაში ამდენჯერ წლის მოთამაშედ მხოლოდ ლეგენდარული **ხრისტო სტოიჩკოვი** დასახელებულა. გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა ბულგარეთის ნაკრების მეკარე **გეორგი პეტკოვი**, მესამეზე - „სლავიის" ნახევარმცველი **ბლაგოე გეორგიევი**.

### დენილსონი ევროპაში ბრუნდება

**დენილსონი** ოდესღაც ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთ იმედად სახელდებოდა, მაგრამ მისი კარიერა ისე ვერ განვითარდა, როგორც ელოდნენ. ოდესღაც ის მსოფლიო ფეხბურთის უძვირფასესი ფეხბურთელის ტიტულსაც კი ფლობდა. ალბათ, გახსოვთ, რომ „ბეტისის" პრეზიდენტმა **მანუელ რუის დე ლოპერამ** მასში 35 მილიონი დოლარი გადაიხადა. დენილსონი ახლა უკვე 31 წლისაა. ვეტერანმა სულ რამდენიმე დღის წინ „პალმეირასთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ამჟამად ახალ სამუშაოს ეძებს. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა პორტუგალიურ პრესასთან საუბრისას დაადასტურა, რომ მას ევროპიდან რამდენიმე წინადადება აქვს: *„დიახ, კონტრაქტი რამდენიმე ქვეყანაში უკვე შემომთავაზეს. მაგალითად ინგლისიდან, გერმანიიდან, თურქეთიდა, საბერძნეთიდან. გადაწყვეტილების მირებას ნამდვილად არ ვჩქარობ. ყველა ვარიანტს შევისწავლი და მხოლოდ ამის მერე გამოვაცხადებ, თუ სად გავაგრძელებ კარიერას. ვგრძნობ, რომ ევროპაში სათამაშოდ მზად ვარ. თუკი არც ერთი ევროპული წინადადება არ მომხიბლავს, თამაშს ბრაზილიაშივე გავაგრძელებ"*, - აცხადებს ფეხბურთელი.

### ნოტინგემ ფორესტის გასაჭირი

**ჩემპიონშიფის** აუტსიდერმა „ნოტინგემ ფორესტმა" მეორე აუტსაიდერ „დონკასტერთან" შინ წაგებული (2:4) შეხვედრის შემდეგ მთავარი მწვრთნელი **კოლინ კოლდერვუდი** თანადებობიდან დაითხოვა. *„კოლინის მადლობლები ვართ იმ მუშაობისთვის, რაც მან ჩვენს კლუბში გასწია, მაგრამ როგორც ჩანს, ცვლილებების დრო მოვიდა. მიმდინარე სეზონში გუნდი ძალზე სუსტად თამაშობს და იმის საფრთხე, რომ ისევ ქვედა ლიგაში გავვარდეთ, სავსებით რეალურია. ჩვენთვის ახლა ყოველ ქულას ცეცხლის ფასი ადევს. იმედია, ახალ დამრიგებელს მალე ვიპოვით და უბედურებას თავიდან ავიცილებთ"*, - განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **მარკ არტურმა**. შეგახსენებთ, რომ კოლდერვუდმა გუნდი პირველ ლიგაში ჩაიბარა და ჩემპიონშიფში აღაზევა. გუნდს დროებით 44 სპეციალისტი **ჯონ პემბერტონი** გაუძღვება.

ვარსკვლავი

# ბომბარდირი და ჯენტლმენი

## ასეთები ალბათ საუკუნეში ერთხელ იბადებიან

**გარი უინსტონ ლინეკერი** დაიბადა 1960 წლის 30 ნოემბერს, ქალაქ ლესტერში. კარიერა: „ლესტერ სიტი" (1978—1984); „ევერტონი" (1985—1986); „ბარსელონა" (1986—1989); „ტოტენჰემი" (1989—1992); „ნაგოია გრამპუს ეითი" (1992—1994). ლინეკერი შედის 2004 წელს ფიფას მიერ დასახელებულ 100 ფეხბურთელში (ოფიციალური ვერსიით სია **პელეს** მიერ არის შედგენილი და ეძღვნება ფიფას დაარსების ასი წლისთავს, მასში არა 100, არამედ 125 ფეხბურთელია და სპეციალისტებს შორის დიდ კამათს იწვევს. ზოგიერთის აზრით, დოკუმენტი აბსოლუტურად არაკომპეტენტურადაა შედგენილი); 1998 წელს მოიგო ესპანეთის თასი; 1989 წელს - თასების მფლობელთა თასი; 1991 წელს ინგლისის თასს დაეუფლა; ნაკრებში ჩაატარა 80 შეხვედრა და გაიტანა 48 გოლი. გარი მხოლოდ ფეხბურთელობით არ არის ცნობილი. მას აღმერთებენ როგორც საფეხბურთო კომენტატორს, რადგან მაღალი ინტელექტის წყალობით, მისი რეპორტაჟი ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენია. მისი ყველაზე ცნობილი ფრაზა ალბათ ფეხბურთის ყველა გულშემატკივარმა იცის დედამიწის ზურგზე: „ფეხბურთი ეს არის თამაში, რომელსაც 22 ადამიანი თამაშობს და გამარჯვებული ყოველთვის გერმანელები რჩებიან". ფრაზა იმდენად სახალხო გახდა, რომ მისი ავტორი ერთგვარად ჩრდილშიც კი მოაქცია. და კიდევ ერთი, ის ფლობს ერთ მიღწევას, რომლითაც ალბათ ფეხბურთის ისტორიაში ცალი ხელის თითზე ჩამოსათვლელი ფეხბურთელებიც ვერ იამაყებენ. თუმცა ამაზე სულ ბოლოს...

არავის კამათობს, რომ გარი ლინეკერი 80-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფორვარდი იყო. ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში კი მან მართლა განსაკუთრებული კვალი დატოვა. მხოლოდ იმის დასახელება იკმარებს, რომ ინგლისის უმაღლესი ლიგის ბომბარდირი სამჯერ გახდა ნაკრების ისტორიაში მეორე ბომბარდირია და ერთადერთი ბურთით ჩამორჩება ლეგენდარულ სერ **ბობი ჩარლტონს**, ინგლისელთაგან მან ერთადერთმა მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო, სულ კი მან მსოფლიო ფორუმებზე 10 გოლის გატანა მოახერხა. პირადი ტიტულები მას მრავლად აქვს, თუმცა გუნდური აშკარად აკლია. როგორ მოხდა, რომ საჭირო კლუბებში არ თამაშობდა? ის „ბარსელონაშიც" მაშინ აგორებდა ბურთს, როცა კატალონიური გრანდი ალზევებისთვის საფუძველს ამზადებდა. თუმცა გარის ვარსკვლავს ეს ოდნავადაც ვერ აყენებს ჩრდილს.

ლინეკერი ინგლისური ფეხბურთის კლასიკური წარმომადგენელი იყო - შესანიშნავად თამაშობდა თავით, ბრწყინვალედ ეხერხებოდა დასწრებაზე თამაში, შეუდარებელი იყო ძალისმიერ ორთაბრძოლებში. ღმერთს არ უჩუქებია მისთვის განსაკუთრებული ტალანტი, მაგალითად, ბურთის ფლობის ვირტუოზული ტექნიკა, თუმცა მან თავისი თავი ისევე გამოძერწა, როგორც პაპა კარლომ პინოკიო. მისი ყველაზე დიდი საიდუმლო შრომისმოყვარეობაში იმალებოდა. კარიერა გარიმ 1994 წელს იაპონიაში დაასრულა. წლების გადმოსახედიდან მას ცხოვრების აზიური პერიოდის გახსენება არ უყვარს, რადგან: *„ტრავმებმა დამტანჯა. ერთ მოვირჩენდი თუ არა, მეორე წინ მელოდა. ასე რომ, იაპონიაში გატარებული წლების გახსენება არ მსიამოვნებს. ალბათ არ ღირდა 31 წლის ასაკში დიდ ფეხბურთზე უარის თქმა. მეორე მხრივ, შესანიშნავ ქვეყანაში ვიცხოვრე და შესანიშნავი ხალხი გავიცანი, რასაც ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ. დიახ, ბედნიერი ადამიანი ვარ... მყავს შვილები, მაქვს სამსახური, რომელიც ძალიან მიყვარს. გახლავართ საკმაოდ პოპულარული, ესე იგი, ახალგაზრდობაში ტყუილად არ მიშრომია. სერიოზულზე გული არაფერზე მწყდება, იყო წვრილმანები საკითხები, რომელთაც ახლა სხვანაირად გადავწყვეტდი. კარიერის განმავლობაში ორჯერ შემეძლო მსოფლიოს ჩემპიონობა - 1986 და 1990 წლებში. მაშინ მართლა ძალიან ძლიერი ნაკრები გვყავდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად ეს მხოლოდ წვრილმანებია. ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს".*

კარიერის დასრულების შემდეგ გარი ლინეკერს გულმა ტელევიზიისკენ გაუწია. ფაქტია, რომ ის ამ საქმეშიც ისეთივე წარმატებულია, როგორი დიდებული ფეხბურთელიც იყო. თავად განსაჯეთ: ბრიტანეთის სამაუწყებლო არხი მას წელიწადში ორ მილიონ გირვანქას უხდის.

ცოტა რამ გარის პირად ცხოვრებაზეც. მას პირველი ქორწინებიდან ოთხი ვაჟი ჰყავს. ის მეუღლეს დიდი ხნის წინ გაშორდა. მეორედ დაოჯახებას ის მალე აპირებს. მისი ამჟამინდელი რჩეული ცნობილი მოდელი **დენიელა ბუქსია**. მიუხედავად იმისა, რომ 48 წლისაა, სულ მთლად გათეთრებულია, მაგრამ ქალბატონები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მაინც ძალიან სიმპათიურად გამოიყურება. *„აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით"*, - აცხადებს ვარსკვლავი.

დაბოლოს, შესავალშივე შეგპირდით და ახლა გეტყვით, გარი ლინეკერმა კარიერის განმავლობაში 600-ზე მეტი თამაში ჩაატარა და არასოდეს ერთი ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია, ლაპარაკი არ არის წითელ ბარათზე... განა ასეთი ჯენტლმენები ხშირად იბადებიან?




გარი ლინეკერი

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნლის ლაურეატები

# ბარაქიანი 2008

გუშინ საღამოს ხალხმრავლობა იყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით აქ 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენის, გუნდის, მწვრთნელისა და ფედერაციის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ვის არ ნახავდით დარბაზში - ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, ახალგაზრდა ათლეტებს, მათ მწვრთნელებს, ვეტერანებს, ქართული სპორტის მესვეურებსა თუ უჩინარ მსახურებს, რომლებსაც სხვებზე ნაკლები წვლილი როდი მიუძღვით წლევანდელ წარმატებებში. მიღწევები კი, იცოცხლეთ, მართლაც მნიშვნელოვანი გვქონდა. პეკინის ოლიმპიადიდან თუ სხვა შეჯიბრებებიდან ჩვენი ათლეტები მედლებით დახუნძლულნი დაგვიბრუნდნენ. განსაკუთრებით ამ მხრივ ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი **კახა გენაძე**) გამოირჩა. ქართველმა ფალავნებმა საერთაშორისო სარბიელზე 38 მედალი მოიხვეჭეს. მათ შორის - 12 ოქროსი, 11 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოსი. ჩინეთის დედაქალაქში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **მანუჩარ კვირკველია** და **რევაზ მინდორაშვილი**, ხოლო **ოთარ თუშიშვილმა** და **გიორგი გოგშელიძემ** მესამე ადგილები დაიკავეს. ევროპის ჩემპიონატზე პირველი იყო გოგშელიძე, „ვერცხლი" დაისაკუთრეს მინდორაშვილმა, **კობა კაკალაძემ** და **ბადრი ხასაიამ**, **რამაზ ნოზაძე** კი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. აღარაფერს ვამბობთ ახალგაზრდებისა და ჭაბუკების მონაგარზე. ცხადია, ეს წარმატებები უყურადღებოდ არ დარჩენიათ ქართული სპორტის თავკაცებს და ჭიდაობის ფედერაცია წლის რჩეულად დაასახელეს.

- დიდი აღიარება თავდადებული გარჯით დავიმსახურეთ, - აღნიშნა კახა გენაძემ. - მართალი გითხრათ, ნომინაციაში პირველობას ველოდით კიდეც. ძალიან გაგვიხარდა, რომ შრომა დაუფასდათ ჩვენს ფალავნებსა და მწვრთნელებს. ვეცდებით, ჯილდოები მომავალშიც ვამრავლოთ. ჩვენ ამის პოტენციალი გაგვაჩნია - ღირსეულ შეგირდებს ღირსეული ოსტატები ჰყავთ.

ამ მხრივაც ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია მართლაც გამორჩეულია: „კლასიკოსთა" მესაჭე **ბეგი დარჩია** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ და საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, სპორტის სამინისტრომ და დეპარტამენტმა კი საუკეთესოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა თავკაცი **ზაზა თურმანიძე** აღიარეს. ალალია მასზე, ყველაფერს თავდადებული შრომით მიაღწია: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე თითოჯერ ოქროს (1990 წ.), ვერცხლისა (1988 წ.) და ბრინჯაოს (1986 წ.) მედლები მოიპოვა. 1987 წლის ევროპის ჩემპიონმა 1994 წელს „კეთილი ნების" თამაშები მოიგო. **მიხეილ ლამბაშიძის**, **ჯონი ლორიას** და **მარლენ ოსიყმაშვილის** შეგირდმა ორჯერ (1989-1990 წ.წ.) თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გაიმარჯვა. ორჯერ (1989, 1991 წ.წ.) მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორია. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. 1991 წლიდან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ფალავანმა გაიკაფა გზა კვარცხლბეკისკენ, ხოლო ნაკრებს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლებში არაერთხელ უსახელებია თავი.

წლის განმავლობაში შეგირდებზე დაულალავი ზრუნვისთვის მადლიერებით მოიხსენიეს სახელოვანი მწვრთნელები - **შოთა ხაბარელი** (იგი მეოთხედ აღიარეს წლეულს ევროპაში საუკეთესოდ), **გურამ მოდებაძე**, **ბეგი დარჩია**, **ოთარ ტატიშვილი**, **დავით ხურცია**, **ვახტანგ სალუქვაძე**, **ნუგზარ სხირელი** და სხვები, რომელთა აღზრდილები მრავალჯერ ასულან კვარცხლბეკზე.

წლევანდელ სეზონში ძიუდოისტთა ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, მორაგბეებმა კი ევროპის ერთა თასი მოიგეს, თუმცა საუკეთესო გუნდის ნომინაციაში მოჭადრაკე ქალები (**მაია ჩიბურდანიძე**, **ნანა ძაგნიძე**, **მაია ლომინეიშვილი**, **ლელა ჯავახიშვილი**, **სოფიკო ხუხაშვილი**, კაპიტანი - **ნინო გურიელი**, მწვრთნელი - **თორნიკე სანიკიძე**, ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**) გამოარჩიეს. ქართველმა მანდილოსნებმა თორმეტწლიანი „შესვენების" შემდეგ დრეზდენში (გერმანია) 38-ე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე დაიბრუნეს ჩემპიონის ტიტული. გუნდს ყველაზე მეტი – 7,5 ქულა (9 პარტიიდან) ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ შესძინა. საგულისხმოა, რომ პირველ დაფაზე მან ოქროს მცირე მედალიც დაიმსახურა. ცხრა შესაძლებლიდან 6 ქულით მაია ლომინეიშვილს „ბრინჯაო" ერგო. დანარჩენი მოჭადრაკეების მონაგარი ასეთია: ნანა ძაგნიძე - 7 ქულა (10-დან), ლელა ჯავახიშვილი – 4,5 (9), სოფიკო ხუხაშვილი - 6 (7). საგულისხმოა, რომ ხუხაშვილს ტურნირზე ერთი პარტიაც რომ ეთამაშა, სათადარიგოებში რომელიმე სინჯის მედალს გამოჰკრავდა ხელს. მთავარი მაინც ის არის, რომ საერთო წარმატებაში მან დიდი წვლილი შეიტანა.

საზეიმო ცერემონიალის კულმინაცია, ცხადია, წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელება იყო. როგორც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკა რურუამ** ბრძანა, არჩევანის გაკეთება იოლი არ ყოფილა. და მაინც, საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ, ისევე, როგორც ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტულმა ჟურნალისტებმა, სამინისტრომ და დეპარტამენტმაც ძიუდოისტი **ირაკლი ცირეკიძე** დაასახელეს. ოლიმპიური ჩემპიონი 27 წლისაა. ჭიდაობა 9 წლისამ დაიწყო. საერთაშორისო სარბიელზე პირველად 11 წლის წინათ მოსინჯა ძალები. დებიუტს თითქოს არა უშავდა, მაგრამ შემდეგ ხან ტრავმამ შეუშალა ხელი, ხან - წონის ხშირმა ცვლამ. ოჯახური პირობების გამო ტატამის მიტოვებაც უნდოდა. მწვრთნელებმა და დედამ გადააფიქრებინეს განზრახვა. მის ცხოვრებაში გარდატეხა 2004 წელს მოხდა, როცა შოთა ხაბარელმა ეროვნულ ნაკრებში **ზურაბ ზვიადაურის** სპარინგპარტნიორად უხმო. მომდევნო წელს ჩეხეთში მსოფლიო თასი დაისაკუთრა, ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, ეგვიპტეში გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. ორი შეხვედრა მოიგო - ფრანგ როდრიგესთან და ალჟირელ ბენიხლეფთან და ნაკრებთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა. აბა, რას იფიქრებდა, რომ სამი წლის შემდეგ ბენიხლეფს უკვე პეკინის ოლიმპიადის ფინალშიც დაამარცხებდა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა. თუმცა მანამდე ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვა, შარშან რიოდეჟანეიროს მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ყველას აჯობა. იგი ერთადერთი ქართველი ძიუდოისტია, რომელიც ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ატარებს...

დასასრულს ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ გუშინდელმა საღამომ მართლაც სადღესასწაულო ვითარებაში ჩაიარა. საზეიმო ცერემონიალი ლიზი ბაგრატიონის, ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, გურამ საღარაძის, ქსოვრელების მედუდუკეთა ანსამბლის, გიო ხუციშვილის, დუეტ „ჯორჯიას", ანსამბლ „ლაშარის", კახი კავსაძის, გივი ბერიკაშვილისა და სხვა მსახიობთა გამოსვლებმაც დაამშვენა. სეზონი მაჟორულ ნოტზე დაგვირგვინდა. პირველი იანვრიდან კი წარმატებების ახალი ათვლა დაიწყება.

**ვაჟა დანელია**


წლის საუკეთესო გუნდი - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები


წლის ფედერაციის პრეზიდენტ კახა გენაძეს (მარჯვნივ) გია ნაცვლიშვილი აჯილდოებს


წლის საუკეთესო მწვრთნელი ზაზა თურმანიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

კალათბურთი

*ინტერვიუ ლაშა ფარლალავასთან*

# ნაკრებში მოხვედრა ჩემი ოცნებაა

გასულ ზაფხულს საქართველოს ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვდა ლაშა ფარლალავა, რომელიც გამოცდების გამო ამერიკიდან საქართველოში ვერ ჩამოვიდა და, შესაბამისად, ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს მისი საქმეში ხილვის საშუალება არ მისცემია. ლაშამ ამ ზაფხულს ფლორიდის პენსაკოლას კოლეჯის გამოცდები მოისტუმრა და ჰავაის უნივერსიტეტში გადავიდა. ჰავაელებს საკალათბურთო კლუბი კოლეჯების უმაღლეს ლიგაში (NCAA) ჰყავთ. ახალ კლუბში ლაშამ ფეხი კარგად მოიკიდა და, ინტერვიუდან შეიტყობთ, რომ არც კუნძულოვან შტატთან ადაპტაცია გასჭირვებია.

ვიდრე ფარლალავასთან დიალოგს შემოგთავაზებდეთ, წარმოდგენას შეგიქმნით მისი გუნდის შესახებ. ჰავაელებს 8 მატჩიდან 5 მოგებული აქვთ. სადებიუტო შეხვედრაში, უსფ-სთან (70:75) ლაშამ 36 წუთში 14 ქულა რომ ჩააგდო, უკვე მოგახსენეთ. ისიც გითხარით, რომ მისმა ჰავაიმ მეორე მატჩიც დათმო – "ფულერტონთან", 76:90. მეორე ცდაზე ფარლალავას 25 წუთში 5 ქულა ჰქონდა.

მესამე მატჩში "ჰავაიმ" "აიდაჰო" 67:64 დაამარცხა. ლაშამ თითქმის შეუცვლელად ითამაშა – 37 წუთში 8 ქულა, თითო მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

მეოთხე შეხვედრაში კუნძულელებმა ერთი ქულის სხვაობით სძლიეს "აიოვას" – 60:59. ლაშამ ამჯერად მოედანზე 25 წუთი გაატარა და 2 ქულას 5 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მიამატა.

შემდეგ იყო პვ-სთან დაპირისპირება, რომელიც "ჰავაიმ" 78:70 მოიგო, ხოლო ლაშამ 10-ქულიანი ბარიერი მეორედ გადალახა – 11 ქულა მიითვალა. ამას მოჰყვა "ილინოისთან" 58:68 დამარცხება, "ვაშთან" 75:55 გამარჯვება და "ჩიკაგოს" 85:75 ძლევა. ბოლო სამ შეხვედრაში ქართველ უკანახაზელს 10-ქულიანი ბარიერი აღარ დაუძლევია.

მასთან საუბარი აკლიმატიზაციის თემით დავიწყეთ.



- არც გუნდთან მორგება გამჭირვებია, არც აქაურ კლიმატთან შეგუება და არც სასწავლებელში მაქვს პრობლემები. მოკლედ, აქ თავს კარგად ვგრძნობ.

**- მოდი, ამინდით დავიწყოთ...**

- ჰონოლულუში სულ ცხელა. ზოგჯერ ტემპერატურა 50 გრადუსამდეც ადის.

**- ასეთ დროს გაგრილებაა საჭირო...**

- პლაჟთან ახლოს ვცხოვრობ. თავისუფალ დროს ოკეანის სანაპიროზე გავდივარ.

**- პენსაკოლაში რომ გადახვედი, თავიდან გაკვეთილებზე თვალები გეხუჭებოდა. ახლა სწავლის საქმე როგორაა?**

- ყველაფერი კარგადაა. კალათბურთი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ სპორტის პარალელურად სწავლასაც დიდ ყურადღებას ვუთმობ. ბოლო ორი წელია, რაც სწავლას მოვუმატე. მინდა უნივერსიტეტი დავამთავრო და დიპლომი ავიღო. საერთოდ, კალათბურთელთა უმეტესობა სასწავლებლისთვის ვერ იცლის, კოლეჯს თავს შუა გზაზე ანებებს და სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ უწევთ სასწავლებელში დაბრუნება. მინდა, მე ასე არ დამემართოს და დიპლომი ორი წლის შემდეგ ავიღო. ამის შემდეგ ვითამაშებ პროფესიონალურ კალათბურთს.

**- რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?**

- სპორტული მენეჯმენტი და ბიზნესი. კალათბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ჩემი პროფესია სპორტში დარჩენის საშუალებას მომცემს და ვეცდები ქართულ კალათბურთს რითაც შემეძლება, იმით დავეხმარო.

**- ახლა, შენს საკალათბურთო გუნდზე ვთქვათ. საშუალოდ 30-ზე მეტს თამაშობ. ე.ი. "ჰავაის" კარგად მოერგე.**

- მწვრთნელი მენდობა, თუმცა გამთამაშებლის პოზიციაზე გადამიყვანა და...

**- გამთამაშებლობას რა სჯობს, გუნდის ყველა შეტევა შენ უნდა წარმართო...**

- ერთი მხრივ კარგია, მაგრამ აქამდე ასეთი გამოკვეთილი გამთამაშებელი არ ვყოფილვარ და თავიდან ცოტა გამიჭირდა. შემდეგ ნელ-ნელა შევეჩვიე და ყოველგვარი პრობლემა უკან მოვიტოვე. გამოგიტყდები, ნამდვილად არ მეგონა თამაშის წარმართვა და დალაგება ასეთი რთული თუ იყო. გაცილებით იოლია მსროლელის ფუნქციების შესრულება – გაქცევა, სროლა, დაცვა...

**- მწვრთნელმა პირველ ნომრად რატომ გადაგწია?**

- ერთი გამთამაშებელი დაგვემტვრა, ხოლო მეორე ძალიან ახალგაზრდაა. მწვრთნელს კი სურს, რომ თამაში მწყობრში იყოს. ვფიქრობ, ჩემი მუშაობით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. თუმცა გუნდის თავკაცთან ამ თემაზე არაერთხელ ვისაუბრე და მეუბნება, რომ სასტარტო შემადგენლობის გამთამაშებლის გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ მსროლელად დამაბრუნებს.

**- იყო მატჩები, როცა გადამწყვეტი სროლის შესრულებამ შენ მოგიწია. ახალწვეულს ასეთი პატივი საიდან გერგო?**

- ერთი კალათბურთელის გარდა, "ჰავაიში" ყველა ახალწვეულია. ამიტომ თამამად ვიღებ ჩემს თავზე გადამწყვეტ ტყორცნებს. ასეთ ეპიზოდში გუნდს რომ გაუმართლებ, ამას რა სჯობს?!

**- შენი სროლით "ჰავაის" თუ მოუგია?**

- ჯერ არა. იმედია მანამდეც მალე მივა საქმე.

**- კოლეჯების ლიგის რომელ კონფერენციაში თამაშობთ?**

- ჩვენს კონფერენციას wac ჰქვია. მასში 12 გუნდი თამაშობს. პლეი ოფში გასვლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი "ჰავაია".

**- წლეულს თქვენი მთავარი მიზანი რა არის?**

- კონფერენციის მოგებას ვაპირებთ. ეს მიუღწეველი მიზანი ნამდვილად არ არის. ამ ტურნირის მოგების შემთხვევაში ნაციონალურ ჩემპიონატზე მოვხვდებით... ბოლო ოთხი წელია "ჰავაელებს" სუსტი გუნდები ჰყავდათ. წლეულს გუნდი გადახალისდა და წარმატებითაც ვთამაშობთ. იმედია, ასევე გავაგრძელებთ.

**- ამ ზაფხულს ნაკრებში გამოძახებული ხომ იყავი?**

- გაფართოებულ სიაში ვიყავი...

**- საქართველოში საერთოდ არ ჩამოსულხარ?**

- გასულ ზაფხულს უნივერსიტეტი შევიცვალე და მშობლების სანახავადაც ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. შემდეგ ომი დაიწყო და საქართველოში გამომგზავრებაზე ფიქრიც შეუძლებელი გახდა.

**- შენი აზრით, სანაკრებოდ მზად ხარ?**

- უნივერსიტეტების უმაღლეს დივიზიონში ვასპარეზობ, დიდ დატვირთვასა და გამოცდილებას ვიღებ. ისეთი კალათბურთელების წინააღმდეგ მიწევს თამაში, რომლებსაც ერთ-ორ წელიწადში NBA-ში ვიხილავთ. რაც შეეხება კითხვას, მზად ვარ თუ არა, ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. საქართველოს ნაკრებში მოხვედრა, მით უმეტეს ქართული პუბლიკის წინაშე თამაში ჩემი ოცნება იყო და თავს არ დავზოგავ, რომ ეს ოცნება ავიხდინო. ჯერ ახალგაზრდა ვარ და იმედი მაქვს, რომ ეროვნულ გუნდში თამაში ადრე თუ გვიან მომიწევს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი



ლაზარე კუხალაშვილი

## SOS! ლაზარე

არ გაგიკვირდეთ, თუ „ლელოს" ერთ-ერთ შარშანდელ ნომერში მსგავს (თუ იდენტურს არა) სათაურს აღმოაჩენთ – მაშინაც და ახლაც ზარების შემოკვრა გვმართებს, რადგან ვაჟთა ჩოგბურთში ნამდვილი ტალანტი ისე იშვიათად გვეზრდება, მისი დაკარგვა დანაშაულის ტოლფასია. **ლაზარე კუხალაშვილი** მაშინ 15 წლის იყო, როდესაც ბრიტანულ მედიაში შემდეგი ამოვიკითხეთ: *„ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაცია ცდილობს, ლაზარე კუხალაშვილს ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღებაში დაეხმაროს. ასოციაციამ დააფინანსა ქართველი ტალანტის გამგზავრება ავსტრალიის ახალგაზრდულ პირველობაზე".* ეს იყო შარშან, იანვარში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს არ მოხერხდა და ჩვენ ტალანტის დაკარგვას გადავურჩით. როგორც ჩანს, დროებით...

წლეულს ლაზარემ პირველად მოიქნია ჩოგანი პროფესიონალებში. მართალია, მისგან მეტს ველოდით, თუმცა მან 12 ქულა უკვე დააგროვა, საქართველოს მეორე ჩოგანი გახდა და მოწინავე ათასეულშიც მოხვდა. ახლა ლაზარე დუბლინშია, სადაც... ირლანდიის ჩემპიონატში ასპარეზობს. ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე არსად არის მითითებული, რომ ჩემპიონატი ღიაა. მეტიც, კულუარული ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ ლაზარეს ირლანდიის მოქალაქეობის მიღება და მომავალში ამ ქვეყნის სახელით თამაში სწადია, რომ მას სამომავლოდ გარანტირებული აქვს ირლანდიის ნაკრებში ადგილი. ძალიან ცუდი თუ ასე მოხდება, რადგან სამომავლოდ სწორედ ერთი-ორი ნიჭიერი ბიჭის, ლაზარეს, **ნიკოლოზ ბასილაშვილის** და **ალექსანდრე მეტრეველის** გვეიმედება. ირლანდიის ჩემპიონატი დახურულ კორტებზე იმართება. პირველ ჩოგნად ირლანდიელი **ჯეიმს მაკგია** განთესილი, სწორედ ის, რომელმაც ერთი კვირის წინათ ჩეხურ ოპავაში **ლადო ჩიხლაძე** დაამარცხა. მე-3 ნომრად კი ლაზარე კუხალაშვილია განთესილი. ლაზარემ ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყო, მან ჯერ **ლაიამ ბირნი** დაამარცხა – 6:0, 6:2, შემდეგ - **ჯონ მორისეი** – 6:4, 6:2. ახლა ლაზარე მაიკლ ჰეიესს ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

*ლეგიონერები. ესპანეთის ჩემპიონატი*

# ელისმა ბორისას აჯობა



ნიკა ცქიტიშვილი (მარცხნივ)

**კვირას, ღამით, ესპანეთის ჩემპიონატის ორ მატჩში სამმა ქართველმა ითამაშა. ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა" "უნიკახას" ესტუმრა და დრამატულ დაპირისპირებაში ბოლო წამებზე დამარცხდა – 84:86. სევილიაში ტაირონ ელისის "კახასოლმა" ვლადიმერ ბორისას "მენორკას" უმასპინძლა და სეზონში მეორე მატჩი მოიგო – 74:69.**

**კახასოლი–მენორკა 74:69**

**ტაირონ ელისი (კახასოლი): 30 წუთი, 21 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი**

**ვლადიმერ ბორისა (მენორკა): 20 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი**

ტაირონ ელსის "კახასოლმა" გასულ კვირას ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადასთან" გასვლითი შეხვედრა დათმო. ახლა კი ვლადიმერ ბორისას "მენორკას" უმასპინძლა და ნანატრი გამარჯვება მოიპოვა - 74:69.

სევილიელებმა "მენორკასთან" მატჩში უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს, პირველი მეოთხედი 25:11 მოიგეს და საფინალო სირენამდე ისე მიაღწიეს, რომ კუნძულელთათვის გადასწრების უფლება არ მიუციათ.

ვლადიმერ ბორისას თანაგუნდელებმა მატჩის ბოლოს "კახასოლი" ძალიან შეავიწროვეს, თუმცა ტაირონ ელისის დამაჯერებელი თამაშის წყალობით გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ელისმა უკანასკნელ წუთებზე მეხუთე სამქულიანი ჩააგდო, ხოლო მომდევნო შეტევისას ფარქვეშ შევიდა, ბურთი გამოთავისუფლებულ **მისოს** გადააწოდა და მეორე სამქულიანის შემდეგ სხვაობა 8 ქულამდე გაიზარდა – 69:61. დარჩენილ 2 წუთში მენორკელებმა მდგომარეობის გამოსწორება ველარ მოახერხეს.

ტაირონ ელისმა მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე როდი ივაჟკაცა, მან 30 წუთში 7-დან 5 სამქულიანი, 3-დან 2 ორიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 21 ქულას 4 მოხსნა და 1 პასი მიამატა.

ისევე, როგორც კახასოლის მე-7 ნომერი ელისი, "მენორკას" მეშვიდე, ვლადიმერ ბორისაც სასტარტო შემადგენლობაში იყო. თუმცა, ელისისგან განსხვავებით, ვოვას შორეული ტყორცნები არ წაუვიდა, 5-დან 1 გამოიყენა, ზედ 2 საჯარიმო მიამატა და 5 ქულას გამორჩა. მენორკელთაგან შეტევაში კარგად მხოლოდ გამთამაშებელმა **პუხ ჯეტერმა** ითამაშა – 20 ქულას მოუყარა თავი.

**ხუვენტუდი–ფუენლაბრადა 86:84**

**ნიკა ცქიტიშვილი: 23 წუთი, 8 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი**

ესპანეთის ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.acb.com) შეგიძლიათ იხილოთ "ხუვენტუდისა" და "ფუენლაბრადას" დაპირისპირების საუკეთესო ფრაგმენტები. იქ შესულია ნიკა ცქიტიშვილის ელვისებური გარღვევა ეფექტური ჩატენვით. ასევე შეგიძლიათ ნახოთ მატჩის ბოლო წუთების ვიდეოჩანაწერები. საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ტაბლოზე 84:84 ეწერა, თუმცა, ესპანელი ვარსკვლავის **რიკი რუბიოს** ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ მასპინძლები 86:84 დაწინაურდნენ. ბოლო შეტევის უფლება ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელებს დარჩათ, თუმცა "ფუენლაბრადას" გამთამაშებელს იერიშისას ბურთი იმავე რუბიომ ჩაუჭრა და მასპინძლებს 86:84 გაამარჯვებინა.

რიკი რუბიომ 21 წუთში 16 ქულა და 6 პასი მიითვალა, ხოლო მადრიდელთაგან ყველაზე მეტი **მატიას სენდესმა** მიითვალა – 14. სამქულიანები ვერც ნიკა ცქიტიშვილმა ისროლა ზუსტად – სამივე ტყორცნა ააცილა, სამაგიეროდ 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 23 წუთში 8 ქულა მიითვალა.

ბოლოს, სატურნირო ცხრილსაც გადავხედოთ. როგორც გითხარით, "კახასოლისთვის" "მენორკასთან" გამარჯვება სეზონის მე-2 მოგება იყო. ელისის გუნდს 12 წაგების წილ 2 გამარჯვება აქვს. 5 მოგება, 9 წაგება უწერია ბორისას "მენორკას", რომელიც ცხრილში მე-13 ადგილზეა. ერთით მეტი გამარჯვება აქვს (8 წაგების კვალად) ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადას". იგი პლეი ოფის ზონაში მყოფ (მერვეადგილოსან) "გრანადას" ერთი მოგებით ჩამ[illegible].

**ვაჟა სიმონიშვილი**

## წლის უკანასკნელი რეიტინგი

ATP-იმ და WTA-მ წლეულს უკანასკნელი შესწორებებით გამოაქვეყნეს მოწინავე ჩოგბურთელთა რეიტინგები. ბუნებრივია, მათში მხოლოდ მცირედი ცვლილებებია (საჩოგბურთო სეზონი დასრულებულია). ქართველ ქალ ჩოგბურთელთა უმეტესობას ოდნავ გაუუარესდა პოზიცია. გთავაზობთ დღევანდელ მდგომარეობას: 160 (-) **ანა ტატიშვილი** – 199 ქულა; 221 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** – 134, 247 (-) **სოფიო შაფათავა** – 111; 397 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 56; 656 (-4) **ეკა გორგოძე** – 20; 677 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** – 19; 707 (-3) **მანანა შაფაქიძე** – 17; 751 (-) **სალომე დევიძე** – 14; 921 (-1) **სოფიო მელიქიშვილი** – 8.

ვაჟთა რეიტინგში 40-ადგილიანი წინსვლა აქვს **ლადო ჩიხლაძეს**, დანარჩენს კი ცვლილებები ნაკლებად შეეხო: 531 (-) **ირაკლი ლაბაძე** – 48 ქულა; 921 (+1) **ლაზარე კუხალაშვილი** – 12; 1117 (+40) **ლადო ჩიხლაძე** – 6; 1222 (-3) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 4; 1332 (-3) ნოდარ ითონიშვილი – 3; 1572 (-2) ბექა ბუჩუკური – 1; 1665 (-) დემეტრე თაქთაქიშვილი – 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ხუთჭიდი და ტრიათლონი | ყრილობა

# გავიხსენოთ სეული, დავიხსომოთ ლონდონი

თანამედროვე ხუთჭიდი იმ სპორტის სახეობათა სათვალავში შედის, ოლიმპიურ სარბიელზე მედალი რომ მოგვიპოვებია. გავიხსენოთ 1988 წლის სეულის ოლიმპიადა, **ვახტანგ იაგორაშვილი** და ბრინჯაოს მედალი. ფაქტობრივად, ვახტანგმა დააგვირგვინა წინა თაობების ძალისხმევა, ოლიმპიურ სიმაღლეზე ასულიყო სპორტის ეს მართლაც რაინდული სახეობა. არადა, **რევაზ მანჯავიძე,** რომელიც საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის ფუძემდებელი იყო და რომელსაც ერთ კვირაში დაბადებიდან 80 წელი უსრულდება, 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა სსრკ-ის ნაკრებში. თუმცა საქართველოში მასობრივი არასდროს ყოფილა სპორტის ეს სახეობა, მაღალი კლასის სპორტსმენები ყოველთვის გვყავდა. ქვეყანამ რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, მინიმუმამდე დაიდა მომეცადინეთა რიცხვი, ახლა კი ესეც პრობლემად იქცა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში 200-მდე მოზარდთან უსასყიდლოდ მუშაობდა შესანიშნავი მწვრთნელი **ირაკლი ქორჩილავა** სპორტკლუბ „მიონის" ბაზაზე. ახლა ეს ბაზა გაიყიდა, იმ 200 მოზარდიდან კი მწვრთნელს მხოლოდ 10-12 ბავშვი შემორჩა. გარდა თბილისისა, სპორტის ეს სახეობა საქართველოში აღარსად არის. უხელფასოდ დარჩენილმა მწვრთნელებმა საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი. არ მუშაობს ჯგუფები, არ ტარდება შეჯიბრებები, მაგრამ არის ნაკრები. ბოლო იმედი **დავით ჭულუხაძე** იყო, მას ორჯერ შეეძლო ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება, საერთაშორისო შეჯიბრებებზე მის მისავლინებლად სპორტის დეპარტამენტმა და სეოკ-მაც გაიღეს თანხები, მაგრამ თავად სპორტსმენმა ერთხელ ამერიკიდან და ერთხელაც ლონდონიდან ვერ მოახერხა ჩამოსვლა. საქართველოს სახელით ასპარეზობს სხვადასხვა შეჯიბრებაში ჩვენი ყოფილი ხუთჭიდელი, ამჟამად მოსკოველი ბიზნესმენი **სტანისლავ მალიშევი,** რომელმაც შეინარჩუნა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა. ეს პიროვნება შეძლებისდაგვარად ყველაფერში გვეხმარება და საერთაშორისო ფედერაციის საწევროსაც ჩვენს ნაცვლად იხდის - ზემოხსენებული ფაქტები გუშინ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიათლონის ეროვნული ფედერაციის ყრილობაზე მოიტანა ამ ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯუანშერ ზალდასტანიშვილმა** თავის საანგარიშო მოხსენებაში. ითქვა ისიც, რომ ტრიათლონის დანერგვა საერთოდ ვერ მოხერხდა და მხოლოდ ახლა გამოიკვეთა ბათუმში შესაბამისი ცენტრის შექმნის პერსპექტივა. ყრილობაზე დაისვა რამდენიმე საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ესაა: მწვრთნელთა შრომითი ანაზღაურება და მათი რაოდენობის გაზრდა, რადგან შეუძლებელია ხუთ სახეობაში ერთი, თუნდაც ორი მწვრთნელი მუშაობდეს სპორტის სახეობების განსხვავებული სპეციფიკურობიდან გამომდინარე; აუცილებელია შიდა შეჯიბრებების ჩატარება და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა; ეროვნულ ნაკრებ გუნდში კონკურენციის გაზრდა და ა.შ. ფედერაციის ჯამური დაფინანსება,


საანგარიშო მოხსენებით გამოდის ჯუანშერ ზალდასტანიშვილი
ავტორის ფოტო

თურმე, განვლილ 4 წელიწადში 83 ათასი ლარი ყოფილა. დაგვეთანხმებით, სპორტის ოლიმპური სახეობისთვის და კიდევ ტრიათლონისთვის ეს თანხა ოთხ წელიწადზე გადანაწილებული, სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. სპონსორები კი არ ჩანან. არც პრეზიდენტობისთვის იკლავენ თავს, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით. ახალი ვადით ფედერაციის თავკაცად ამიტომაც ისევ ჯუანშერ ზალდასტანიშვილი აირჩიეს. *„მე უმალვე გადავდგები, როგორც კი უკეთესი პატრონი გამოუჩნდება ჩვენ ფედერაციას"*, - თქვა ისევ და ისევ ერთხმად არჩეულმა პრეზიდენტმა.

ყრილობამ გენერალურ მდივნად კვლავ **ნიკოლოზ ახალშენიშვილი**, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად **ნოდარ ალავიძე** და **სტანისლავ მალიშევი** დაამტკიცა, ალმასკომის შემადგენლობაში მათ გარდა შევიდნენ აგრეთვე **ამირან შეროზია, ირაკლი ქორჩილავა, ნოდარ ჩოლარია, დავით ტალავიშვილი, ბესარიონ კირვალიძე, თეიმურაზ მიქაძე** და **მერაბ შარაშენიძე.**

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის, საუკუნე სრულდება, რაც პიერ დე კუბერტენის მოთხოვნით თანამედროვე ხუთჭიდი ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანეს. ალბათ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ 1988 წლის ოლიმპიადის შემდეგ კვლავ ვიხილოთ საქართველოს წარმომადგენელი ოლიმპიურ სარბიელზე. ამის პოტენციალიც არის და ტრადიციაც ხელს გვიწყობს.

**თენგიზ თომაშვილი**

გამოიწერეთ ელვა
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

სავარაუდო შეხსენებისთვის!

# შეგახსენებთ: მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და ბავშვთა სპორტში საგანგაშო მდგომარეობაა




**ამას წინათ ჩვენი ქვეყნის ორმა მინისტრმა ცალ-ცალკე დამაჯერებლად აღიარა მომავალი თაობის ჰარმონიულად აღზრდის პროცესში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ ეს თბილისის 47-ე საჯარო სკოლის მონახულებისას და ახალი სპორტული დარბაზის გახსნის ცერემონიალზე აღნიშნა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა ნიკა რურუამ - სპორტის დეპარტამენტში სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას. არის თუ არა ეს სასკოლო ფიზიკური აღზრდის სისტემის სრული აღდგენისა და ბავშვთა სპორტის ასაღორძინებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი? უნდა ვივარაუდოთ, რომ არის. იმედის საფუძველი მყარია. ორივე მინისტრმა კარგად იცის, რომ ბევრგან, მათ შორის, თბილისში, აღარ ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები, შემცირდა ბავშვთა სპორტსკოლები, ფასიან სპორტულ სექციებში მეცადინეობაზე კი ხელი ყველას არ მიუწვდება. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საყოველთაო ზრუნვას მოითხოვს, უპირველესად სახელმწიფოს მხრიდან. ყველაზე დიდი სიმდიდრე ქვეყნისთვის ხომ ერის ჯანმრთელობაა... ამ დღეებში პირველად საქართველოს საპარლამენტო ცხოვრების ისტორიაში, საკანონმდებლო ორგანოს სამი კომიტეტი შეიკრიბა ერთობლივ სხდომაზე ამავე პრობლემის განსახილველად. იმედია, სპორტის განათლების და ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტები ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებას ბავშვთა და საერთოდ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ ბოლომდე მიიყვანენ.**

ჰოკეი | ყრილობა

# ჰოკეის ფედერაცია გრიგოლეთში დაკომპლექტდა

*„ორი წლის წინათ ბალახის ჰოკეის აღორძინება ნულიდან დავიწყეთ და სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის დიდი სამუშაო გავწიეთ, მაგრამ საქართველოში ბალახის ჰოკეი სათანადო დონეზე რომ ავიყვანოთ, ამისთვის კიდევ უფრო მეტი შრომაა საჭირო. თუ საერთაშორისო სარბიელზე კარგ შედეგებს ვერ მივაღწევთ, ჩვენი მუშაობა ფუჭი იქნება. როცა ჩვენი გუნდები ევროპულ ტურნირებში თავს გამოიჩენენ, სახელმწიფოს მხრიდანაც წამოვა დაინტერესება და დახმარება. ამ ორი წლის განმავლობაში მოვახერხეთ და თითქმის განადგურებული სახეობა ფეხზე დავაყენეთ. წინ კიდევ უფრო დიდი გეგმები გვაქვს. გუნდები ჩამოყალიბდება სამეგრელოში, ბათუმში და ოზურგეთში. გურიის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის შალვა ბოლქვაძის ხელშეწყობით უკვე ამ მხარის ყველა რაიონშია გუნდი. ასევე ვაპირებთ აფხაზეთისა და ცხინვალის გუნდების შექმნას, რომლებიც დევნილი ბავშვებით დაკომპლექტდება."* - განაცხადა კუდ-ის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამსახურის უფროსმა და ამასთანავე საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა **კოტე არჩაიამ,** რომელიც გრიგოლეთში, სასტუმრო „ანდამატში" გამართულ ჰოკეის ფედერაციის ყრილობაზე მეორე ვადით აირჩიეს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტად.

ბალახის ჰოკეი (იგივე-ინდო ჰოკეი) საქართველოში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. 1973 წელს ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტის მამამ **თემურ არჩაიამ** პირველი პროფესიონალური გუნდი ქუთაისის „ლოკომოტივი" ჩამოაყალიბა, რომელიც 1979 წლიდან თამაშობდა სსრკ-ის პირველ ლიგაში და რამდენჯერმე უმაღლეს ლიგაში გადასვლაც შეძლო. საკავშირო პირველობასა თუ საერთაშორისო ტურნირებზე საკმაოდ კარგად ასპარეზობდნენ ქუთაისისა და ჩოხატაურის ქალთა გუნდებიც. ფედერაციის პრეზიდენტის მიზანია, რომ დღევანდელი გუნდების დონე გასული საუკუნის 80-90-იანი წლების დონეს მაინც მიუახლოვდეს. *„ამისათვის სელექცია უნდა გავაფართოოთ და რაც შეიძლება მეტი რეგიონი მოვიცვათ. აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს გუნდები აღმოსავლეთ საქართველოში. კარგი იქნება თუ ქუჩას მოვაცილებთ ახალგაზრდებს და მათგან კარგ სპორტსმენებს გავზრდით"*, - აღნიშნა კოტე არჩაიამ, რომელმაც ყოფილ პრეზიდენტ **გიორგი ჩარკვიანისგან** 2006 წელს თითქმის განადგურების პირას მისული სახეობა ჩაიბარა და ამ ორი წლის განმავლობაში ბალახის ჰოკეის გადასარჩენად დიდი სამუშაო ჩაატარა. უცხოეთში არალეგალების წაყვანის გამო ჰოკეის ფედერაციას ევროპაში სახელი ჰქონდა გატეხილი და ახალმა პრეზიდენტმა პირველ რიგში უცხოურ ფედერაციებთან აღადგინა ურთიერთობები. საქართველოში იმყოფებოდა ევროპის ჰოკეის ფედერაციის გენერალური მდივანი **დევიდ ბალბინი,** რომელმაც ქართულ მხარეს 10000 ევროს ღირებულების ინვენტარი გადასცა, ამჟამად კი ხელოვნურსაფარიანი მოედნით დასაჩუქრებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ქართულმა გუნდებმა იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირებზე, 2009 წელს კი საქართველოს ჩემპიონი გუნდები ქალთა და კაცთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატში ითამაშებენ.

გრიგოლეთში, ჰოკეის ფედერაციის ყრილობაზე დღის წესრიგში იყო 2006-2008 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში, 2008 წლის საუკეთესო ჰოკეისტების და მწვრთნელების დაჯილდოება, ფედერაციის პრეზიდენტის, საპატიო პრეზიდენტის, პრეზიდიუმის, გენერალური მდივნისა და ალმასკომის არჩევნები. ფედერაციის ხელმძღვანელებს ყრილობაზე სტუმრები თბილისიდანაც ჰყავდათ მიწვეული, მაგრამ ისინი გრიგოლეთში არ ჩასულან. *„გულდასაწყვეტია, რომ მოწვეულებმა წარმომადგენლებიც არ გამოაგზავნეს... ბოლოს და ბოლოს ბალახის ჰოკეი ოლიმპიური სახეობაა და სასიამოვნო იქნებოდა თუ ფედერაციის ყრილობას სტუმრებიც დაესწრებოდნენ."* - აღნიშნა ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ავთანდილ თევდორაძემ.**

გასული ორი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანალიზის შემდეგ, გამოვლინდა 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენები. კაცებში საუკეთესოდ დასახელდა ქუთაისის „უქიმერიონის" წევრი **გია გერაძე.** ქალებში კი ასევე ქუთაისის „უქიმერიონის" მოთამაშე **ნანა სოხაძე.** საუკეთესო ახალგაზრდა ჰოკეისტებად დასახელდნენ ბიჭებში **რომა გოგელია** (ლანჩხუთი) და გოგონებში **ნინო მათითაიშვილი** (ლანჩხუთი).

ამის შემდეგ არჩევნების პროცედურაც დაიწყო. 32-მა დელეგატმა კოტე არჩაია ერთხმად აირჩია ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტად. საპატიო პრეზიდენტი გახდა **დავით ფრუიძე,** რომელიც რამდენიმე წლის წინათ ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო და დიდი ხნის განმავლობაში ქუთაისის სპორტკომიტეტს ედგა სათავეში. სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს გაკეთდა ქუთაისში ჰოკეის სტანდარტული მოედანი, რომელიც ახლა ფეხბურთის ბავშთა გუნდების განკარგულებაშია. ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს ავთანდილ თევდორაძე და შალვა ბოლქვაძე. გენერალურ მდივნად დარჩა **ბესო ჯანელიძე.** ალმასკომი 7 წევრით განისაზღვრა, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების გარდა ბათუმის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან ფუტკარაძე** და ქუთაისის საკრებულოს წევრი **ანდრო ლოსაბერიძე** შევიდნენ.

**დავით კოხრეიძე**
გრიგოლეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კალათბურთი

**ინდიანა-ნიუ ორლეანი 103:105**

29:27, 27:22, 19:27, 28:29

**ი:** გრეინჯერი (34), ჰიბერტი (19), მერფი (16+16 მოხსნა).

**ნ-ო:** პოლი (19+12 პასი+3 ჩაჭრა), პოუსი (19), დ. უესტი (18+10 მოხსნა), რ. ბატლერი (15), სტოიაკოვიჩი (12+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 130:113**

34:27, 31:31, 37:27, 28:28

**ლ:** ბრაიანტი (31+4 ჩაჭრა), ფიშერი (19), ვუიაჩიჩი (17+6 პასი), პ. გასოლი (13+9 მოხსნა+7 პასი), ბინუმი (13+10 მოხსნა), არიზა (11+9 მოხსნა).

**გ-ს:** კროუფორდი (22), ბელინელი (14), ბ. რაიტი (14), უოტსონი (14), აზუბუიკე (12), კურცი (10), ბიედრინსი (8+17 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**საკრამენტო-ბოსტონი 63:108**

17:23, 17:36, 14:25, 15:24

**ს:** სალმონსი (11), მური (5+8 მოხსნა).

**ბ:** გარნეტი (21+11 მოხსნა), რ. ალენი (19), ჰაუსი (15), პირსი (13), პერკინსი (7+12 მოხსნა+4 დაფარება).

**კლივლენდი-მაიამი 93:86**

22:22, 22:20, 14:25, 35:19

**კ:** ლ. ჯეიმსი (33+9 პასი), მ. უილიამსი (20), ვარეჟაო (12+10 მოხსნა), დ. უესტი (11+4 ჩაჭრა), ილგაუსკასი (10), ბ. უოლასი (2+14 მოხსნა+3 დაფარება).

**მ:** უედი (29+8 პასი), ჰასლემი (15+9 მოხსნა), დ. კუკი (12), მერიონი (4+10 მოხსნა).

**კლიპერსი-დალასი 76:98**

13:24, 21:21, 27:31, 15:22

**კ:** კემბი (16+12 მოხსნა+5 დაფარება), ტორნტონი (16), ე. გორდონი (12), ბ. დევისი (10+9 პასი).

**დ:** ჰოვარდი (29+9 მოხსნა+7 პასი), ბარეა (17), ბასი (14+9 მოხსნა), ტერი (12), სინგლეტონი (11+8 მოხსნა).

**ნიუ იორკი-დენვერი 110:117**

27:27, 29:39, 33:27, 21:24

**ნ-ო:** რობინსონი (20), დ. ლი (19+12 მოხსნა), დუჰონი (17+11 პასი), ჩენდლერი (17), ე. ჰარინგტონი (15), ჯეფრიზი (10).

**დ:** კ. ენტონი (32+9 მოხსნა), სმიტი (16+3 ჩაჭრა), ბილაპსი (14), ნენე (13+9 მოხსნა), დ. ჯონსი (12), მარტინი (11).

## კალათბურთი

### მილიჩიჩი თვეზე მეტს გამოტოვებს

"მემფის გრიზლისის" ცენტრალური თავდამსხმელი **დარკო მილიჩიჩი** დაახლოებით 4-6 კვირით გამოაკლდა რეგულარულ ჩემპიონატს.

კალათბურთელმა "ინდიანა პეისერსთან" მატჩში დაიზიანა ხელი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

მილიჩიჩიმა ამ სეზონში 29 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.3 ქულა და 4.9 მოხსნა დააგროვა.

### ოკლაჰომა რუბიოს უმიზნებს

წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის მთავარ აუთსაიდერ "ოკლაჰომა სიტის" ყველაზე დიდი შანსი აქვს იმისა, რომ 2009 წლის დრაფტზე პირველი ან მეორე ნომრის არჩევის უფლება ერგოს.

კლუბის ხელმძღვანელობა უკვე აწყობს სამომავლო გეგმებს. "ოკლაჰომას" ორი კალათბურთელი ჰყავს მიზანში ამოღებული - **ბლეიკ გრიფინი** და ესპანელი ვუნდერკინდი **რიკი რუბიო**.

გუნდის სკაუტების განცხადებით, თუ გრიფინს სხვა გუნდი აირჩევს, "ოკლაჰომა" ესპანელ კალათბურთელს დაიმატებს. ამ შემთხვევაში **რასელ უესტბრუკი** გამთამაშებლის პოზიციიდან შემტევ მცველად გადავა ან თამაშს სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებს.

### ჟალგირისმა ინვესტორი იპოვნა

უკრაინელი მილიარდერი **იგორ კოლომოისკი** ლიტვის წამყვანი კლუბისთვის "ჟალგირისისთვის" ფინანსური დახმარების გაწევას აპირებს. მოგეხსენებათ, ლეგენდარული გუნდი პრაქტიკულად გაკოტრების პირას არის მისული და სეზონის დასაწყისში კინაღამ არსებობა შეწყვიტა.

კოლომოისკის ქონება 3.3 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ლიტვური პრესის ცნობით, თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, "ჟალგირისში" ინვესტიციის ოდენობა 3-5 მილიონ დოლარს მიაღწევს.

ეს მილიარდერის პირველი სპორტული პროექტი არ არის. დღეისთვის კოლომოისკი საფეხბურთო კლუბ "დნეპრის" მფლობელია.

### ვირტუსი ბოიკინსს იშორებს

გასულ უიქენდზე "ფერარასთან" გამართული მატჩი, შესაძლოა, ბოლო აღმოჩნდეს "ვირტუსის" ამერიკელ ლეგიონერ **ირლ ბოიკინსისთვის**. ბოლონიური კლუბის ბოსებს არ აკმაყოფილებთ NBA-ის ყოფილი კალათბურთელის თამაში.

17 წუთის განმავლობაში ბოიკინსმა ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვა და მხოლოდ ერთხელ ისროლა მეტოქის ფარის მიმართულებით. "ვირტუსის" შეფობა არ გამორიცხავს, რომ მცველი ნაკლები ენთუზიაზმით მიუდგა საქმეს.

შობის წინ, ბოიკინსის აგენტმა "ვირტუსის" ხელმძღვანელობას ოთხდღიანი შვებულება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ახლა ორივე მხარე მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომასა და კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე დალაპარაკებას აპირებს.

32 წლის ბოიკინსი წლევანდელ ზაფხულს გადავიდა "ვირტუსში". ამერიკელმა იტალიის ჩემპიონატში 12 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 16.3 ქულა დააგროვა.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ბოსტონი 1:2**

0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლიტლი-18, 1:1 კესელი-22 (სავარი-32, ვიდემანი-15), 1:2 რაიდერი-14 (კრეისი-26, ველერი-10).

**სტ. ლუისი-ანაჰაიმი 3:4**

1:1, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 რ. ნიდერმაიერი-8 (პალსონი-7, ფესტერინგი-2), 1:1 პერონი-4, 1:2 ს. ნიდერმაიერი-5 (გეტცლაფი-27, პრონგერი-16), 2:2 ტკაჩუკი-13 (ბერგლუნდი-12, პერონი-19), 3:2 ბოიესი-17 (ბერგლუნდი-13, ტკაჩუკი-13), 3:3 მონტადორი-2 (ბ. მორისონი-5, რაიანი-12), 3:4 რაიანი-6 (ს. ნიდერმაიერი-14, გეტცლაფი-28).

**მინესოტა-ჩიკაგო 1:4**

0:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ბიფულინი-6 (ტეუვზი-18, ვერსტეეგი-18), 0:2 ბიფულინი-7 (ვერსტეეგი-19, კეიტი-14), 0:3 ჰავლატი-9 (ბ. კემპბელი-20, ბიფულინი-8), 1:3 კლუტერბაკი-4 (ვეილო-3, სკოულა-3), 1:4 ვერსტეეგი-10 (ტეუვზი-19, ბიფულინი-9).

**ვაშინგტონი-ტორონტო 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ჰაგმანი-11 (გრაბოვსკი-10, ფროგრენი-2), 1:1 ლეიჩი-9 (ბექსტრიომი-29, მ. გრინი-13), 2:1 ოვეჩკინი-24 (იურჩინა-6), 3:1 ლეიჩი-10, 4:1 ოვეჩკინი-25 (ბექსტრიომი-30, მ. გრინი-14).

**ედმონტონი-ნეშვილი 5:2**

2:2, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ერატი-9 (ზენონი-4, ლეგვანდი-11), 1:1 სურეი-11 (ვიშნოვსკი-16, ე. კოული-6), 2:1 ჰორკოფი-10 (პენერი-8, სურეი-15), 2:2 შ. უებერი-12 (ჯ. უორდი-5, დუმონი-23), 3:2 ე. კოული-5 (სემ განიე-7), 4:2 კოლიანო-10 (სტაიოსი-2, შმიდი-3), 5:2 სემ განიე-3 (ე. კოული-7, ვიშნოვსკი-17).

**ვანკუვერი-ოტავა 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰ. სედინი-5 (დემიტრა-9), 2:0 დემიტრა-11 (დ. სედინი-19, ჰ. სედინი-27), 3:0 ედლერი-3 (დ. სედინი-20).

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მეფე ლებრონი



საშობაო დღესასწაულების დღეებში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვებგვერდმა ინტერვიუ ჩამოართვა "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს**, რომელსაც დღეს 24 წელი შეუსრულდა.

მშვიდი, გაწონასწორებული, ალმაფრთოვანებელი... მას მეფე ჯეიმსი შეარქვეს. ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც კალათბურთს ახალი ელფერი შესძინა, ხანდახან საკუთარი ნიჭით მოხიბლული, თავად ვერ იკავებს ემოციებს.

*"ხანდახან, მართლაც მიკვირს საკუთარი თავის, - აღიარა ლებრონმა. - არ მოგატყუებთ და არ გეტყვით, რომ ეს ასე არ არის. მოედანზე თამაში და მის მიღმა მიღებული გადაწყვეტილებები - ეს ყველაფერი მე ვარ. ბევრ ვიდეოკლიპს ვუყურებ და ბევრს ვკითხულობ იმის შესახებ, რასაც მივაღწიე. ხანდახან თავად გაოგნებული ვარ ამის გამო. მაგრამ დღეს უკვე დაწყნარებული ვარ. ზემოდან მივიღე ეს საჩუქარი და ამის გამო მაქვს უპირატესობა".*

ჯეიმსმა თამაშ-თამაშ მწვერვალს მიაღწია. მისი სიმაღლეა 203 სანტიმეტრია, წონა - 110 კილოგრამი. ზაფხულში ამერიკის ნაკრების რიგებში ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, მომავალში კი მას აუცილებლად დიდების დარბაზი ელოდება. ნაკრებში ჯეიმსის პარტნიორი **ჯეისონ კიდი** ირწმუნება, რომ ლებრონის წარმატებაში დიდი როლი მისმა ხასიათმა ითამაშა: *"ის არასოდეს იბნევა, ყოველთვის თავაზიანია ადამიანების მიმართ და იმ ბიჭებთაგანია, რომლებიც თამაშზე და მის ესთეტიკაზე ზრუნავენ. ლებრონი ძალიან ბევრს მუშაობს. მისთვის საჩუქარი არავის მიუცია, ეს ყველაფერი დიდი შრომის შედეგია".*

ლებრონ ჯეიმსმა საყოველთაო ყურადღება ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში მოიპოვა. სწორედ მაშინ დაიწყეს მასზე ნადირობა NBA-ის წამყვანმა კლუბებმა. თინეიჯერს უდიდესი დახმარება დედამისმა - **გლორია ჯეიმსმა** გაუწია და აგერ უკვე ხუთი წელია, ლებრონი თავისი თამაშით ახარებს კალათბურთის გულშემატკივრებს.

*"ზრდის პროცესში, დედა ყველაფერს გულმოდგინედ მასწავლიდა. მან შემაგნებინა, რომ ყველა პრობლემას ერთბაშად ვერ მოაგვარებ, - ყვება ლებრონი. - აუცილებელია მოთმინებით აღიჭურვო და საჭირო მომენტში გადალახო წინააღმდეგობა".*

ლებრონს 20 წელი თამაში აქვს განზრახული, რის შემდეგაც არ აპირებს კალათბურთს ჩამოშორდეს. მის გეგმებშია საკალათბურთო ლონისძიებების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამყარო. ჯეიმსის ერთ-ერთი ბოლო პროექტია - Spring Hill Productions, რომელსაც ის რეპერ **აის ქიუბქთან** ერთად ახორციელებს. კომპანია დაკავებულია ტელეგადაცემათა სერიის შექმნით, რომელიც თავად ჯეიმსის ცხოვრებას ეფუძნება. ლებრონს სხვა ხანგრძლივი პროექტებიც აქვს, მათ შორის გიგანტ "მაიკროსოფტთან".

*"მე კარგი ფინანსური დახმარება მაქვს, - აღიარებს ჯეიმსი. - ერთადერთი რაც არ გამაჩნია, დაგროვილი კაპიტალია, სამაგიეროდ, ჩემს გვერდით საჭირო ხალხი ტრიალებს. ჩემი ბიზნესი სწორი მიმართულებით ვითარდება. აუცილებელია გარშემო მყოფთა მიმართ ნდობა გაგაჩნდეს. ეს ერთადერთი სწორი მიმართულებაა".*

ლებრონ ჯეიმსმა კალათბურთში უკვე ძალიან ბევრს მიაღწია. მის ანგარიშზე 11 ათასი ქულაა და ის აგრძელებს რეკორდების დამხობას. გუნდურ დონეზე შეგვიძლია გავიხსენოთ ოლიმპიური წარმატება.

*"ჩემი შემდეგი მიზანი - NBA-ის ჩემპიონის ტიტულია, - ამბობს ჯეიმსი. - უნდა მივიღო ოქროს მედალი, გავხდე საუკეთესო ბომბარდირი და კიდევ მრავალი სხვა. მხედველობაში მაქვს როგორც გუნდური, ასევე ინდივიდუალური მიღწევები. მაგრამ წინა პლანზე, რა თქმა უნდა, გუნდის წარმატებას ვაყენებ. ეს ის არის, რაზეც ვოცნებობ".*

და რატომღაც ისე ჩანს, რომ ჯეიმსი შეძლებს ამის გაკეთებას. "კავალიერზში" მისი პარტნიორები აღნიშნავენ, რომ ლებრონი მომწიფდა დიდი წარმატებებისთვის. კერძოდ, **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** განაცხადა: *"ის იცვლება, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი. ის უფრო დაბრძენდა, შვილები ჰყავს, პასუხისმგებლობა მოემატა. მას ბევრი რამ იოლად ერგო, მაგრამ ის ასევე ბევრს მუშაობს. კარგად იცის, რა სჭირდება და რა - არა. ის ლიდერი გახდა. ეს კი თავისთავად არ მოდის".*

*"მას უნდა, რომ მისი პარტნიორები უფრო წარმატებულნი იყვნენ, ის ჩვენს ლიდერად იქცა, - ამბობს ჯეისონ კიდი. - ეს დროულად მოხდა და ჩემი აზრით, ლებრონი უკვე მზად იყო ამ როლისთვის".*

"კლივლენდ კავალიერზში" ლებრონის მომავალი ბოლომდე გარკვეული არ არის. მისი სამომავლო კარიერის საკითხი 2010 წელს დადგება დღის წესრიგში, როცა გუნდის შეცვლის უფლება მიეცემა. ამგვარი ვარაუდების პასუხად, "კავალიერზის" 23-ე ნომერი პატიოსნად აღიარებს, რომ ეს დიდი სისულელე იქნებოდა. ჯეიმსი ამბობს, რომ მომავალზე არ ფიქრობს და ვერ ხედავს კლუბის შეცვლის მიზეზს.

დღეს ლებრონი 24 წლის შესრულდა. *"წლები სწრაფად გარბის, - ამბობს ჯეიმსი. - საკუთარ ცხოვრებას კარგად ვგრძნობ, იმ გზასაც კარგად ვხედავ, რომელიც ჩემს ოჯახთან ერთად მაქვს არჩეული. მშვიდად ვარ, რადგან არ ვღელავ საკუთარი ცხოვრებისა და ოჯახის უსაფრთხოებაზე. ეს ყველაფერი კონტროლის ქვეშაა. დიახ, მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ უკვე ბევრი რამ ვიცი".*

## ჩოგბურთი

# კარლოვიჩი საუკეთესო ეისმენია

ხორვატი ჩოგბურთელი **ივო კარლოვიჩი** ATP-ის 2008 წლის ჩემპიონი გახდა ეისების რაოდენობით. 2 მეტრი და 8 სანტიმეტრი სიმაღლის მოთამაშემ გასულ სეზონში 54 მატჩი ჩაატარა და 961 ეისი შეასრულა. საშუალო მაჩვენებელმა თამაშში 17.8 ეისი შეადგინა.

ამ სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა ამერიკელი **ენდი როდიკი** - 889 "გასროლა". აღსანიშნავია, რომ ენდის ამ შედეგის მისაღწევად 62 მატჩის გამართვა დასჭირდა. პირველ ხუთეულში შედიან შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** (695 ეისი), შვედი **რობინ სიოდერლინგი** (656) და ესპანელი **ფელისიანო ლოპესი** (572).

ცნობისთვის, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ამ სიაში მოკრძალებულ 39-ე ადგილს იკავებს. ესპანელის ანგარიშზე 283 ეისია.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# ოქროს ბიჭი ჩავესს შეხვდება



როგორც ჩანს, ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **ოსკარ დელა ჰოია** (39-6-0, 30 KO) არ აპირებს კარიერის დასრულებას. თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს დე ლა ჰოიას გუნდსა და **ხულიო სეზარ ჩავესის** (38-0-1, 29 KO) მენეჯერებს შორის. თუ მხარეები ბრძოლის ჩატარებაზე შეთანხმდებიან, მექსიკური წარმოშობის დე ლა ჰოია და მექსიკელი ჩავესი ლეგენდარულ "აცტეკას" სტადიონზე შეხვდებიან ერთმანეთს. ეს არენა 100 ათას მაყურებელს იტევს.

აღსანიშნავია, რომ ოსკარს ორჯერ ჰყავს დამარცხებული ჩავესის მამა - **ხულიო სეზარ ჩავესი-უფროსი**. 1996 წელს, პირველ საშუალო წონაში WBC-ის ვერსიით ბრძოლა ექიმმა ძლიერი სისხლდენის გამო შეაჩერა და მსაჯმა დე ლა ჰოიას ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება გამოაცხადა. ორი წლის შემდეგ, ნახევრად საშუალო წონაში ასევე WBC-ის ვერსიით, "ოქროს ბიჭმა" კიდევ ერთხელ დაამარცხა მექსიკელი: ჩავესმა რვა რაუნდის შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა.

# კლიჩკოს არეოლა ელოდება



WBO-სა და IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** (52-3-0, 46 KO), შესაძლოა, თავისი მორიგი ბრძოლა სუპერმძიმე წონაში აქამდე დაუმარცხებელ **კრის არეოლასთან** (26-0-0, 23 KO) გამართოს. ეს მოკრივე IBF-ის რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ბრძოლა სავარაუდოდ ლოს-ანჯელესის "სტეიპლ ცენტრში" გაიმართება. შეხვედრის თარიღი მაისი ან აპრილი იქნება. გამარჯვების შემთხვევაში, IBF უკრაინელ მოკრივეს ამავე ვერსიით აუცილებელ პრეტენდენტთან **ალექსანდრ პოვეტკინთან** (16-0-0, 12 KO) ბრძოლას დაავალდებულებს. ეს შეხვედრა 2009 წლის 13 სექტემბრამდე უნდა გაიმართოს.

შეგახსენებთ, წელს ვლადიმერ კლიჩკომ სამჯერ დაიცვა თავისი საჩემპიონო ქამრები. ბოლოს ეს დეკემბერში, ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანთან** ბრძოლის შემდეგ შეძლო. იმ შეხვედრაში უკრაინელის მეტოქე სწორედ პოვეტკინი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში რუსმა ტრავმა მიიღო და ის რაჰმანით შეცვალეს.

# ჯო ორ კვირაში გადაწყვეტს

პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი უელსელი **ჯო კალზაგე** სავარაუდოდ უახლოესი ორი კვირის შემდეგ გამოაცხადებს თავის სამომავლო გეგმებს. როგორც იცით, ბრიტანელს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, დაასრულოს თუ არა პროფესიული კარიერა.

უელსელს კარიერაში 46 ბრძოლიდან 46 გამარჯვება (32 ნოკაუტით) აქვს მოპოვებული. კალზაგე **როი ჯონსის** დამარცხების შემდეგ აპირებდა კრივიდან წასვლას, მაგრამ რამდენიმე ცნობილმა მოკრივემ მოისურვა დაუმარცხებელ ბრიტანელთან შეხვედრა და ჯოს ყოყმანიც ამით არის განპირობებული.

თუ კალზაგე კარიერის გაგრძელებას გადაწყვეტს, ნებისმიერ მეტოქესთან მორიგი ბრძოლა მას დიდ შემოსავალს მოუტანს.




TV სპორტი

**30 დეკემბერი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**08:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**09:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**10:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:25** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
**15:15** ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.
**17:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:25** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**19:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:55** ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი.
**21:45** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
**22:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:55** ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ასტონ ვილა (LIVE).
**02:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-პორტსმუტი.
**03:50** ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ასტონ ვილა.
**05:40** ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**09:40** ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 1997-98. იუვენტუსი-დინამო (კ).
**11:20** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
**13:10** ფრენბურთი.
**13:20** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი.
**15:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჩელსი.
**16:55** სპორტული პროგრამა.
**17:10** ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-მარტინ დელ პოტრო. შანხაი. ჩინეთი.
**19:20** ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. თურქეთი-გერმანია.
**21:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა
**22:00** სპორტკლუბი.
**23:30** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**23:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ასტონ ვილა (LIVE).
**02:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი.
**03:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
**05:35** ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-მარტინ დელ პოტრო. შანხაი. ჩინეთი.
**07:45** სპორტული პროგრამა.

**EUROSPORT**

**11:30** თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. კაცები, ქალები. სპრინტი. პრაღა. ჩეხეთი.
**12:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ობერტსდორფი. გერმანია.
**14:00** მულტისპორტი.
**15:00** თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. კაცები, ქალები. სპრინტი. პრაღა. ჩეხეთი.
**16:00** მულტისპორტი.
**18:40** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერტსდორფი. გერმანია.
**20:00** ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. 2001-2002. ფინალი. ფეიენოორდი-დორტმუნდი.
**21:00** ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. 2002-2003. ფინალი. სელტიკი-პორტუ
**22:00** მულტისპორტი.
**23:00** ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ობერსდორფი. გერმანია (LIVE).
**01:00** სპორტული ცეკვები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინსბრუკი. ავსტრია.
**02:00** რალი-რეიდი. დაკარი.
**02:30** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**03:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-კანადა.
**16:00** ახალი ამბები.
**17:00** ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. აშშ.
**18:00** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დინამო (მ)-კანადა. შვეიცარია (LIVE).
**20:15** ახალი ამბები.
**20:30** მულტისპორტი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ბერლინი (გერმანია)-სან ფრანცისკო (აშშ).
**22:45** ახალი ამბები.
**23:15** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ტურნირი. დავოსი (შვეიცარია)-ინგოლშტადტი (გერმანია). შვეიცარია (LIVE).
**03:00** ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო | 1:0 |
| გოლი. 1:0 ბერბატოვი (69) | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბლეკპული-ვულვზი | 2:2 |
| **კონფერენსი** | |
| მენსფილდი-ბარტონი | 0:2 |
| **კვიპროსი** | |
| ალკი-ომონია | 0:1 |
| **ჰოკეი** | |
| **შპენგლერის თასი** | |
| ინგოლშტადტი-კანადა | 2:5 |
| კარლოვი ვარი-დინამო | 3:4 |
| **კჰლ** | |
| სიბირი-ამური | 2:1 |
| მვდ-ხიმიკი | 4:4 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ლატვია-შვედეთი | 1:10 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კალპა | 3:1 |

გამოკითხვა

# ამერიკული არჩევანი

ამერიკის სპორტის აკადემიამ 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა. ორივე ლაურეატი ამერიკელი გახლავთ: კაცებს შორის მოცურავე **მაიკლ ფელპსმა** გაიმარჯვა, ქალებში კი ყველას აჯობა ტანმოვარჯიშე **ნასტია ლიუკინამ**.

ფელპსის წლევანდელი მიღწევები ყველასთვის კარგად არის ცნობილი - მან პეკინში ოქროს რვა მედალი მოიპოვა და ახლა 14-გზის ოლიმპიურ ჩემპიონად ითვლება. რაც შეეხება რუსული წარმოშობის ლიუკინას, ის ოლიმპიადაზე სპორტულ ტანვარჯიშში მრავალჭიდის გამარჯვებული გახდა.

ქალებს შორის გამოკითხვაში მეორე ადგილი მოიპოვა ჩინელმა წყალში მხტომელმა **გუო ძინცინმა**, მესამე იყო ამერიკელი ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი**.

კაცებში მოულოდნელად მეორე ადგილი შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა დაიკავა, რომელმაც წელს პირველი ჩოგანის ტიტული **რაფაელ ნადალს** გადააბარა და მასვე დაუთმო უიმბლდონის ტურნირი. როჯერის მეორე ადგილი მით უფრო გასაკვირია, რომ მან უკან ჩამოიტოვა პეკინის ოლიმპიადის ერთ-ერთი გმირი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერნის ფულები

**ფორმულა 1-ის ისტორიაში მინიმუმ ორი შემთხვევა არსებობს, როცა გუნდები ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან შემოსული თანხის სამართლიანად გადანაწილებას ითხოვდნენ. თავის დროზე, ამ ბრძოლის სულისჩამდგმელი თვით ბერნი ექლსტოუნი გახლდათ. რაც ყველაზე საინტერესოა, ორივე შემთხვევაში ფიგურირებდა ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარების იდეა.**

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანების დასაწყისში, ფორმულა 1-ში საინტერესო დაპირისპირება წარმოიშვა. გუნდების უმეტესი ნაწილი FOCA-ს კავშირში (ფორმულა 1-ის კონსტრუქტორთა კავშირი) გაერთიანდა. მასში შესვლაზე მხოლოდ "ფერარიმ", "რენომ" და "ალფა რომეომ" თქვეს უარი. ორგანიზაციის ხელმძღვანელად **ბერნი ექლსტოუნი** (ამჟამად ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი) მოგვევლინა, რომელიც მაშინ გუნდ "ბრებემს" ფლობდა. არ გაგიკვირდეთ და მისი მრჩეველი იყო ვინმე **მაქს მოსლი** (FIA-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი).

FOCA კონფლიქტში შევიდა FISA-სთან (ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია) და ეს ორ მიზანს ემსახურებოდა. ჯერ ერთი გუნდები ითხოვდნენ რეგლამენტის გადახედვას და ტექნიკურ საკითხებში ცვლილებების შეტანას. გარდა ამისა, ისინი ცდილობდნენ შემოსავლების სამართლიან განაწილებას.

1980 წლის ბოლოს, FISA-მ ავტოსპორტის მსოფლიო ფედერაციაც კი შექმნა და პლანეტის ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარება ჩაიფიქრა. 1981 წელს, ორგანიზატორებმა ახალი ფედერაციის ეგიდით პირველი რბოლა გამართეს - ეს თებერვალში, სამხრეთ აფრიკაში მოხდა. რბოლა "უილიამსის" პილოტმა **კარლოს როიტემანმა** მოიგო, მაგრამ ის ეტაპი ერთადერთი აღმოჩნდა - მსხვილმა ავტომწარმოებლებმა სერიაში მონაწილეობა არ მიიღეს და ახალი ჩემპიონატისადმი ინტერესიც ნაკლები იყო. ასე რომ, "მეამბოხეებს" ალტერნატიულ სერიაზე უარის თქმამ მოუწიათ.

დაპირისპირების კულმინაციად იქცა FOCA-ს გუნდების მიერ 1982 წელს სან მარინოს გრანპრის ბოიკოტი. თუმცა რამდენიმე საჯინიბო (მაგალითად, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი "ტირელი") მაინც გავიდა სტარტზე და რბოლა შედგა. მაგრამ არსებობდნენ FISA-ს შეურიგებელი მოწინააღმდეგეები - **კოლინი ჩეპმენი** "ლოტუსიდან" და **ფრენკ უილიამსი** ფედერაციის პრეზიდენტ **ჟან-მარი ბალესტრას** გადადგომას ითხოვდნენ.

FISA-ს მხარდამჭერი გუნდები კულისებს მიღმა აქტიურ მოქმედებას ეწეოდნენ და ამავდროულად, მოქმედ რეგლამენტში მათთვის სასარგებლო პუნქტებს პოულობდნენ. მაგალითად, 1982 წელს მოიგონეს მუხრუჭების გასაგრილებელი ავზები. მათში წყალს ასხამდნენ, რომელსაც თითქოს უნდა გაეცივებინა სამუხრუჭე დისკები. სინამდვილეში, წყალი არაფერსაც არ აცივებდა - მას სტარტის წინ ტრასაზე ღვრიდნენ, მანქანა წონაში იკლებდა და ის გაცილებით სწრაფად დადიოდა. რბოლის შემდეგ კი წყალს უკან ავზში ასხამდნენ (მაშინ რეგლამენტის მიხედვით ტექნიკური სითხეების დამატება დაშვებული იყო). რეგლამენტის ამ პუნქტის გამოყენებით წყლის ავზები ასეთი უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ ომი მალე დასრულდა, FISA-მ და FOCA-მ შეთანხმებას მიაღწიეს - სწორედ მაშინ დაიდო ცნობილი "თანხმობის ხელშეკრულება". FISA დათანხმდა რეგლამენტში ცვლილებების შეტანასა და შემოსავლების განაწილების სქემის გადახედვას. საპასუხოდ გუნდებმა ჩემპიონატის ყველა რბოლაში მონაწილეობის ვალდებულება აიღეს - მანამდე მათი უმრავლესობა ეკონომიას აკეთებდა, ოკეანის გაღმა ეტაპებში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა და ევროპაში დარჩენას ამჯობინებდა.

ამრიგად, სხვადასხვა გრანპრის ორგანიზატორებმა იცოდნენ, რომ სასტარტო ბილიკი მთლიანად შეივსებოდა, რაც სპონსორების მოზიდვას უწყობდა ხელს. ახალი წესი თავად გუნდებისთვისაც უკეთესი იყო - ისინი თავიანთ სპონსორებს ყველა რბოლაში მონაწილეობის გარანტიას აძლევნენ. ფაქტობრივად ეს შეთანხმება გახდა პირველი დიდი ნაბიჯი ფორმულა 1-ისა და მთლიანად მთელი ავტოსპორტის კომერციალიზაციისკენ.

■ ■ ■

კიდევ ერთი ასოციაცია - GPMA 2004 წელს გაჩნდა. მასში შემავალი გუნდები არ აპირებდნენ "თანხმობის ახალი ხელშეკრულების" გაფორმებას. "რენო", "მერსედესი", BMW, "ჰონდა" და "ტოიოტა" ალტერნატიული ჩემპიონატის ჩამოყალიბებით დაიმუქრნენ, თუ ბერნი ექლსტოუნი ტელეტრანსლაციების გაყიდვით შემოსული თანხიდან უფრო მეტ წილს არ გაიმეტებდა.

მაშინ მეამბოხეებს, შესაძლოა, "ფერარიც" შეერთებოდა, რაც ფორმულა 1-ის ფაქტობრივი „გარდაცვალების" ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ ბერნი თავადაც მიხვდა მოსალოდნელ საფრთხეს და "ფერარისთან" ხელშეკრულება დადო: გუნდი "სამეფო რბოლაში" მინიმუმ 2012 წლამდე დარჩებოდა, ექლსტოუნი კი ამის სანაცვლოდ საკმაოდ მოზრდილ თანხას გადაიხდიდა - როგორც ახლა გახდა ცნობილი, ლაპარაკი ყოფილა ყოველწლიურად 80 მილიონ დოლარზე.

ამის შემდეგ, GPMA-ს აქტიურობამ იკლო და ბოლოს ნულამდე დავიდა. ორგანიზაციაში შემავალმა გუნდებმა ბერნი ექლსტოუნთან ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, "თანხმობის ხელშეკრულებას" მოაწერეს ხელი.

■ ■ ■

ახლა უკვე ახალი ორგანიზაცია - FOTA (ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაცია) აპირებს აიძულოს ექლსტოუნი გადახედოს შემოსავლების განაწილების სქემას. თუმცა თავიდან, ფორმულა 1-ის გუნდების ეს კავშირი სულ სხვა მიზნით შეიქმნა: ახალ რეგლამენტზე ერთობლივი მუშაობისა და დანახარჯების შემცირებისთვის.

FOTA-ს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს - პირველად ასეთი ორგანიზაციის რიგებში ფორმულა 1-ის ფაქტობრივად ყველა გუნდი გაერთიანდა. თანაც, მას სათავეში უდგას "ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო**, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს ექლსტოუნთან და ამავდროულად, თავისი ავტორიტეტის წყალობით, ძალის პოზიციიდან ლაპარაკი შეუძლია.

საკმაოდ საინტერესო სურათი იქმნება. თავის დროზე, ბერნი ექლსტოუნმა თვითონ მისცა ყველას იმის მაგალითი, როგორ უნდა ებრძოლონ ფორმულა 1-ის მმართველ ორგანოებს. ახლა კი თავად გახლავთ ხელმძღვანელი, რომელიც გუნდებმა ბრძოლაში გამოიწვიეს. ბერნი მის კუთვნილ თითოეულ ცენტს მთელი ძალით ებღაუჭება - თავისი ქონების დიდი ნაწილი ხომ მან სწორედ ფორმულა 1-ის წყალობით იშოვა.

აღფრთოვანებას იწვევს ბერნი ნიჭი - რამდენჯერმე გაყიდოს ფორმულა 1-ის აქციები და შემდეგ ისინი უფრო იაფად შეიძინოს (ახალი ინვესტორები უბრალოდ ვერ აფასებდნენ თავიანთ შესაძლებლობებს და დროთა განმავლობაში ბანკროტებად ცხადდებოდნენ). დღეს ფორმულა 1-ის მფლობელი კომპანიაა - CVC და მას რამდენიმემილიარდიანი ვალი აქვს დაგროვილი, რომლის გასტუმრებას ტრანსლაციებიდან შემოსული თანხითა და ეტაპების გამართვით ცდილობს.

აქედან გამომდინარე, გუნდებს გაუჭირდებათ წილის გაზრდისთვის ბრძოლა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ბერნის მაინც მოუწევს დათმობაზე წასვლა - სხვანაირად ვერც იქნება, რადგან სწორედ FOTA უზრუნველყოფს სავსე სასტარტო ბილიკს. მაგრამ რა სახის იქნება ეს დათმობები (უფრო სწორად, რა თანხას გაიმეტებს ექლსტოუნი), ამას სავარაუდოდ რამდენიმე თვეში გავიგებთ.



# ალონსო ფერარიში

## გაძეტა დელო სპორტი ირწმუნება, რომ ესპანელმა პილოტმა სკუდერიასთან საიდუმლო კონტრაქტი გააფორმა



იტალიური პრესა კიდევ ერთ სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. გუშინ გაზეთი "ლა სტამპა" წერდა იმის შესახებ, რომ "ჰონდა რეისინგის" შეძენას აპირებს მექსიკელი მილიარდერი **კარლოს სლიმი**, თუმცა ეს ცნობა ოფიციალურად ჯერ არავის დაუდასტურებია.

ახლა კი "გაძეტა დელო სპორტი" იტყობინება, რომ ესპანელმა პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** საიდუმლო შეთანხმებას მიაღწია "ფერარისთან", რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი 2011 წელს გადავა "სკუდერიაში" და იქ სამ სეზონს გაატარებს.

გამოცემა ამტკიცებს, რომ კონტარქტი რამდენიმე პუნქტს შეიცავს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მისი ვადაზე ადრე გაწყვეტა. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ხელშეკრულება 2010 წლის სეზონიდან ამოქმედდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** ზედიზედ მეორე წარუმატებელ სეზონს ჩაატარებს.

"ფერარის" პრესატაშემ აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა: *"ჩვენ მხოლოდ იმის გამეორება შეგვიძლია, რომ "ფერარის" ორივე პილოტს 2010 წლის ბოლომდე აქვთ მოქმედი კონტრაქტები".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

